დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ-დასავალი
2024 წლის 10 - 16 ივნისი
N25 1543
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## თბილისის ყოფილი კომენდანტი გოჩა ბახია ზვიად გამსახურდიას წამებისა და მკვლელობის სცენას აღწერს და მკვლელებს ასახელებს!






„შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას პირდაპირ უთხრა – გაღაღექი, თორემ მოგკლავთო!“



„ეს ყველაფერი მოხდა სენაკის აეროპორტში, თვითმფრინავში!“

## ქართველმა პავლიკ მოროზოვებმა საქართველო ამერიკის კონგრესში დააბეზღეს!








*ლაშა ნადარეიშვილი*



## მას არასოდეს არ ეჩქარება!

ფორტეპიანოს
ბოლო ოქტავებს
სარკმლიდან უხმეს
გარეთ ქარებმა...
ჩვენ გვეჩქარება
მხოლოდ მოკვდავებს,
მას არასოდეს
არ ეჩქარება!

მან კარგად იცის,
საიდან ვიშვით
ან მრევლი საით
ივლის ამიერ, —
შელონებული
ჩვენი ვიშვიშით
ათასწლეულებს
ითვლის წამიერს.
ახსოვს — მამასთან
ცაში მიმავალს,
ტანჯვით სიკვდილი
გზად დააწიეს,
მაინც მოწყალე
გულში იმალავს
კაცობრიობის
გაწამაწიებს.

ფორტეპიანოს
ბოლო ოქტავებს
სარკმლიდან უხმეს
გარეთ ქარებმა...
ჩვენ გვეჩქარება
მხოლოდ მოკვდავებს,
მას არასოდეს
არ ეჩქარება!



## სალომეს „ფანჩატური

# სალომეს

*სალომე ზურაბიშვილისა და კოლექტიური ნაცმოძრაობის პოლიტიკურ ალიანსს, რომელიც ე.წ. ქართული ქარტიის სახით უკვე ოფიციალურად გაფორმდა, საზოგადოების ნაწილმა „სალომეს ფანჩატური" შეარქვა.*







ქართულ ენაში სიტყვა **„ფანჩატური"** განმარტებულია, როგორც **ბოძებზე გამართული უკედლო საჩრდილობელი,** რომელიც ცოცხალი ტოტებითა და ფოთლებით არის გადახურული ან ბოძებზე დაყრდნობილი, მსუბუქი კონსტრუქციის დასასვენებელი ნაგებობა.

მიუხედავად იმისა, რომ **სალომე ზურაბიშვილისა და კოლექტიური ნაცების** პოლიტიკური რანდევუები ტოტებითა და ფოთლებით გადახურულ უკედლო ნაგებობაში კი არა, საპრეზიდენტო რეზიდენციად გადაკეთებულ ორბელიანების ისტორიულ სასახლეში იმართება, ხალხი მას მაინც **ფანჩატურს** ეძახის.

და, მართლაც, სახელწოდება — **„სალომეს ფანჩატური"** — ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს იმ ეკლექტური და ფარღალალა პოლიტიკური ალიანსის არსს, რომელსაც არც იდეოლოგია გააჩნია, არც — სახელმწიფოებრივი ხედვა და მხოლოდ სახელისუფლო სკამების დაუფლების რევანშისტული ვნებით არის ნასაზრდოები.

**სალომეს ფანჩატური** არც გეოგრაფიული ტოპონიმია და არც — რაიმე დაწესებულების სახელწოდება, ეს არის **სამარცხვინო პოლიტიკური მოცემულობა,** რომელშიც ერთად ამოყვეს თავი **პრეზიდენტად წოდებულმა სალომე ზურაბიშვილმა** და ყველა იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც 2018 წელს ყველაფერს სჩადიოდა და კადრულობდა, რათა სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი არ გამხდარიყო.

თუ არა **ფანჩატური,** აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს **პოლიტიკურ ჭაობს,** სადაც ერთად ფართხალებენ **სალომე ზურაბიშვილი და ნაციონალური მოძრაობა,** რომელიც მას სამშობლოს მოღალატესა და რუსეთის აგენტს ეძახდა, საზოგადოებას კი სრული სერიოზულობით ეუბნებოდა — **თუ ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდება, 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთთან მებრძოლ ქართველ ჯარისკაცებს დააპატიმრებს და ჰააგის ტრიბუნალს გადასცემსო!**

თუ არა **ფანჩატური,** მაშ, სხვა რა ჰქვია **სალომე ზურაბიშვილისა და იმ ნიკა გვარამიას ერთობლივ სადგომს,** რომელიც მას რეზიდენტ **ყ...ქალას** (ცენზურა ჩვენია. რედ.) უწოდებდა და აცხადებდა — **თუ ეს პრეზიდენტი გახდა, იმ დღეს ვე ჩემოდანს ჩავალაგებ და საქართველოდან გავქუსლავო!**

სალომე ზურაბიშვილი და **ჯაფარიძის „გირჩი"**, სალომე ზურაბიშვილი და **ხაზარაძის „ლელო"**, სალომე ზურაბიშვილი და **ხოშტარიას „დროა"**, სალომე ზურაბიშვილი და **ბოკერიას „ევროპული საქართველო"**, სალომე ზურაბიშვილი და **ძმები ბერძენიშვილების „რესპუბლიკური პარტია"**, სალომე ზურაბიშვილი და **მაჭუტაძის „სახელმწიფო ხალხისათვის"**, სალომე ზურაბიშვილი და **ჭიჭე ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებელი"**, სალომე ზურაბიშვილი და **ელისაშვილის „მოქალაქეები"**, სალომე ზურაბიშვილი და **კიდევ რამდენიმე ერთკაციანი პარტია** — აი, ეს არის მთელი ფანჩატური და ესენი აცხადებენ პრეტენზიას საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლაზე.

— **ჩვენ ვართ პრორუსული „ქართული ოცნების" პროდასავლური ალტერნატივა!** — გაიძახიან **სალომეს ფანჩატურში** შეყუჟულები და ცდილობენ, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელები, მედიისა და ბიზნესის დამტერორებლები, ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველები, არჩევნების მოსაპარად ყალბი პირადობის მოწმობების დამამზადებლები, ოკუპანტის წინაშე შარვალჩახდილები, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტი-

## 17 ოპოზიციური პარტიის მიერ ხელმოწერილი ე.წ. ქართული ქარტია


ქართული ქარტია

## ე.წ. ქართული ქარტია, რომელსაც სალომეს ფანჩატურში 17 პოლიტიკურმა პარტიამ მოაწერა ხელი, სინამდვილეში, ანტიქართული ქარტიაა!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



საქართველოს ხელისუფლება **არავისგან არ მიიღებს დირექტივებს,** იმოქმედებს **მხოლოდ ეროვნული ინტერესების კარნახით.**

„პირველი არხი"

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



ოპოზიციას თავმოყვარეობა აქვს დაკარგული, **ჩაანაცვლეს ბელადი ახალი ბელადით — სალომე ზურაბიშვილით.**

„ახალი თაობა"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ყოველი **„აღშფოთებული მოქალაქის"** უკან ნაცმოძრაობის **ცუდად შენიღბული აქტივისტი** დგას.

„ახალი თაობა"

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



**ქარტიის გარშემო** 3 ჯგუფი ჩამოყალიბდება: **„ერთქარტიულები"**, **„ნახევრადქარტიულები"** და ისინი, რომლებმაც **საერთოდ ვერ გაიგეს ეს ქარტია.**

„ახალი თაობა"

**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



საქართველოს აქვს ერთი გზა და **ეს გზა მიდის დასავლეთისკენ, ევროკავშირისკენ.** 10 წელია, საქართველოს ხელისუფლება დგამს ნაბიჯებს იმისათვის, რომ **საქართველო ევროკავშირს დაუახლოოს.**

„რეზონანსი"

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



კონგრესში მოსმენამ აჩვენა, **როგორ ყიდიან სულს „ენჯეოები".** დილამდე ყურში ჩამესმოდა — **„ჰა შენ, კიკუ, თუმანი და გაიხადე"** და გაიხადეს სულგაყიდულმა ადამიანებმა.

„პირველი არხი"

# ფანჩატური







## 15 ოპოზიციური პარტიის მიერ ხელმოწერილი ე.წ. გეი-მანიფესტი



...ური პარტიები

...ობია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ადამიანები თავიანთი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო ხშირად ხდებიან ძალადობის, დისკრიმინაციისა თუ სტიგმის მსხვერპლნი;

**ვაცხადებთ რა**, რომ ჩვენი სურვილია შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც სამართლის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობისა;

**ვიაზრებთ რა**, რომ ჰომოფობიის დაძლევაში შეგვიძლია მნიშვნელოვანი როლი შევასრულოთ როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო პოლიტიკური საქმიანობისას;

ვთანხმდებით, რომ

ჩვენს ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, მათ შორის შესაბამისი კანონშემოქმედებითი საქმიანობითა და საპარლამენტო კონტროლის განხორციელებით, ვიბრძოლებთ საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ადამიანების მიმართ არსებული დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად;

საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დავიცავთ ყველა ადამიანის მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა;

არ დავუშვებთ ჩვენი წარმომადგენლების მიერ პოლიტიკურ პროცესში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე სოციალური შუღლის გაღვივებასა და სიძულვილის ენის გამოყენებას.

TBILISI PRIDE

**WE, THE SIGNATORY POLITICAL PARTIES**

RECOGNIZE THAT HOMOPHOBIA IS A SIGNIFICANT CHALLENGE IN GEORGIA BECAUSE PEOPLE OFTEN EXPERIENCE VIOLENCE, DISCRIMINATION OR STIGMA BASED ON THEIR SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY;

**DECLARE** OUR DESIRE TO LIVE IN A STATE WHERE ALL HUMAN BEINGS ARE EQUAL BEFORE THE LAW, REGARDLESS OF THEIR SEXUAL ORIENTATION OR GENDER IDENTITY;

**UNDERSTAND** THAT WE CAN PLAY AN IMPORTANT ROLE IN OVERCOMING HOMOPHOBIA THROUGH PARLIAMENTARY AND NON-PARLIAMENTARY POLITICAL ACTIVITIES.

WE AGREE THAT

USING ALL MECHANISMS AT OUR DISPOSAL, INCLUDING RELEVANT LEGISLATIVE ACTIVITIES AND PARLIAMENTARY OVERSIGHT, WE WILL FIGHT TO ELIMINATE DISCRIMINATION AND VIOLENCE AGAINST LESBIAN, GAY, BISEXUAL, TRANSGENDER AND GAY PEOPLE IN GEORGIA;

WE WILL PROTECT THE RIGHT TO PEACEFUL ASSEMBLY AND THE FREEDOM OF EXPRESSION OF ALL HUMAN BEINGS, REGARDLESS OF THEIR SEXUAL ORIENTATION OR GENDER IDENTITY IN ACCORDANCE WITH THE CONSTITUTION OF GEORGIA AND INTERNATIONAL HUMAN RIGHTS STANDARDS;

WE WILL NOT ALLOW OUR REPRESENTATIVES TO USE HATE SPEECH AND INCITE SOCIAL STRIFE IN THE POLITICAL PROCESS ON THE BASIS OF SEXUAL ORIENTATION AND GENDER IDENTITY.

დან რუბლებით დაფინანსებულები, მევახშე ყაჩაღ-ბანკირები და მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი ზონდერკომკავშირელები ქართველ ხალხს პატრიოტებად და პროევროპელებად შეასაღონ.

**ჩვენ ვართ ევროპა საქართველოში და თუ ევროპა გინდათ, ჩვენ უნდა აგვირჩიოთ!** — გაიძახიან **სალომეს ფანჩატურელები** და ვერც კი ხვდებიან, რომ ამით ქართველ ხალხს საბოლოოდ აძულებენ ევროპას.

ან იქნებ ხვდებიან კიდეც და **სალომეს ფანჩატურის** დანიშნულებაც სწორედ ის არის, რომ ქართველი ხალხის თვალში საბოლოოდ გაასწოროს მიწასთან ევროპის იმიჯი, დასავლეთისადმი ნდობა და პატივისცემა?

ყოველ შემთხვევაში, საბოლოო შედეგი სწორედ ეგ იქნება და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, **სალომეს ფანჩატურელები** ამას ნებსით აკეთებენ თუ უნებლიეთ.

რაც შეეხება ე.წ. **ქართულ ქარტიას,** რომელსაც **სალომეს ფანჩატურში** 17 პოლიტიკურმა პარტიამ მოაწერა ხელი, ეს, რეალურად, **ანტიქართული ქარტიაა,** რომელიც არაფრით განსხვავდება ამავე პარტიების უმრავლესობის მიერ 3 წლის წინათ ხელმოწერილი ე.წ. **ლგბტ მანიფესტისგან.**

დიახ, 2024 წელს **სალომეს ფანჩატურში** 17 ოპოზიციური პარტიის მიერ ხელმოწერილი **ანტიქართული ქარტია** და 2021 წელს 15 ოპოზიციური პარტიის მიერ ხელმოწერილი **გეი-მანიფესტი** აბსოლუტურად ერთი და იგივე სულისკვეთების დოკუმენტებია!

და კიდევ: **სალომეს ფანჩატურისა** და მასში გაფორმებული **ანტიქართული ქარტიის** ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებაა, რასაც ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, აფრასიძეების ოჯახის ამომჟლეტი **გიორგი ბარამიძის,** მეტსახელად **„კუბდარას“** განცხადებაც ადასტურებს:

> *„თუ ქართული ქარტიის სულისკვეთება და მიზანი ევროპული სტანდარტების, ევროპული ქვეყნის მშენებლობაა, მაშინ ასეთ ქვეყანაში რუსეთის აგენტი **ფარცხალაძის** მიერ შეთითხნილი ბრალდებებით, ივანიშვილ-პუტინის პირადი პატიმრის კვლავ ციხეში დატოვება არ შეიძლება. ამიტომ პრეზიდენტი სააკაშვილი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გათავისუფლებული“.*

ცხადია, სააკაშვილი **„ივანიშვილ-პუტინის პირადი პატიმარი“** კი არა, სისხლის სამართლის დამნაშავეა და აბსოლუტურად სამართლიანად იხდის სასჯელს, რაც სულ ცოტა ხნის წინათ დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელმაც საქმეზე — **„სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“** — დაადგინა, რომ ნაცბელადის მიმართ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა კონვენციის არცერთი მუხლი, რომლის ვითომდა დარღვევასაც იგი სტრასბურგში ასაჩივრებდა.

შესაბამისად, **სააკაშვილის პატიმრობიდან დახსნის ერთადერთ საშუალებად რჩება სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი შეწყალების შესახებ, რასაც ითხოვენ კიდეც ნაცები პრეზიდენტად წოდებულისაგან.**

მოწნეები იმასაც ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობა **სალომეს ფანჩატურში** შესვლას სწორედ სააკაშვილის შეწყალების პირობით დათანხმდა.

ამბობენ იმასაც, რომ **სააკაშვილის შეწყალების სანაცვლოდ ნაციონალური მოძრაობა თანხმობას განაცხადებს, სალომე ზურაბიშვილი ე.წ. ქართული ქარტიის გარშემო გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატად იქნას წარდგენილი.**

საბოლოო ჯამში, ე.წ. ქართული, სინამდვილეში კი, **ანტიქართული ქარტია** საქართველოში სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის რეანიმაციას ემსახურება და სალომე ზურაბიშვილი ამ ბინძურ თამაშში გარე ძალების დავალებით არის ჩართული! იმ ძალების, რომლებმაც რამდენიმე დღის წინათ ამერიკელი სენატორების — **ჯიმ რიშისა** და **ჯინ შაჰინის** პირით განაცხადეს, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველომ დემოკრატიული უკუსვლა განიცადა!

მოკლედ, **სალომეს ფანჩატური** საქართველოს დასანგრევად არის აშენებული, მაგრამ ქართველმა ხალხმა დასწრებაზე უნდა ითამაშოს და **სალომეს ფანჩატური** იქამდე დაანგრიოს, სანამ **სალომეს ფანჩატური** დაანგრევს საქართველოს!

მითუმეტეს, **მსგავსი ფანჩატურების დანგრევის წარმატებული გამოცდილება ქართველ ხალხს უკვე აქვს და ამ გამოცდილებას 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად გამოიყენებს!**

**ჯაბა ხუბუა**

**2024 წელს სალომეს ფანჩატურში 17 ოპოზიციური პარტიის მიერ ხელმოწერილი ანტიქართული ქარტია და 2021 წელს 15 ოპოზიციური პარტიის მიერ ხელმოწერილი გეი-მანიფესტი აბსოლუტურად ერთი და იგივე სულისკვეთების დოკუმენტებია!**

## კეირგვინოსნები

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



მივმართავ **ამ ფსევდოლიბერალური ფაშიზმის მიმდევრებს თუ ბოლშევიკური კამპანიის** ავტორებს: რამდენი მცდელობაც გექნებათ, გამოავლინოთ თქვენი **ფაშისტური ზრახვები,** რამდენჯერაც ეცდებით ჩვენზე, განსაკუთრებით კი ჩვენი ოჯახის წევრებზე და მხარდამჭერებზე რაიმე სახის ბინძურ ზემოქმედებას, ზუსტად იმდენჯერ **მიიღებთ უმკაცრეს რეაგირებას ჩვენგანაც და საზოგადოებისგანაც!** ყველამ კეთილი ინებოს და შეეგუოს, რომ საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებები **საქართველოშივე მიიღება!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



დიდი შეცდომა იქნება, თუკი ოპოზიცია **ერთიანი საარჩევნო სიით** მიიღებს 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას. მეტიც, **ერთიანი საარჩევნო სიის** კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

„კვირის პალიტრა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი*



**სააკაშვილის** ხალხიც იყო **სალომე ზურაბიშვილის** ცენტრში მისული და ხელს აწერდა დოკუმენტს. არ გამოვრიცხოთ, რომ ერთი დიდი ნაცური ცენტრი ჩამოყალიბდეს.

„პირველი არხი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



„ოცნებას“ მოუწევს ძალაუფლების განაწილება სხვებისთვის, **ან ის შეკრავს ოპოზიციასთან კოალიციას ან ის გადავა ოპოზიციაში** და მის გარეშე დააკომპლექტებენ მთავრობას.

„ახალი თაობა“

# საქართველო ვარხეინად ვერ იქნება!



ევროკომისარი გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეი

***გასულ კვირას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, მზად არის, გამოძიებას მიაწოდოს ინფორმაცია და მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ დაემუქრა ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი — შეიძლება, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს ბედი გაიზიაროო!***

მოგეხსენებათ, **სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი ფიცო,** რომელიც ნეოლიბერალური დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს და გლობალურ ომის პარტიას დაუმორჩილებლობას უცხადებს, ამა წლის 15 მაისს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მძიმედ დაჭრა 71 წლის სლოვაკმა მწერალმა, ლიბერალმა **იურაი ცინტულამ.** მთავრობის მეთაურს ერთი ტყვია — კუჭის არეში, მეორე კი სახსარში მოხვდა და მისი გადარჩენა სათუო იყო, თუმცა, ყველაფერი კარგად დამთავრდა და **რობერტ ფიცო** სიკვდილს დაუძვრა.

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე თავდასხმიდან დაახლოებით ერთ კვირაში, 2024 წლის 23 მაისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** სენსაციური განცხადება გააკეთა:

***„ჩემთან სატელეფონო საუბარში ევროკომისარმა ჩამოთვალა მთელი რიგი ზომები, რომლებიც დასავლელმა პოლიტიკოსებმა გამჭვირვალობის კანონზე ვეტოს დაძლევის შემდეგ შეიძლება, მიიღონ და ამ ზომების ჩამონათვალში ახსენა — ხომ ნახეთ, ფიცოს რა დაემართა და ძალიან ფრთხილად იყავითო“.***

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება, რომელშიც მან ევროკომისრის ვინაობა არ დაასახელა, ნაცლიბერალურმა ოპოზიციამ და მისმა პროპაგანდისტულმა ტელეარხებმა ქილიკისა და მასხრობის საგნად გაიხადეს — **კობახიძეს რაღაცები ელანდებაო; კობახიძე ბოდავსო; კობახიძე ისეთ დაუკრეფავში გადავიდა, საქართველოს მეგობრებს ტერორიზმში ადანაშაულებსო და ა.შ.**

თუმცა, კობახიძის მიერ ვინაობის გარეშე ნახსენებმა ევროკომისარმა რამდენიმე საათში თავადვე დაადასტურა, რომ **საქართველოს პრემიერ-მინისტრთან საუბარში სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტი ნამდვილად ახსენა.** ეს აღმოჩნდა ევროკომისარი გაფართოების საკითხებში **ოლივერ ვარჰეი,** რომელმაც განაცხადა — **ჩემი ნათქვამი კონტექსტიდან ამოგლეჯილად იქნა გავრცელებულიო:**

*„სატელეფონო ზარისას ვიგრძენი საჭიროება, პრემიერ-მინისტრის ყურადღება მიმექცია იმის მნიშვნელობაზე, რომ კანონის მიღებით არ გაამწვავონ ისედაც მყიფე ვითარება, რამაც შესაძლოა, პოლარიზაცია გაზარდოს და თბილისის ქუჩებში უკონტროლო ვითარება შექმნას. ამ კუთხით, სლოვაკეთში მომხდარი უახლესი ტრაგიკული მოვლენა მაგალითისთვის იქნა ნახსენები, თუ რისი გამოწვევა შეუძლია პოლარიზაციის მაღალ ხარისხს ევროპაშიც კი“.*

ასე და ამრიგად, **ვარჰეის** განცხადებამ კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ ატეხილი **„ვარჰეი-ვარლალალო“** ერთბაშად ჩააჩუმა, რადგან დამტკიცდა, რომ **პრემიერ კობახიძეს** არც არაფერი მოლანდებია და არც არაფერი მოუგონია.

## ახლა, როცა კოლექტიური ვარჰეი ქართულ სახელმწიფოს რევოლუციით, ომითა და ტერორისტული შურისძიებით ემუქრება, არხეინობისა და ვარხეინობის დრო ნამდვილად არ არის!



რაც შეეხება **ვარჰეის** თავის მართლებას — ჩემი ნათქვამი კონტექსტიდან არის ამოგლეჯილიო, ეს მურაბის ქურდობაზე წასწრებული ბავშვის უსუსურ თავის მართლებას უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული პოლიტიკოსის არგუმენტს. **როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ევროკავშირის მაღალჩინოსანი ეუბნება — თუ გამჭვირვალობის კანონს მიიღებთ, შეიძლება, თბილისის ქუჩებში უკონტროლო ვითარება შეიქმნას და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრივით ვიღაცამ ტყვია გესროლოსო, ეს კეთილ რჩევად კი არა, პირდაპირ მუქარად ჟღერს, მითუმეტეს, ისეთ ვითარებაში, როცა სუვერენიტეტის გასამყარებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოს ხელისუფლება ნეოკოლონიალისტური ძალების სამიზნედ აქცია.**

თანაც, როგორც იტყვიან, გონივრული ეჭვი არსებობს, რომ **ირაკლი კობახიძისადმი** ევროკომისარ **ვარჰეის** პირით გახმიანებული მუქარა — **ემანდ, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის დღე არ დაგადგესო, სწორედ იმ ძალებისაგან მოდის, რომლებსაც მთელი ევროკავშირი ლაჯებში აქვთ ამოდებული და თავიანთი ინტერესების** გამო არათუ რომელიმე პოლიტიკური ლიდერის ლიკვიდაციას, არამედ დედამიწის ნებისმიერ წერტილში ომების გაჩაღებასა და ერების განადგურებასაც კი არ ერიდებიან.

შესაბამისად, **ვარჰეის** მუქარის ფონზე, **არხეინად თუ ვარხეინად ყოფნის უფლება** არც საქართველოს პრემიერ-მინისტრს აქვს და არც — ქართველ ხალხს, რადგან საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია გეოპოლიტიკის ბნელ კულისებში დაწერილი უკრაინიზაციის გეგმა, რაც ჯერ ე.წ. თბილისური მაიდნის მოწყობასა და ხელისუფლების დამხობას გულისხმობს, ხოლო შემდეგ — რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოს ომში ჩათრევას.

საერთოდ, **არხეინობა** ქართველების მანკიერებათაგან ერთ-ერთი უმთავრესია, რასაც საქართველო ბევრჯერ დაუღუპია, თუმცა, ზოგჯერ გადაურჩენია კიდეც და დიდ განსაცდელებთან გამკლავებაში დახმარებია.

მაგრამ ახლა, როცა **კოლექტიური ვარჰეი** დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს რევოლუციით, ომითა და ტერორისტული შურისძიებით ემუქრება, **არხეინობისა და ვარხეინობის დრო ნამდვი-**

## ძალიანაც კარგი, თუ კობახიძისა და ვარჰეის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი არსებობს!

### კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ძალიან ვერ გაგახარებთ, **არც ამერიკის ვიზა მაქვს და არც შეტყობინება მომსვლია მის შეწყვეტასთან დაკავშირებით** — სამწუხაროა, რომ ასეთი სიხარულით და აჟიოტაჟით ელოდებით ამ თემას.

„ინტერპრესნიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*„ევროპელი სოციალისტების“ პარლამენტარი*



კონკრეტულად არსებობენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ვისი ოჯახის წევრებსაც **უკვე მისდით კონკრეტული შეტყობინებები ვიზების გაუქმების შესახებ.** ეს ინფორმაცია მალე გავრცელდება.

„რეზონანსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ჰგონიათ, **ამერიკაში გადაადგილება თუ შემეზღუდება,** ამის გამო დავთმობ საქართველოს სუვერენიტეტს. **ხატია დეკანოიძე** ამაყობს, რომ **ქართული პასპორტი დათმო** უცხო ქვეყნის სამსახურისთვის. „ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



კონგრესმენების მხრიდან ვიხილეთ **რევოლუციის დაანონსება, საქართველოს უკრაინიზაციის გეგმა და ქვეყნის განადგურების დაუოკებელი სურვილი,** ასევე ვიხილეთ „ქართველი“ **სერგო ორჯონიკიძეები,** რომლებიც ჩვენებას აძლევდნენ **საქართველოს წინააღმდეგ!**

„ინტერპრესნიუსი“

# თუ ეს მტკიცებულება არსებობს, მაშინ გამოდის, რომ არც ვარჰეის ჰქონია ვარხეინად თუ არხეინად ყოფნის ფუფუნება!


სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო


დაჭრილი რობერტ ფიცო კლინიკაში გადაჰყავთ. 2024 წლის 15 მაისი

**ლად არ არის.**

ამიტომაც სწორად მოიქცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე,** რომელმაც რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთხელ განაცხადა:

***„გასული დღეების განმავლობაში ჩვენ ბევრი რამით გვემუქრებოდნენ, მათ შორის, სლოვაკეთის პრემიერის ბედის გაზიარებით, რომელსაც ტყვია ესროლეს“.***

რომელიღაც ნაცტელევიზიის რომელიღაც ჟურნალისტმა **კობახიძის** ამ ნათქვამს რეპლიკა შეაგება — **ევროკომისარმა ვარჰეიმ** ეს ფაქტი უკვე ახსნაო, რაზეც პრემიერმა იქვე მიუგო — ეს ახსნა უბედურება იყოო!

იქვე რომელიღაც ნაცტელევიზიის რომელიღაც ჟურნალისტმა მთავრობის მეთაურს, ცოტა არ იყოს, იქედნური და ირონიული ტონით ჰკითხა — **„გეშინოდათ, რომ მოგკლავდნენ“?** — რაზეც **კობახიძემ** სრული სერიოზულობით უპასუხა:

*„არავითარ შემთხვევაში, მე არაფრის არ მეშინოდა, მაგრამ ვთქვი, რითიც დაგვემუქრნენ — სლოვაკეთის პრემიერის ბედის გაზიარებით. თუ ამასთან დაკავშირებით რომელიმე ქვეყანას ინტერესი ექნება, მზად ვარ, გამოძიებას მივცე ინფორმაცია და მტკიცებულება“.*

**მტკიცებულება!**

პრემიერის ეს სიტყვა უმალ ყურში და გულზე მოხვდა ნაცლიბერალურ სექტას:

**რა მტკიცებულებაზე** საუბრობს კობახიძეო?

**რა მტკიცებულება** უნდა მიაწოდოს გამოძიებასო?

და დაასკვნა ნაცლიბერალურმა მედიამ — **ესე იგი, საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირის ლიდერებთან საუბარს უკანონოდ იწერს და კობახიძეს ვარჰეისთან სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერი აქვსო!**

**მტკიცებულება!**

ძალიანაც კარგი, თუ **მტკიცებულება** არსებობს!

ძალიანაც კარგი, თუ არსებობს **კობახიძისა და ვარჰეის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი,** რომელიც დაადასტურებს, რომ ევროკომისარმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტი პოლარიზაციის ტრაგიკულ მაგალითად კი არ მოუყვანა, არამედ დაემუქრა — ფიცოს ბედი გელოდებაო!

კი, შეიძლება, ასეთი ჩანაწერი მართლა არსებობს და ვარჰეიც ამიტომ გახდა იძულებული, დაედასტურებინა, რომ კობახიძესთან საუბარში სლოვაკეთის პრემიერზე შეიარაღებული თავდასხმა ახსენა.

**და თუ ეს მტკიცებულება არსებობს, მაშინ გამოდის, რომ არც ვარჰეის ჰქონია ვარხეინად თუ არხეინად ყოფნის ფუფუნება!**

მარტო **ვარჰეის** კი არა, იმ ძალებსაც არ ჰქონიათ **ვარხეინად თუ არხეინად ყოფნის საშუალება,** რომლებმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი ტერორისტული აქტის მუქარა ევროკომისარს გააჟღერებინეს!

რაკი **კობახიძე** მის წინააღმდეგ სავარაუდო ტერორისტული აქტის მომზადებაზე საუბრობს, შესაძლოა, საქმის გამოძიება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყოსო! — ისტერიული ტონით თქვა ერთი ნაცლიბერალური ტელეარხის ერთმა ტელეგოგონამ.

დაიწყოს მერე, თქვენ რატომ ღელავთ და რისი გეშინიათ?!

აჰ, ემანდ, მართლა არ დამტკიცდეს, რომ დემოკრატიული ევროკავშირის დემოკრატი ევროკომისარი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაურს ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრა იმის გამო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობა დააკანონა?

ჰო, ნამდვილად ამის ეშინია კოლექტიური დასავლეთის „მეხუთე კოლონას“!

**ეშინია, დღევანდელი ევროკავშირისა და დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების ნამდვილი სახე მთლად ბოლომდე არ გაშიშვლდეს და გამოაშკარავდეს ქართველი ხალხისა და დანარჩენი მსოფლიოს თვალში!**

თუმცა, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცივილიზებული მსოფლიოს ისტორიაში გაუგონარი საქმე ჩაიდინა და ქართველი კანონმდებლები კანონის მიღების გამო დაასანქცირა, **ქართველ ხალხს სულაც არ სჭირდება დამატებითი მტკიცებულებები იმის დასანახად, თუ როგორ იძირება კოლექტიური დასავლეთი პოლიტიკურ და მორალურ ჭაობში.**

ამ ჭაობში საქართველოც რომ არ ჩაითრიონ, ამისათვის ქართულ სახელმწიფოს დიდ სიფრთხილესთან ერთად დიდი პოლიტიკური გამჭრიახობაც სჭირდება!

**დღეს, დიდი გეოპოლიტიკური რყევებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების მტკივნეულ პროცესში, საქართველოს არხეინობისა და ვარხეინობის უფლება არა აქვს!**

***გიორგი ძაძამია***

## ემანდ, მართლა არ დამტკიცდეს, რომ დემოკრატიული ევროკავშირის დემოკრატი ევროკომისარი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაურს ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრა!


სლოვაკეთის პრემიერზე თავდამსხმელი იურაი ცინტულა დანაშაულის ადგილზევე აჰყავთ. 2024 წლის 15 მაისი

## ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცივილიზებული მსოფლიოს ისტორიაში გაუგონარი საქმე ჩაიდინა და ქართველი კანონმდებლები კანონის მიღების გამო დაასანქცირა!

## კვირგვინოსნები

**ფიქრია ჩიხრაძე**
*პარტია „ლელოს“ წევრი*



**დასავლეთს საქართველოს მთავრობაზე ხელი ჩაქნეული აქვს.**

„ახალი თაობა“

**ლია მუხაშავრია**
*სამართალმცოდნე, უფლებადამცველი*



სასამართლოსა და პროკურატურის **ძირეული რეფორმის გარეშე** ევროკავშირში არავინ მიგვიღებს.

„ახალი თაობა“

**მეთიუ მილერი**
*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი*



**ახალი სანქციების პოლიტიკა გამოვაცხადეთ,** ჯერ არ გამოგვიცხადებია **ინდივიდუალური სანქციები,** ამ საკითხს ასე დავტოვებ, თუმცა, ვთქვით, რომ **მათ დაწესებას არ დავაყოვნებთ.**

„პირველი არხი“

**თიის როიტენი**
*ევროპარლამენტარი*



„ქართულმა ოცნებამ“ **საქართველოს ევროპული მომავლის კუბოში ბოლო ლურსმნის ჩაჭედება სცადა** — დააწესეთ სანქციები **ივანიშვილსა** და მის მოკავშირეებს.

„ინტერპრესნიუსი“

**სტივ კოენი**
*კონგრესმენი*



**ბატონი სააკაშვილი** ახლა ციხეშია, უკვე საკმაო ხანია, **მას საშინლად ეპყრობიან** და მისი სიცოცხლე შესაძლოა, საფრთხის ქვეშ იყოს.

„იმედინიუსი“

# ხაზარაძის ხიზანი

*ჯაყოს ხიზნები გენიალური მიხეილ ჯავახიშვილის უკვდავი ლიტერატურული გმირები — თეიმურაზ ხევისთავი და მარგო ყაფლანიშვილი არიან, რომლებსაც ჯავის ხეობიდან თხუთმეტი წლის ასაკში ჩამოთესლებულმა და სოფელ ნაშინდარში ბატონს შეკედლებულმა ბოგანომ — გაუპარსავმა, ტილიანმა და აყროლებულმა ჯაყო ჯივაშვილმა ყველაფერი წაართვა — მიწაც, წყალიც, სახლ-კარიც და ნამუსიც... ამის შემდეგ მან თავადიშვილი თეიმურაზი თავისსავე სახლში მონად აქცია, რომელსაც ბრინკას ეძახდა, ხოლო კნეინა მარგო ხასად დაისვა და შვილი გაუჩინა.*










**ჯაყოს ხიზნებისგან** განსხვავებით, **ხაზარაძის ხიზანი** გერმანიის ორმეტრიანი ელჩია, რაც თავიდანვე გამორიცხავს იმ ამბავს, რომ ან ის, ანდა მამუკა ერთმანეთის ხასებად და ხარჭებად იქცნენ. მართლაც, წარმოუდგენლად მიგვაჩნია ის ამბავი, რომ ხაზარაძემ და პატივცემულმა ერნსტ პეტერ ფიშერმა სახლში ერთმანეთს სწორედ ის ამბავი დააწიონ, რაც გათახსირებულმა ჯაყო ჯივაშვილმა მარგო ყაფლანიშვილს ურემზე აკადრა!

თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **მიხაელ როთის** სახით გერმანიის ხელისუფლება ამ ბოლო დროს საქართველოში „ჭკუის მასწავლებლებად" და „რევიზორებად", ძირითადად, „გათხოვილ კაცებს" გვიგზავნის, **ხოლო მამუკა ხაზარაძის „უბორნიაში" სოდომია ოფიციალურ იდეოლოგიად არის გამოცხადებული, სადაც რატი ამაღლობელი, ლაშა ბუღაძე** და მისთანები ტუალეტსა და „ტინკივინკის" უგალობენ, მაშინ ხაზარაძისა და მისი ხიზნისაგან ყველანაირი სისაძაგლეა მოსალოდნელი.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც 2022 წლის აგვისტოში საქართველოში გერმანიის ელჩი **ჰუბერტ ქნირში** შეიცვალა, „ხანდაზმული თაღლითის" მამუკა ხაზარაძის სახლში ბინა დაიდო გერმანიის ახალმა ელჩმა **ერნსტ პეტერ ფიშერმა,** რომელიც ხაზარაძესა და „ლელოს" ისეა ატორღიალებული, როგორც **თინა ბოკუჩავა და ხატია დეკანოიძე** — მიხეილ სააკაშვილს. ცნობისათვის, აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ბოლო დროს ამ „უწმინდურთა სამებაში" მეოთხე წევრად ჩაჩურთვა სურს სწორედ ხაზარ-ფაშას „ლელოს" ერთ-ერთ სპიკერს, პარლამენტარ **ანა ნაცვლიშვილს** — ამირანას გოგოს, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ემსგავსება გოგიას ცოლს — მაროს, მოკლემეტრაჟიანი შედევრიდან „ქვევრი".

**მოკლედ, თუ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სტამბოლის ბაზარზე „გამხაზირებელი" ამირან ნაცვლიშვილის ქალიშვილი, „ცერეუშნიცა" ანა ნაცვლიშვილი ზემოხსენებული „უწმინდურთა სამების" მეოთხე წევრი გახდა, სააკაშვილის ოცნება ასრულდება და უზნეოთა „სამება" როენას „სამოთხედ" იქცევა.**

მივუბრუნდეთ გერმანიის ელჩ **პეტერ ფიშერს!**

## ფიშერი რომ მამუკა ხაზარაძის სახლში ცხოვრობს, ეს ჯერ კიდევ 2023 წლის 25 მარტს გახდა ცნობილი,

როცა საქართველოში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ანალენა ბერბოკი** ჩამოვიდა და ელჩთან და „ოპოზიციის" წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. მაშინ ფრაუ ანალენასა და „ოპოზიციის" ლიდერების შეხვედრა სწორედ „ლელოს" ლიდერის მამუკა ხაზარაძის სახლში გაიმართა. შეხვედრას **ანალენა ბერბოკის** გარდა ესწრებოდნენ: გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **ერნსტ პეტერ ფიშერი, მამუკა ხაზარაძე, პეტრე ცისკარიშვილი, სერგო ჩიხლაძე და ნათია მეზვრიშვილი.** მამუკა ხაზარაძის სახლში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ოპოზიციის ლიდერების შეხვედრა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ დღემდე სწორედ აქ ცხოვრობს გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ერნსტ პეტერ ფიშერი.**

თუ გახსოვთ, მაშინ აუსენმინისტერინი **ფრაუ ანელინა** პირველად „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ბუნაგში შევარდა, ამერიკული „ცერეუს" ქართულ აგენტურას მიეხმატკბილა და **მინისტრ დარჩიაშვილს** მხოლოდ მერე შეხვდა. ალბათ, ისიც გეხსომებათ, რომ მაშინ გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა, ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის მეცნიერ-თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ლევან ჭოტორლიშვილმა** ფრაუ ბერბოკი კრეტინად გამოაცხადა და სოციალურ ქსელებში ასეთი რამ დაწერა: *„ორიოდე შტრიხი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრზე: წარმოიდგინეთ გერმანელი* ***ლევან ხაბეიშვილი*** *კაბაში. ქურქუმულზე უარესები აქვს ნათქვამი. გაუნათლებლობის გარდა უტვინოა და აქვს ხასიათის ის თვისებები, რაც ხაბეიშვილს ამსგავსებს.* ***სწორედ მაგ თვისებების გამო შეარჩიეს ოკეანის გაღმა და ამუშავებენ გერმანიის და ევროპის ინტერესების საზიანოდ. გერმანელებს, ვისაც ვიცნობ და ტვინი ვისაც მოეკითხება, ყველას რცხვენია მინისტრის გამო!"***

**ანალენა ბერბოკზე** არანაკლებ სამარცხვინოა **ელჩი პეტერ ფიშერიც,** რომელიც დიდი ხანია, **მამუკა ხაზრაძის** კუდის ამწევადაა ქცეული. შეიძლება ითქვას, რომ **მამუკა ხაზარაძე** და გერმანიის ელჩი **პეტერ ფიშერი** თანამედროვეობის **გორბაჩოვად და რაისა მაქსიმოვნად** ჩამოყალიბდნენ. სადაც ხაზარაძეა, იქვეა ფიშერიც! თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გერმანიის ელჩს სხვა უფრო მნიშვნელოვანი „დანიშნულებაც" აქვს... აი, მაგალითად, წინა კვირას მან პლატფორმა — „X"-ზე გერმანიის კანცლერის **ოლაფ შოლცის** განცხადება გაავრცელა, რომელშიც ვკითხულობთ: *„ბოლო დღეებში იზრდება პოლიტიკურად მოტივირებული შუღლი და თავდასხმები. ჩვენ არ გვაქვს სიძულვილისა და ძალადობის მიმართ შემწყნარებლობა. ხალხის უმრავლესობა ღირსეულია. მათი ხმა უდავოდ უნდა ისმოდეს".*

ეს ყველაფერი ისე გასაღდა, თითქოს **შოლცი** საქართველოში განვითარებულ პროცესებზე ლაპარაკობდა, რაც ნაცსექტანტებმა მაშინვე აიტაცეს და ერთი ჟივილ-ხივილი ატეხეს — არიქა, ქვეყანა თავზე გვექცევა და კიდევ კარგი, გერმანიამ ხმა ამოიღოო! არადა, უმალ გაირკვა, რომ შოლცი ამას საქართველოზე კი არა, გერმანიაზე ამბობდა!

> **ჯაყოს ხიზნები უხერხემლო, მაგრამ წესიერი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ... ხაზარაძის ხიზანი პოლიტიკური თაღლითი და გარეწარია, რომელიც საქართველოში გერმანიის ინტერესებს კი არა, მაიდნისა და ქვეყნის გადაბუგვის სცენარს ლობირებს!**

**ხაზარაძის ხიზნის ვირეშმაკობა რომ გაიშიფრა და ელჩი ტყუილში ამხილეს, პეტერ ფიშერი და მთელი თავისი საელჩო უსირცხვილოდ გამოვიდნენ და განაცხადეს:** *„კანცლერის განცხადება შეეხებოდა გერმანიაში კონკრეტულ სიტუაციას, თუმცა, ზოგადად, ეს სიტყვები საყოველთაო ხასიათისაა. მჯერა, რომ კანცლერის სიტყვებს ეთანხმებით!"*

**ჯაყოს ხიზნები** უხერხემლო, მაგრამ წესიერი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ...

**ხაზარაძის ხიზანი** პოლიტიკური თაღლითი და გარეწარია, რომელიც საქართველოში გერმანიის ინტერესებს კი არა, მაიდნისა და ქვეყნის გადაბუგვის სცენარს ლობირებს!

დასასრულ, **„ფიშერ"** გერმანულად მეთევზეს ნიშნავს...

ვატყობთ, საქართველოს ჭეშმარიტი მეგობრის **ჰუბერტ ქნირშის** შემდეგ **პეტერ ფიშერი** ქვეყანაში წყლის ასამღვრევად და მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად შემოაგზავნეს, მაგრამ დიდი ეჭვი გვაქვს, რომ **ხაზარაძეც და მისი ხიზანიც** თევზის ნაცვლად „საბას" პრემიით გასხივოსნებულ „შაბანას", „ბალაყანას" ან „წვერებიან ნაგაზს" უფრო დაიჭერენ!

***დიტო ჩუბინიძე***

# ხაზარაძისა და მისი ხიზნისაგან ყველანაირი სისაძაგლეა მოსალოდნელი!

## კვირგვინოსნები



**მამუკა ტულკაძე**
*მოძრაობა „სოლიდარობა საქართველოსთვის" ლიდერი*

**სააკაშვილს** პრეზიდენტი, სავარაუდოდ, **ოქტომბერში შეიწყალებს.**

„ახალი თაობა"



**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*

„ქართული ოცნება" **რუსული სპეცჯგუფია,** რომელსაც საკონსტიტუციო გადატრიალების მცდელობა ჰქონდა. **მოხდა სრული ლუსტრაცია.**

„ახალი თაობა"



**როման გოცირიძე**
*პარლამენტარი*

რეფერენდუმზე კი არა, **თვითმფრინავით დასავლეთში გაფრენაზე** არ უწერს **კობახიძე** ხელს პრეზიდენტს.

„ახალი თაობა"



**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*

რატომ აიჩემა **სააკაშვილმა** ეს **საერთო სია,** ვერ გავიგე. ყველას უჩნდება ეჭვი, **„ოცნების" თამაშს ხომ არ თამაშობს?**

„რეზონანსი"



**ვიქტორ სანიკიძე**
*პარლამენტარი*

რობოტებივით დგანან და იმეორებენ: **„რუსული კანონი".** ვითომ **„გულანთებული ახალგაზრდების"** სახელით მოქმედებენ, მაგრამ **ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლები აღმოჩნდებიან ხოლმე.**

„ინტერპრესნიუსი"

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



მე არც ქურქუმალის დარდი მაქვს, არც თინათინისა, მე მარტო იმაზე ვფიქრობ — ქურქუმალის თავმჯდომარეობის პერიოდში უფრო კარგად ვხალისობდი თუ თინათინის თავმჯდომარეობის პერიოდში უფრო კარგად ვიხალისებ?

**მა როგო გინდათ? ამ დუნიაზე ყველა თავისი ინტერესებიდან გამოდის და ვითამ მე რატომ არ უნდა გამოვიდე ჩემი ინტერესებიდან?**

# თინათინ კურკუმალობდა!

**ბონდო მძინარაშვილმა** დაწერა — **კურკუმალი** არ დაიკარგება, ბოლო-ბოლო, წავა და უნივერსიტეტში ლექციებს წაიკითხავსო.

თავიდან კი გამეცინა, მაგრამ მერე დავეთანხმე — **რა, კურკუმალის მსგავსი „გენიოსებით“ არ არი გადაძეძგილი ჩვენი უნივერსიტეტები?**

მე მეუბნებიან — თსუ-ში ისეთები ჰყავთ პროფესორებად მიწვეული, არც ცენზი აქვთ, არც — ცოდნა, არც — გამოცდილება, არც — სამეცნიერო ხარისხი და მაინც ყელყელაობენო.

**ჰოდა, ეგეთი ხო კურკუმალიც არი, ხელი რამ უნდა შეუშალოს?**




# კიდე ჩაგვაბარეთ რუსეთს, ბატონო ირაკლი!



ვუყურებდი, ვუსმენდი და თან ვფიქრობდი — **ახლა მე რომ ამის ადგილზე ვიყო, ვილაპარაკებდი ასეთი მოთმინებით, აუღელვებლად და თანმიმდევრულად?**

არა, გეფიცებით, არა და ვერა!

მე სულ რაღაც ორიოდე წუთით ყველას გავაჩუმებდი და მივახლიდი: **გასწით, თქვენი პატრონი დედაც, თქვე იმნაირებო და ამნაირებო, დუპლეტებო, აბუეტებო, კრეტინებო, წუპაკებო, ძონძებო და ჩურჩუტებო-მეთქი!**

მერე კი... მერე ამ ე.წ. ჟურნალისტებს სამი თითის კომბინაციას ვაჩვენებდი და ჩემ გზას გავუდგებოდი!

ახლა ხვდებით, რატომ არ ვარ პრემიერ-მინისტრი ან კიდე რომელიმე თანამდებობის პირი?!

☺

ბათუმში 582 ოჯახს ბინები გადაეცა და ამ დროს ეს უნიფხვოები მისდგომიან ირაკლი კობახიძეს და — რუსეთს რომ ჩაგვაბარეთ, ამაზე პასუხისმგებლობას ვინ იღებსო?

ირაკლიმ — **რა სისულელეებს ლაპარაკობთო?**

არა, ბიჭო, ბარე ორასჯერ გაუმეორეს — **რუსეთს რომ ჩაგვაბარეთ, ამაზე პასუხისმგებლობას იღებთო?**

თუკი რუსეთში ბინებს აეგრე არიგებენ უფასოდ, მაშინ კაი ყოფილა, რას ერჩით?

**კიდე ჩაგვაბარეთ რუსეთს, ბატონო ირაკლი, კიდე!**




# გაამჭვირვალეთ ეს ოხრები!

**დილით რო ადგები, ფლოსტებში ფეხებს წაჰყოფ, ყავას მოწრუპავ, სიამოვნებით ამოიხვნეშებ და ამ დროს დაგირეკავენ რუსეთიდან — „კოკა-კოლის“ პარტია კარგად გავიდა, „დავაი“, კიდევ გამოგვიგზავნეთო, — ეგ ძაან მაგარი რაღაცაა!**

ჰო, რავი, ეგრე არ იყო?

რუსეთმა უკრაინას ომი გამოუცხადაო, ამის გამო „კოკა-კოლამ“ იქ მოღვაწეობაზე უარი თქვაო და... ამ დროს მაღაზიებში ე.წ. ქართული „კოკა-კოლა“ ეყარა!

ახლა როგოა, **ხომ ისევ ჩვეულებრივად იყიდება „კოკა-კოლა“ რუსეთში, ელტონ?**

**ჰა, აღარ არი რუსეთი ოკუპანტი და გათახსირებული?**

☺

კიდე ისა, სოფოჯან — **თუ სამშობლოს გაყიდვა გინდა სარფიანად, „ელჩიპიტური“ ლიტერატურა უნდა დაუბეჭდო ბავშვებს და „მაკდონალდსში“ დაულაგო.**

ჰა, ჰა, ჰა!

**პირველად ვნახე, შე ქალო, სამშობლოს გამყიდველი სხვას ეკითხებოდეს — ნეტავ როგორი გრძნობაა, რომ დგები და სამშობლოს გასაყიდად მიდიხარო?** გეგონება, შენ და მამაშენს ჯერაც არ გაგიყიდნიათ სამშობლო!

რაც შეეხება იმათ, ვისაც შენ გულისხმობ — მათ არაფერი გაუყიდიათ, პირიქით, მათ უნდათ, ქართველმა ხალხმა იცოდეს, „ელჩიპიტური“ ბროშურები რომ დაბეჭდეთ და „მაკდონალდსში“ ბავშვებს ცხვირწინ დაუდეთ, **ეს ვისი დაკვეთა იყო?**

**ჰოდა, როცა გაგამჭვირვალებენ,** ყველა გაიგებს, ვის მიჰყიდეთ შენ და მამაშენმა ჩვენი სამშობლო!

# მარადიული ავადმყოფი



**ეს დუპლეტი ყველაფერზე ლაპარაკობს, გარდა წაყენებული ბრალდებებისა.**

ერთი ის მაინც გამაგებინა, როცა განაჩენის გამოცხადების დღე დადგება, რის საფუძველზე უნდა მიუსაჯონ, პოლიტიკური განცხადებების მიხედვით?

**რავი, მე უკვე ისეთი შეგრძნება მაქვს, ამისი ე.წ. სასამართლო პროცესი უსასრულოდ გაიწელება და ყველა „სასჯელს“ „ვივამედში“ მოიხდის!**

☺

ერთხელ მოსამართლე **ბადრი კოჭლამაზაშვილმა** ამას მიკროფონი გაუთიშა — **აქ პოლიტიკურ განცხადებებს არ გაგაკეთებინებო.** მომეწონა — **ეგე, კახურმა სისხლმა იყივლა-მეთქი,** თუმცა, რა? ეგ იყო ერთხელ, მას მერე ზის ბადრი და უსმენს მაზოხისტივით. ეტყობა, ეგეცა ხვდება, რომ **„კვდება-კვდებაოს“ ძახილში,** მართლაც დაავადდა **ბიულევიჩი** და „ვივამედიდანაც“ ვეღარასოდეს გამოვა!

## კვირგვინოსნები

**მიხაელ როთი**

*გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



**ლგბტ თემის წინააღმდეგ რუსულ სტილში რეპრესიები** საქართველოს ევროპული ამბიციებისთვის კიდევ ერთი გამაფრთხილებელი ნიშანია. **მმართველმა პარტიამ უნდა შეწყვიტოს ინიციატივები,** რომლებიც საქართველოს მომავლის განადგურებას უკავშირდება.

**ყველა რელიგია და მორწმუნეები უნდა შეურიგდნენ კრიტიკას,** ზოგიერთს ჯერ კიდევ აქვს ამის პრობლემები, ჩემ შემთხვევაში ეს არის **საქართველოს მართლმადიდებლობა და ისევ და ისევ ისლამი.**

„პირველი არხი“

**ლევან იზორია**

*გერმანიაში საქართველოს ელჩი*



ძვირფასო როთ, **სხვადასხვაა კრიტიკა და უგულებელყოფა,** მცდელობა გქონდათ, **მომავალი თაობისგან გაგემიჯნათ მართლმადიდებელი ეკლესია,** ჩვენი ტოლერანტობა მსოფლიოში სამაგალითოა.

„პირველი არხი“

**რატი იონათამიშვილი**

*პარლამენტარი*



**ნაციონალური მოძრაობა არ ასაჯაროებს მათ ოფისთან მომხდარ ინციდენტის კადრებს,** მათი ეს ქმედება ორ შესაძლებლობას ტოვებს, **ან ამ პარტიის წარმომადგენლებმა ჩაიდინეს რაიმე საშინელება,** რისი გამოჩენაც არ უნდათ, **ან თავად დადგეს სპექტაკლი.**

„რუსთავი-2“

**ნიკა მელია**

*პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



რა სურს ნაციონალურ მოძრაობას, **სააკაშვილს, მერაბიშვილს და კეზერაშვილს,** ეს არის მათი ლეგიტიმური უფლება, მათ აქვთ თავიანთი მოსაზრება — ჩვენ მიგვაჩნია, რომ **სხვაგვარი კონფიგურაციით უნდა წარვდგეთ.** „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს ვერ მოიგებს — **ეს ხელისუფლება დაისჯება** ქართველი ხალხის მიერ ოქტომბრის ბოლოს.

„ინტერპრესნიუსი“

# გარეული კორტნეები და შინაური პავლიკ მოროზოვები საქართველოს უკრაინიზაციის გეგმას აღარ მალავენ!

***გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში საქართველოსთან დაკავშირებული ე.წ. მეგობარი აქტის განხილვამ, რაშიც ქართული წარმოშობის თანამედროვე პავლიკ მოროზოვები, ანუ საკუთარი სამშობლოს დამსმენები მონაწილეობდნენ, ქართველ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.***

სანამ იმაზე ვიტყოდეთ, როგორ **დაკორტნა** საქართველო აშშ-ის ყოფილმა ელჩმა **უილიამ კორტნიმ** და როგორ პირაქაფებული ითხოვდნენ საკუთარი ქვეყნის დასჯას კონგრესში მიწვეული **ქართველი პავლიკ მოროზოვები — ვანო ჩხიკვაძე და ნატალია საბანაძე,** ხამს, ორიოდე სიტყვა თავად ე.წ. მეგობარი აქტის შესახებ ითქვას.

ეს გახლავთ კონგრესმენ **ჯო უილსონის** მიერ ინიცირებული დოკუმენტი, რომელიც უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღების გამო ქართული სახელმწიფოს დასჯას, კერძოდ კი, კანონის მხარდამჭერი ქართველი დეპუტატებისათვის სანქციების დაწესებას ითვალისწინებს.

მოკლედ რომ მოვჭრათ, კონგრესში ინიცირებული ე.წ. **მეგობარი აქტი** არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი ხელისუფლების მცდელობა, ყური აუწიოს და სილა გააწნას საქართველოს, რომელმაც გლობალურ ომის პარტიასთან ურჩობა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გასამყარებელი ნაბიჯების გადადგმა გაბედა.

შესაბამისად, დოკუმენტის სახელწოდება — **„მეგობარი აქტი“** — ზუსტად ისეთივე ყალბი და ფარისევლურია, როგორიც დღევანდელი ამერიკული დემოკრატია და სამართალი, რომელმაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში **ჯო ბაიდენის** მთავარ კონკურენტ **დონალდ ტრამპს** ერთბაშად 34 ბრალდება წაუყენა, ყველა მათგანში გაამტყუნა და 561-წლიანი პატიმრობის მისჯას უპირებს.

თვითონ ის ფაქტი, რომ ამერიკელმა პოლიტიკოსებმა საქართველოსადმი მტრულად განწყობილ და შურისმაძიებელ დოკუმენტს **„მეგობარი აქტი“** უწოდეს, სიმბოლურად გამოხატავს ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობის არსს ბოლო 30 წლის განმავლობაში, როცა თბილისისადმი ვაშინგტონის ბატონყმური და კოლონიზატორული დამოკიდებულება **„მეგობრობისა“ და „სტრატეგიული პარტნიორობის“** კეთილხმოვანი ცნებებით იყო შენიღბული.

ტყუილად როდი თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** — **კონგრესში ინიცირებულ დოკუმენტს სათაურად „მეგობარი აქტი“ კი არა, „დაუძინებელი აქტი“ მოუხდებოდა, რადგან მასში პირდაპირ საქართველოს მტრობაზეა საუბარიო!**

ჰოდა, ამერიკის კონგრესში საქართველოს შესახებ **მტრული აქტის** განხილვაზე მოწმეებად იყვნენ გამოძახებული უცხოური გავლენის ტიპური აგენტები — **ვანო ჩხიკვაძე და ნატალია საბანაძე.** აქედან პირველი საქართველოში სოროსის ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, ხოლო მეორე — საქართველოს ყოფილი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის საჰერცოგოში. **ორივე მათგანი ამერიკელ კონგრესმენებს რამდენიმე საათის განმავლობაში უმტკიცებდა, რომ ქართულ სახელმწიფოს არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობის დაკანონება არ უნდა ეპატიოს და ქართველი დეპუტატები, რომლებმაც კანონს ხმა მისცეს, სანქციებით უნდა დაისაჯონ.**

ამერიკის კონგრესში საქართველოსთან დაკავშირებული მტრული და შურისმაძიებლური დოკუმენტის განხილვა ქართული ტელეარხების პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და ქართველი საზოგადოება საკუთარი ყურით უსმენდა ორ **ქართველ პავლიკ მოროზოვს,** რომელიც საოცარი გზნებითა და მონდომებით სწამებდა ცილს საკუთარ ქვეყანას და აბეზღებდა საკუთარ სახელმწიფოს, რათა ჩანასახშივე ჩაეკლა საქართველოს სწრაფვა მრავალწლიანი ვასალობიდან თავის დაღწევისა და რეალური დამოუკიდებლობისაკენ.




უილიამ კორტნი აშშ-ის კონგრესში საქართველოს დაკორტნისას!

# ამერიკელმა კორტნიმ საქართველო დაკორტნა!

**თუ ბოლშევიკურმა რეჟიმმა მამის დამბეზღებელი პავლიკ მოროზოვი გმირად შერაცხა, ლიბერალიზმის მანტიაში გახვეულმა ქართველმა ნეობოლშევიკებმა სამშობლოს დამბეზღებელ პავლიკ მოროზოვებს — ვანო ჩხიკვაძესა და ნატალია საბანაძეს აპლოდისმენტები მიუძღვნეს და ხოტბა შეასხეს.** ის კი არა, ზოგიერთმა მათგანმა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელმა **გიორგი რუხაძემ** განაცხადა — **ჩხიკვაძისა და საბანაძის ადგილას რომ ვყოფილიყავი, კონგრესში უარესებს ვილაპარაკებდიო!** ესე იგი, უფრო მაგრად ჩავუშვებდი და დავასმენდი საქართველოს ამერიკელი პატრონების წინაშეო!

ასეა, ზოგიერთი ცდილობს, რომის პაპზე დიდი კათოლიკე იყოს, ზოგიერთი კი მზად არის, **პავლიკ მოროზოვზე** დიდი **პავლიკ მოროზოვი** გახდეს!

სოროსის ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელის **ვანო ჩხიკვაძის** მიერ ამერიკის კონგრესში საქართველოს დაბეზღება და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრის მცდელობა კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ **სოროსის ფონდის სახით საქართველოში ფუნქციონირებს მკვეთრად ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ორ-**

**1932 წელს საკუთარი ოჯახის წევრების დამსმენი ციმბირელი ბიჭუნას, ბელარუსული წარმოშობის პავლიკ მოროზოვისაგან განსხვავებით, 2024 წელს**

**ამერიკის კონგრესში ვიხილეთ ზრდასრული და ინგლისურად მოსაუბრე, წარმოშობით ქართველი პავლიკ მოროზოვები, რომლებიც საკუთარ სამშობლოს**

**ზუსტად ისე აბრალებდნენ დემოკრატიისა და პროდასავლური კურსის ღალატს, როგორც პიონერმა პავლიკამ დააბრალა კულაკობა ღვიძლ მამას, ბიძასა და ბაბუას.**

# ეს არის გამოცხადებული

## კვირგვინოსნები

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ღალატი პირდაპირ ეთერში** — სხვას ვერაფერს დაარქმევ ამერიკის კონგრესში **საქართველოს ორი მოღალატის** — **ნატა საბანაძის და ვანო ჩხიკვაძის** გამოსვლას! დარწმუნებული ვარ, **არჩევნებზე ქართველი ხალხი სათანადო პასუხს გასცემს ამ საშინელ ღალატს** და ისტორიულ სანაგვეზე მოისვრის ყველა მავნებელს და ქვეყნის მოღალატეს!

„აიპრესი“

**ემზარ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



21-ე საუკუნის **უსამშობლოებმა** თავიანთ პატრონებთან „დემოკრატიის“ საბაბით **მოითხოვეს იმ ქვეყნის დასჯა, რომელშიც, საუბედუროდ, დაბადებულნი და გაზრდილები არიან.** ასეთი სულგაყიდულ-სულწარწყმედილ-გადაგვარებული **ჩხიკვაძეები, ხუციშვილები, საბანაძეები, ნათელაშვილები,** სამწუხაროდ, მრავლად ჰყოლია საქართველოს.

„იმედინიუსი“

**ნატალია საბანაძე**
*ევროკავშირში საქართველოს მისიის ყოფილი ხელმძღვანელი*



დღეს **საქართველოს დემოკრატია ნადგურდება** საპარლამენტო უმრავლესობის ხელით. არსებობს ზომები, მაგალითად, **სანქციები, რომლებიც უნდა იყოს მიზანმიმართული,** ინდივიდუალურმა პირებმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ. ეს მოიცავს სავიზო აკრძალვებს, ფინანსურ სანქციებს.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ხმალაძე**
*კონსტიტუციონალისტი*



შევამოწმოთ, **უნდა თუ არა ჩვენს მოქალაქეებს ევროკავშირში შესვლა?** ვფიქრობ, რომ არც ეს საკითხი არ დამდგარა ეჭვქვეშ არასოდეს და არც არავის დაუყენებია. **მაშინ რად გვინდა რეფერენდუმის ჩატარება?**

„რეზონანსი“





ვანო ჩხიკვაძე და ნატალია საბანაძე აშშ-ის კონგრესში საქართველოს დასმენისას!




# ქართული წარმოშობის პავლიკ მოროზოვებმა – ვანო ჩხიკვაძემ და ნატალია საბანაძემ საქართველო ამერიკის კონგრესში დააბეზღეს!

განიზაცია, რომელიც კანონგარეშე სუბიექტად უნდა გამოცხადდეს და ქვეყნიდან იქნას გაძევებული.

**რაც შეეხება მდედრობითი სქესის პავლიკ მოროზოვს – ნატალია საბანაძეს, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს ელჩის თანამდებობას 2013–2021 წლებში, ანუ დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც იკავებდა, იგი „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებული მძიმე საკადრო შეცდომების კიდევ ერთი ნათელი, უფრო სწორად, კიდევ ერთი ბნელი მაგალითია.**

ჰოდა, იმ ფონზე, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ქართული სახელმწიფოსათვის გახაზირებულ ბალღამის ფიალაში **ქართველმა პავლიკ მოროზოვებმა** თავიანთი წილი შხამი და სამსალა გაურიეს, რაღა გასაკვირია, რომ **ამერიკელ უილიამ კორტნის** საქართველო დაეკორტნა?

კერძოდ, საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა უილიამ **კორტნიმ,** რომელიც ე.წ. მეგობარი აქტის განხილვაში მონაწილეობდა, განაცხადა:

***„საქართველო ახლა გზაგასაყარზეა, როგორც 2014 წელს — უკრაინა. თუ არჩევნები მასობრივად გაყალბდა, შეიძლება, საქართველოში ასევე მოხდეს რევოლუცია. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, დამოუკიდებელი დამკვირვებლები გავგზავნოთ და გავაკრიტიკოთ ხელისუფლება“.***

**უილიამ კორტნის** ეს განცხადება პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ აშშ-ის ადმინისტრაციას საქართველოში ზუსტად ის აქვს დაგეგმილი, რაც 2014 წელს უკრაინაში გააკეთა — **ე.წ. მაიდანი, „არჩევნების გაყალბების“ საბაბით!**

**„თუ არჩევნები მასობრივად გაყალბდა“** და **„ჩვენ შეგვიძლია, დამოუკიდებელი დამკვირვებლები გავგზავნოთ“** — **კორტნის** ეს ფრაზები ნიშნავს, რომ აშშ-ს გადაწყვეტილი აქვს, საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, თავის „დამოუკიდებელ დამკვირვებლებზე“ დაყრდნობით, გაყალბებულად გამოაცხადოს, რაც კოლექტიური დასავლეთის მეხუთე კოლონისათვის მწვანე შუქი იქნება ხელისუფლების დასამხობად.

**კოლექტიური დასავლეთი, აშშ-ის მეთაურობით,** საქართველოში მორიგ **„ფერად რევოლუციას“** რომ გეგმავს და ამისათვის „გაყალბებული არჩევნების“ სარჩულს ამზადებს, ამასვე მოწმობს ევროპარლამენტარ **ვიოლა ფონ კრამონის** პოსტიც, რომელიც მან, **კორტნის** განცხადების კვალდაკვალ, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა:

***„ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი შიში არჩევნებში დამარცხებაა. ამის გამო, ბიძინა და მისი თანამოაზრეები მზად არიან, ხელისუფლებაში დარჩენისათვის ყველაფერი გააკეთონ. შესაბამისად, მომავალი არჩევნებისათვის გაყალბების დონე წარმოუდგენლად მაღალი იქნება“.***

როგორც ხედავთ, **ფონ კრამონი** საქართველოს დაკორტნაში **კორტნიზე** შორს წავიდა და 26 ოქტომბერს გასამართი საპარლამენტო არჩევნები წინდაწინვე გამოაცხადა გაყალბებულად.

როგორც **გაბრიელ გარსია მარკესის „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაში“** დანით შეიარაღებული ძმები ვიკარიოები ყველას ღიად ეუბნებიან — სანტიაგო ნასარი უნდა მოვკლათო, სწორედ ასე იქცევიან **უილიამ კორტნი, ვიოლა ფონ კრამონი და კოლექტიური დასავლეთის სხვა წარმომადგენლები,** რომლებიც არ მალავენ და ღიად აცხადებენ, რომ საქართველოში რევოლუციის მოწყობას აპირებენ!

**ესე იგი, საქმე გვაქვს გამოცხადებული რევოლუციის ქრონიკასთან!**

არც ის არის შემთხვევითი, რომ **საქართველოს დამკორტნავი კორტნი** და სხვებიც პირდაპირ პარალელს ავლებენ 2014 წლის უკრაინულ მაიდანთან, რადგან სწორედ იმაზე აქვთ გათვლა, რომ „თბილისურმა მაიდანმა“ საქართველოს ისეთივე შედეგები უნდა მოუტანოს, როგორიც მაიდნის შემდეგ უკრაინამ იწვნია — **ომი, ნგრევა, ახალი ტერიტორიების დაკარგვა და სახელმწიფოებრიობის მოსპობის რეალური საფრთხე!**

და ეს ყველაფერი რისთვის?

**იმისათვის, რომ** რუსეთის საზღვართან ცეცხლის კიდევ ერთი კერა გაჩნდეს!

**იმისათვის, რომ** გლობალური ომის პარტიამ, ანუ ამერიკის სამხედრო ინდუსტრიულმა კომპლექსმა კიდევ უფრო გაზარდოს იარაღის წარმოება და კიდევ მეტი მილიარდები მოქაფოს!

**იმისათვის, რომ** სამხრეთ კავკასიაში ვითარების აფეთქებით დაიბლოკოს ე.წ. შუა დერეფანი, როგორც ჩინური ტვირთების ევროპაში მოხვედრის ყველაზე მოკლე და სარფიანი გზა!

კი, ამის გამო კორტნიან საქართველოს გარეული კორტნები და შინაური პავლიკ მოროზოვები!

ამის გამო აღარ მალავენ საქართველოს უკრაინიზაციის გეგმას!

ხოლო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია, **საქართველოს დამკორტნავ გარეულ კორტნებსა და შინაურ პავლიკ მოროზოვებს** გეგმები ჩაუშალოს, ქართველი ხალხია, რომელმაც 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის არნახული თვითმობილიზაცია უნდა გამოაცხადოს და გლობალური ომის პარტია საარჩევნო ურნებთან დაამარცხოს!

**ქართველი ხალხი ამისათვის მზად არის და ქართველი ხალხი ამას გააკეთებს!**

## რევოლუციის ქრონიკა!

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



ევროპა დღეს **ომისთვის ემზადება,** რაც დაუშვებელია.

„რეზონანსი“

**ემანუელ მაკრონი**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*



**ევროპა შეიძლება მოკვდეს,** რადგან, თუ ევროპა გულუბრყვილო იქნება, თუ ევროპა ყველაფერს არ გააკეთებს იმისათვის, რომ საკუთარი თავი დაიცვას და ინვესტიცია ჩადოს თავისი ზრდის ახალ მოდელში, **ის წაიშლება.**

„იმედინიუსი“

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



მშვიდობა იმის უზრუნველყოფაა, რომ **რუსეთი ვეღარასდროს შეძლებს უკრაინის ოკუპირებას** და ეს არ ნიშნავს ნატოს ნაწილად ყოფნას.

„რეზონანსი“

**არმაზ ახვლედიანი**
*დამოუკიდებელი პარლამენტარი*



ვვარაუდობ, **სანქციები ორ ეტაპად იქნება:** პირველი უახლოეს დღეებში, მეორე დარტყმა კი არჩევნებისას — **ზომები, რასაც აშშ-ის მთავრობა მიიღებს, რეჟიმისთვის დამანგრეველი იქნება** და „ქართული ოცნება“ ამას ვერ გაუძლებს.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ფავლენიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის მოადგილე*



მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, **დააჩქარონ სანქციები იმ პოლიტიკური გუნდის მიმართ,** რომელიც ზონდერდაჯგუფებების გაერთიანებად იქცა.

„რეზონანსი“

*წინა კვირას ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლმა და სისხლიანი გადატრიალების დღეებში თბილისის კომენდანტმა* **გოჩა ბახიამ** *ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, იაგო ხვიჩიასთან საუბრისას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ სკანდალური ინფორმაცია გააჟღერა. ჩვენ საგანგებოდ დავუკავშირდით სენსაციური ცნობების დღის სინათლეზე გამომტანს და ვრცელი საგაზეთო ინტერვიუ მოვამზადეთ.*



**გოჩა ბახია:**

„ჩემი ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე დღეს, სულ მცირე, ათი-თორმეტი კაცი მაინც ცხოვრობს, რომელიც ზვიად გამსახურდიას წამებასა და მკვლელობაში მონაწილეობდა!“



# შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას პირდაპირ უთხრა – გადადექი, თორემ მოგკლავთო!

**გოჩა ბახია:** — თავიდანვე ხაზგასმით ვაცხადებ — იმ მოვლენების დროს, რომელთა შესახებაც ამ საგაზეთო ინტერვიუში მომიწევს საუბარი, მე სამეგრელოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ზვიად გამსახურდიას სახით ისეთი კაცი დავკარგეთ, პირველი პრეზიდენტის მკვლელობაზე გაჩერება და გაჩუმება არ შეიძლება.

**— ბატონო გოჩა, ის, რაც სატელევიზიო სიუჟეტში ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ილაპარაკეთ, თქვენი ანალიზის შედეგია თუ კონკრეტულ ინფორმაციასა და წყაროს ეყრდნობით?**

— არავითარი ანალიზი, რასაც ვამბობ, ყველაფრის უკან ჩემი წყაროები დგანან, რომლებსაც ვენდობი და მათი მჯერა. სხვათაშორის, იმ გადაცემაში **იაგო ხვიჩიამ** მკითხა — პრეზიდენტს როდის დაშორდითო? ზვიად გამსახურდიას დავშორდი აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ...

**— რა გახდა ამის მიზეზი?**

— ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა კაცი, რომელიც შეგვხვდა და პირდაპირ გვითხრა — ან ასე გააკეთებთ, ან — ასე და ასე მოხდება ყველაფერიო!

**— დააკონკრეტეთ, ვინ ჩამოვიდა, ვისა და ვის შეგხვდათ, სად და მაინც რა გითხრათ?**

— საუბარი შედგა გროზნოში, სამ კაცში... საუბარში ვმონაწილეობდით: ბატონი ზვიადი, მე და ის ამერიკელი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის არადიპლომატიური მისიის წარმომადგენელი იყო. რამდენადაც მახსოვს, ეს შეხვედრა გაიმართა 1992 წლის აპრილში, რადგან ზვიადის დაბადების დღე — 31 მარტი უკვე ჩავლილი იყო, ხოლო ამერიკის სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს ბეიკერი** საქართველოში ჯერ კიდევ არ გახლდათ ჩამოსული. მოგეხსენებათ, ბეიკერი თბილისში 1992 წლის 26 მაისს ჩამოვიდა და შევარდნაძეს ხელისუფლება უკურთხა. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი შეხვედრა გაიმართა გროზნოში 1992 წლის 14 აგვისტომდე, ვიდრე შევარდნაძე აფხაზეთში ომს დაიწყებდა.

ამერიკელები ბეიკერის საქართველოში ვიზიტის წინ სიტუაციას ამოწმებდნენ და აქაურობას ზვერავდნენ, რათა მასზე თავდასხმა არ მომხდარიყო. ეს ამერიკელი ბატონმა ზვიადმა ჯერ არ მიიღო, შემდეგ მაინც შეხვდა და, როგორც გითხარით, საუბარს მეც ვესწრებოდი. ამერიკელი **ჯოჰარ დუდაევსაც** შეხვდა...

**— ამერიკელი ზვიად გამსახურდიას მაინც რისთვის შეხვდა?**

— პირველ რიგში, შეხვედრის მიზანი გარანტიის მიღება იყო იმაზე, რომ **ბეიკერის** ვიზიტის დროს თბილისში ჩვენი მხრიდან რამე ექსცესი არ მოხდებოდა და სახელმწიფო მდივნის უსაფრთხოება დაცული იქნებოდა. ამის შემდეგ იმ ამერიკელმა ბატონ ზვიადს ასეთი რამ უთხრა — **გირჩევთ, შეწყვიტოთ ყოველგვარი წინააღმდეგობა, გაჩერდეთ და ხუთი წლის შემდეგ, როცა ამერიკაში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვლება, ისევ გააქტიურდეთო!**

ამერიკელმა გვითხრა, რომ პრემიერ-მინისტრი **ბესარიონ გუგუშვილი** ლეფორტოვოს ციხეში იჯდა, კიდევ ერთი მინისტრი დაჭერილი იყო, აქტივისტებიც დაჭერილები იყვნენ და არავითარი შანსი არ გვქონდა... მან გადმოიღო წიგნაკი და ჩამოგვითვალა, რამდენი ავტომატი, ქვემეხი, ჯარისკაცი და საბრძოლო მანქანა და ტყვია-წამალი გვქონდა... ისიც დაამატა — **მალე საქართველოში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბება და დიდი სისხლი დაიღვრებაო!**

**— ანუ იცოდა და გაგაფრთხილათ — შევარდნაძე აფხაზეთში ომს იწყებსო?**

— დიახ, მიგვანიშნა, რომ **შევარდნაძე** რაღაც ახალი საშინელების დასაწყებად ემზადებოდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **იმ ამერიკელმა გვირჩია, შეგვეწყვიტა შეიარაღებული წინააღმდეგობა, გადავსულიყავით მხოლოდ პოლიტიკურ ბრძოლაზე და, მაქსიმუმ, 5-7 წელიწადში ისევ მოგვეცემოდა შანსი.** ზვიადმა ეს რჩევა არ გაითვალისწინა და ამერიკელ მოციქულს მაშინვე უთხრა — ჩვენ იძულებული ვართ, თავი დავიცვათ, შევარდნაძე და მისი ბანდები ხალხს ატერორებენ, კლავენ, ძარცვავენ და რაც საქართველოში ხდება, სახალხო წინააღმდეგობაა, ამას ხალხი აკეთებს და არა ჩვენო! მე ნაწილობრივ გავითვალისწინე იმ ამერიკელის რჩევა...

ამის შემდეგ ამერიკელი **ჯოჰარ დუდაევს** შეხვდა. ეს შეხვედრა მე მოვაწყვე. გროზნოს სასტუმროში ორკაციანი ლუქსი მქონდა და ამერიკელი ჩემს ნომერში ცხოვრობდა. კაცმა პირდაპირ მითხრა — **არავითარ შემთხვევაში რუსებთან შეიარაღებულ კონფრონტაციაში არ შეხვიდეთ, თორემ ამოგხოცავენო!** რაც იმ ამერიკელმა გვითხრა, ყველაფერი იმ სცენარით წარიმართა. ამიტომ, როცა ზვიადი საქართველოში დაბრუნდა და იყო ერთი ამბავი — **„ავიღეთ ფოთი!“ „ავიღეთ სამტრედია!“ „ავიღეთ ზუგდიდი!“** ეს მე არ მიხაროდა, რადგან იმ ამერიკელისგან ვიცოდი, ბოლოს რაც მოხდებოდა!

**— როცა ზვიად გამსახურდია გროზნოდან საქართველოში დაბრუნდა, თქვენ მაშინ სად იყავით და რას აკეთებდით?**

— მაშინ აზერბაიჯანში, კერძოდ, ბაქოში ვიყავი. ჩემთან ერთად იყვნენ — **პეტრე გელბახიანი და ვიქტორ დომუხოვსკი.** აზერბაიჯანის პრეზიდენტი **აბულფას ელჩიბეი** გვეხმარებოდა და გვერდით გვედგა. **ისკანდერ ხალილოვი** იყო ჩემი მეგობარი... აზერბაიჯანში დაახლოებით 60 კაცი მყავდა, რომლებსაც ვაიარაღებდით, ვამზადებდით და ვწვრთნიდით. მერე ხალხის რაღაც ნაწილი — **ირაკლი დოკვაძის ჯგუფი** — გამოგვეყო და დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება. სწორედ ამას მოჰყვა ყვარლის ტყის ცნობილი ინციდენტი, როცა ჩვენი ბიჭების ნაწილი დახოცეს, ხოლო ნაწილი — დაატყვევეს. ტიპური ქართული ამბავი იყო — ყველას მეთაურობა უნდოდა!

**— მაინც რა მოხდა, როგორ მოკლეს ზვიად გამსახურდია?**

— ყველაფერი 1993 წლის 28 დეკემბერს მოხდა... ზვიად გამსა-



## „ეს ყველაფერი მოხდა სენაკის აეროპორტში, თვითმფრინავში!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ბახტაძე**
*თსუ-ის ასოცირებული პროფესორი*



ვეწინააღმდეგები იმ აზრს, რომ ჩვენი არსებობის შენარჩუნება ჩვენზე მეტად ვინმეს დამსახურებაა, ან თავისუფლების მოპოვებაში ვინმე სხვას გაეწიოს ჩვენზე მეტი ძალისხმევა. ყველაფერი **ჩვენი ბრძოლით მოვიპოვეთ**. რაც მომავალში მოხდება, ისიც **მხოლოდ ჩვენი დამსახურება იქნება.**

„კვირის პალიტრა“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



ბოლო რამდენიმე კვირაა, „ფართოდ დახუჭული თვალებით“ ვაკვირდები **გამჭვირვალობის ქართულ კანონზე** დასავლელი პოლიტიკოსების რეაქციებს და პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ ერთ დროს ჩვენთვის სანატრელ და მისაბაძ **ევროპულ ქვეყნებსა და ამერიკაში ტრაგიკულად მძიმე მდგომარეობაა.** ხანდახან არც კი მჯერა, რომ **დასავლეთის მსგავსი დეგრადირება** ჩვენ თვალწინ მოხდა, ხოლო ამაზე საუბრის დროს პირზე ხელს გვაფარებენ.

„რუსთავი-2“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ანალიტიკოსი*



საქართველოში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც **ჯერ ჩუმად არიან და არჩევნების წინ გააქტიურდებიან.** არ ვიცი, როგორი არჩევნები გვექნება და ვინ მოიპოვებს უმრავლესობას, მაგრამ ის დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ **კოალიციური მთავრობის შექმნა მოგვიწევს.**

„კვირის პალიტრა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



დღევანდელი ნაცმოძრაობა **ევროპისა და ამერიკისგან მხარდაჭერას ვერ იღებს.** ვერც ხელისუფლებაში მოვა, რადგან საზოგადოებაც არ მიიღებს, მაგრამ **შეიძლება მათი გარკვეული ჯგუფი მოვიდეს და კოალიციური მთავრობა იყოს.**

„რეზონანსი“

# „ოჯახში სპეცოპერაცია ჩაატარეს... დიდი ალბათობით, გამოიყენეს გაზი, რადგან ყველანი გათიშეს, დააძინეს და ზვიადი ისე აიყვანეს!“



გივი ლომინაძე

ხურდია სწორედ ამ დღეს მოკლეს, რადგან სპეცოპერაციაც ამ დღეს ჩაატარეს! **ტყუილია გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდია 1993 წლის 31 დეკემბერს მოკლეს...** 31 დეკემბერს ზვიადი უკვე სამი დღის მკვდარი იყო. სხვათაშორის, **იაგო ხვიჩიასთან** ინტერვიუში **ჯონსონ კვარაცხელია და ვალიკო ზარანდია** ერთმანეთში ამერია და ვთქვი, რომ საგანგებოდ შეარჩიეს **ჯონსონ კვარაცხელიას სახლი,** სადაც ვერტმფრენი ადვილად დაჯდებოდა-მეთქი. არა, ეს ჯონსონის კი არა, **ვალიკო ზარანდიას** სახლი და ეზო-კარი იყო...

**— მაინც, სად და რა ვითარებაში მოხდა ეს ყველაფერი და სპეცოპერაცია ვინ ჩაატარა?**

— ზვიად გამსახურდია და მისი მხლებლები 1993 წლის 28 დეკემბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, გამოვიდნენ **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან** და ჩასხდნენ „ვოლგაში“. ისინი ნამდვილად მივიდნენ **კარლო ღურწკაიას ოჯახში...** იყო ასეთი პიროვნება — **რამაზ (რამზი) რუხაძე,** რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმში მუშაობდა. სხვათაშორის, ეს **რამზი რუხაძე** სად არის, მკვდარია თუ ცოცხალი, კაციშვილმა არ იცის, კაცი გაქრა!

**— ანუ გზაში, როცა პრეზიდენტი და მისი ამალა ჯიხაშკარიდან ძველი ხიბულისკენ მიდიოდნენ, არავითარი ინციდენტი არ მომხდარა?**

— არა, იქ არაფერი მომხდარა, ამათ ეს გზა მშვიდობიანად გაიარეს და ასევე მშვიდობიანად მივიდნენ **ღურწკაიების ოჯახში.** აი, სწორედ იქ ჩატარდა სპეცოპერაცია და ზვიად გამსახურდია **კარლო ღურწკაიას ოჯახში** აიყვანეს. ამ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა სწორედ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენელი **რამაზ (რამზი) რუხაძე.** დაპატიმრებული ზვიად გამსახურდია **კარლო ღურწკაიას სახლიდან** წაიყვანეს და ჩაიყვანეს სენაკის აეროპორტში, სადაც თბილისიდან **შევარდნაძე** ჩამოფრინდა თვითმფრინავით...

**— ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე და ძმები ჩუხუები ამ დროს სად იყვნენ?**

— ესენი ყველანი — **ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე, ძმები ჩუხუები,** ცალ-ცალკე აიყვანეს და მერე, 1993 წლის 31 დეკემბერს, შეკრიბეს, როცა ზვიად გამსახურდია სამი დღის მკვდარი მიიყვანეს კარლო ღურწკაიას ოჯახში!

**— ეს ყველაფერი ძალიან შოკისმომგვრელია! მაშინ რა გამოდის, დაცვამ, ღურწკაიების ოჯახმა და გუგუშვილმა ყველაფერი იციან და ამდენი წელია, საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან?**

— ოჯახში სპეცოპერაცია ჩაატარეს... დიდი ალბათობით, გამოიყენეს გაზი, რადგან ყველანი გათიშეს, დააძინეს და ზვიადი ისე აიყვანეს! ხის სახლში გაზის გაშვებას არაფერი უნდა... რაც შეეხება უშუალოდ პრეზიდენტის მკვლელობას, ადამიანს თავში ტყვია რომ ხვდება, სისხლი და ტვინის ნაწილაკები გარეთ ისეთი მაღალი წნევით გამოიტყორცნება, რომ გარშემო, ორსამ მეტრში, ყველაფერი ისვრება. არადა, ამ დროს **ბესარიონ გუგუშვილი** და ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საწოლში, სადაც ზვიადმა ვითომდა თავი მოიკლა, ცოტა სისხლი იყო. **ცოტა სისხლი იმიტომ იყო, რომ სხვა ადგილას მოკლეს კაცი და მერე მიიყვანეს ღურწკაიების ოჯახში.** ეს კიდევ ცალკე სპეცოპერაცია იყო, რომელიც მას შემდეგ მოიფიქრეს და ჩაატარეს, რაც შევარდნაძე სენაკის აეროპორტში **გია გულუას** ეჩხუბა!

**— რატომ ეჩხუბა?**

— სენაკის აეროპორტში, თვითმფრინავში, შევარდნაძის თვალწინ **გია გულუა** ზვიად გამსახურდიას აწამებდა და ძვლებში ამტვრევდა. წამებისა და უმოწყალო ცემის დროს **გულუას** ხელში ეჭირა **„მარგოლინის“ პისტოლეტი,** რომელიც **„გეკოს“ ტყვიებს** ისვრის... „მარგოლინი“ საკმაოდ მძიმე იარაღია, დაახლოებით 1 კილოგრამს იწონის. პრეზიდენტს **გია გულუამ** ძვლები სწორედ „მარგოლინით“ ჩაულეწა და ამ დროს იარაღი გაუვარდა. **ზვიად გამსახურდიას** ტყვია ნიკაპის ქვეშ მოხვდა და მაშინვე გარდაიცვალა. თვითმფრინავში ატყდა ერთი ამბავი... შევარდნაძემ გულუას ჩხუბი დაუწყო — **მე ასე არ მინდოდა, ეს რა გააკეთე, ახლა როგორც გინდათ, ამ საქმეს მიხედეთო!**

# „ამ ყველაფრის თავი და თავი იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გივი ლომინაძე!“



გია გულუა

**— შევარდნაძეს იქ რა უნდოდა?**

— შევარდნაძეს, კარგად მოგეხსენებათ, ლეგიტიმაციის პრობლემა ჰქონდა. ამიტომ ედუარდი სენაკში ბლანკიანი ფურცლებით ჩავიდა, რათა ზვიად გამსახურდიასთვის იძულებით მოეწერინებინა ხელი გადადგომაზე, ანუ **ზვიადს უნდა დაეწერა, რომ საქართველოს კანონიერი და ხალხის მიერ ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტის პოსტს თავისი ნებით ტოვებდა.** ზვიად გამსახურდიამ ამას ხელი არ მოაწერა და საშინელი ცემისა და წამების მიუხედავად, ეს ნაბიჯი არ გადადგა. როცა „მარგოლინის“ პისტოლეტიდან გამოვარდნილმა „გეკოს“ ტყვიამ პირველი პრეზიდენტი იმსხვერპლა, აი, ამის შემდეგ დადგეს სპექტაკლი და **ზვიად გამსახურდიას სხვა პისტოლეტიდან ესროლეს მეორე ტყვია.** ცნობისათვის, იმ თვითმფრინავში, რომლითაც შევარდნაძე სენაკში ჩაფრინდა, ცნობილი პათანატომი, აკადემიკოსი **თამარ დეკანოსიძეც** იჯდა.

**— მაშინ გამოდის, რომ ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე შევარდნაძის სპეცსამსახურებმა გადაიბირეს?**

— ვერ ვიტყვი, რომ გადაიბირეს, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისინი დააშინეს. ესენი ყველანი — **რობიზონ მარგველანიც და ბესარიონ გუგუშვილიც** გადატრიალების შემდეგ დაპატიმრებული იყვნენ. მაგალითად, **რობიზონ მარგველანი** 1992 წელს სოხუმის ციხეში იჯდა. ციხის ჟურნალით დასტურდება, რომ შევარდნაძის გარდა მარგველანი სოხუმის ციხეში თითქმის ყველამ ნახა, მათ შორის, **თენგიზ სიგუამ, თენგიზ კიტოვანმა** და სხვა ბანდიტებმა. აი, მაგალითად, **რობიზონ მარგველანი** ციხიდან რომ გამოიყვანეს, **სიგუას** სამ საათზე მეტხანს ელაპარაკა. მარგველანი ციხეში, ფაქტობრივად, არც მჯდარა, სულ მიღებები ჰქონდა. რაც შეეხება **ბესარიონ გუგუშვილს,** იმ ამერიკელმაც დაგვიდასტურა, რომ ლეფორტოვოს ციხეში იჯდა. **რობიზონ მარგველანი** პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის უფროსი იყო და პრეზიდენტის მკვლელობიდან სამ თვეში **ავთო მარგიანის** პირადი დაცვის უფროსი გახდა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება...

**— რას ამბობთ?!**

— დიახ, ასე იყო. **მარგიანის** დაცვის უფროსი იყო **მერაბ ცომაია,** რომელიც ერთ დღეში მოხსნეს და მის ნაცვლად დანიშნეს **რობიზონ მარგველანი.** მას მისცეს „მერსედესის“ ავტომანქანა და ბინა თბილისში...

**— სენაკის აეროპორტში ზვიად გამსახურდია იმ დღესვე, ანუ 1993 წლის 28 დეკემბერს, ჩაიყვანეს?**

— ზვიადი **კარლო ღურწკაიას სახლში** ღამით აიყვანეს და მაშინვე გაამწესეს სენაკის აეროპორტში. ამ პროცესში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა ჩემ მიერ ხსენებული **რამაზ (რამზი) რუხაძე,** რომელიც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმს წარმოადგენდა. ეს იყო **გივი ლომინაძის დაჯგუფება... მარგველანი** სოხუმის ციხეში სწორედ **გივი ლომინაძის** პატიმარი იყო. საერთოდ, ზვიად გამსახურდიაზე ნადირობა გამოცხადებული ჰქონდათ უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო ცალკე მოქმედებდნენ **ავთო იოსელიანის, „მხედრიონისა“ და გიორგი ყანტურიას** დაჯგუფებები. ყველა ეს დაჯგუფება ცდილობდა ზვიად გამსახურდიას განადგურებას, რათა შევარდნაძის წინაშე თავი მოეწონებინათ და ქულები ჩაეწერათ. მოხდა ისე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაასწრო ყველას და

გაგრძელება მე–12 გვერდზე

# „ყველაფერი 1993 წლის 28 დეკემბერს მოხდა!“

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
ექსპერტი



**ჩინეთმა რუსეთი ჩააჩოჩა.** ჩვენს რეგიონში **ჩინეთი თავის თამაშს თამაშობს,** მაგრამ ხაზგასმით ვამბობ, **ეს არ არის რუსული თამაში.**

„კვირის პალიტრა“

**მირიან მირიანაშვილი**
ანალიტიკოსი



ჩრდილოეთი კავკასია ისედაც **აჯანყების პირას** არის. ახლა რომ მოსკოვმა **საქართველოს აფხაზეთი და ცხინვალი დაუბრუნოს,** ეს **პუტინის** სისუსტედ აღიქმება და კავკასიაში შეუქცევადი პროცესები დაიწყება.

„კვირის პალიტრა“

**მამუკა გამყრელიძე**
„ევროპული დემოკრატების“ გენმდივანი



საქართველოს ხელისუფლებამ **არ უნდა დადოს** ისეთი ხელშეკრულება ან **არ უნდა აიღოს** ჩინური სესხი, რაც შემდეგ **ჩინეთს პორტის ხელში ჩაგდების საშუალებას მისცემს.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა გიორგაძე**
პოლიტიკოსი



გვყავს **მესაზღვრე,** რომელიც იცავს საზღვარს, გვყავს **მებაჟე,** რომელიც იცავს ეკონომიკურ საზღვარს, მაგრამ **რელიგიურ, საგანმანათლებლო თუ სხვა სფეროებში არ გვჭირდება ასეთი მესაზღვრეები?!**

„თბილისელები“

**დემურ გიორხელიძე**
ექსპერტი



რუსეთისთვის აქ **ფერადი რევოლუცია** და დასავლეთის პოზიციების გაძლიერება არის **ახალი უკრაინა** მის ყველაზე ფაქიზ და მოწყვლად ზონებში.

„თბილისელები“

# გოჩა ბახია: რობიზონ მარგველანი პრეზიდენტის მკვლელობიდან სამ თვეში ავთო მარგიანის პირადი დაცვის უფროსი გახდა!



*დასაწყისი მე-10 გვერდზე*

ზვიად გამსახურდია დაატყვევა!

**— სენაკის აეროპორტში ზვიად გამსახურდიასა და შევარდნაძეს შორის საუბარი შედგა?**

— კი, რა თქმა უნდა! შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას პირდაპირ უთხრა — **გადადექი, თორემ მოგკლავთო!** ედუარდმა ამაზე უარი მიიღო... ამის შემდეგ ზვიადი მოკლეს. ეს ყველაფერი მოხდა სენაკის აეროპორტში, თვითმფრინავში. ასევე მაქვს ინფორმაცია, თუ სად შეიძლება იყვნენ დამარხული **ირაკლი გოგაძე და ვაჟა ჭინჭარაული...**

**— ზვიად გამსახურდიას დატყვევებაში, მის წამებაში, სენაკის აეროპორტში ჩაყვანაში, თბილისიდან სენაკში შევარდნაძის ჩაფრენაში, ბუნებრივია, ბევრი ადამიანი მონაწილეობდა. შევარდნაძე ყველა მოწმეს ხომ ვერ გაანადგურებდა? სად არის დღეს ეს ხალხი?**

— არაფერი არ იმალება და ყველამ ყველაფერი იცის! ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ნება რომ იყოს, ამას ერთ თვეში გამოიძიებდა, მაგრამ არ არის ეს პოლიტიკური ნება! **ჩემი ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე დღეს, სულ მცირე, ათი-თორმეტი კაცი მაინც ცხოვრობს, რომელიც ზვიად გამსახურდიას წამებასა და მკვლელობაში მონაწილეობდა.** მოკლედ, ჩვენ შორის ზვიადის მკვლელები თავისუფლად მიმოდიან და კაციშვილი პასუხს არ სთხოვს!

**— მაინც რატომ არ იძიებს ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას მკვლელობას?**

— ყველას ეშინია ამ საქმის გამოძიების, რადგან ერთს ხელი რომ მოჰკიდონ და დაიჭირონ, ისეთ რაღაცებს იტყვის და ისეთ ხალხს დაადებს ხელს, კაცმა არ იცის, გამოძიება რა მიმართულებას მიიღებს. ამიტომ ურჩევნიათ, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის — პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე თაროზე იყოს შემოდებული!

**— დავიჯეროთ, რასაც ახლა თქვენ ლაპარაკობთ, ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ამის შესახებ არაფერი იცის?**

— ეს არ ვიცი, მაგრამ მანანაზეც რომ იმუშავეს, ფაქტია! სწორედ ამ მუშაობის შედეგი იყო, რომ **ქალბატონ მანანასა და გუგუშვილს** შორის მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომლის ძალითაც ზვიად გამსახურდიას გვამის ექსპერტიზა არ უნდა ჩატარებულიყო.

**— გია გულუას გარდა კიდევ რამდენი კაცი სცემდა და აწამებდა ზვიად გამსახურდიას?**

— არ ვიცი... მაგრამ ვიცი, რომ მერე **შევარდნაძე** გია გულუას გაუბრაზდა — ეს მე შენთვის არ დამივალებიაო! ეს ყველაფერი ხდებოდა თვითმფრინავში...

**— დავაზუსტოთ, თვითმფრინავში თუ ვერტმფრენში?**

— არა, თვითმფრინავში! შევარდნაძე თვითმფრინავიდან არც გადმოსულა და გარეთ ცხვირი არ გამოუყვია... იმ კონკრეტულ სიტუაციაში ყველაფრის თავი და თავი იყო აფხაზეთის ერთ-ერთი მთავარი ჩამბარებელი და გამყიდველი, აფხაზეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **გივი ლომინაძე,** რადგან სწორედ მისმა ხალხმა, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმმა და **რამაზ (რამზი) რუხაძემ** შეიპყრეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია!

**— როსტოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ზვიად გამსახურდიას დალეწილი ჰქონდა ნეკნები, მენჯისა და კუდუსუნის ძვლები... ადასტურებთ, რომ ეს ტრავმები მან ცემისა და წამების შედეგად მიიღო?**



რობიზონ მარგველანი






ბაჩუკი გვანცელაძე

— დიახ, პრეზიდენტს **გია გულუა** სცემდა და ტრავმები ამით არის გამოწვეული. ვადასტურებ, რომ „მარგოლინის“ პისტოლეტი, რომელიც **გულუას** ჰქონდა, საკმაოდ მძიმეა და სპეცრაზმის იარაღია, რომელიც კვალს არ ტოვებს.

**— რას ნიშნავს კვალს არ ტოვებს?**

— „გეკოს“ ტყვია, რომელსაც „მარგოლინის“ პისტოლეტი ისვრის, ჰაერის ზემოქმედების შედეგად ფორმას იცვლის, ამიტომ ამ იარაღზე ექსპერტიზის ჩატარება ძალიან ჭირს. „მარგოლინი“, რომლითაც **გია გულუამ** ზვიად გამსახურდია მოკლა, მიჩნეულია „სალიკვიდაციო იარაღად“ და მას ექსპერტიზას ვერ ჩაუტარებ! „მარგოლინს“ პოლიციელები არ ატარებდნენ, ეს სპეცრაზმის იარაღი იყო.

**— მაშინ გამოდის, რომ შევარდნაძემ გია გულუა ზვიად გამსახურდიას მკვლელობას გადააყოლა და მთავარი მოწმე მოიშორა?**

— რა თქმა უნდა!

**— ამ ინტერვიუს მოჰყვება დიდი ამბავი... აუცილებლად გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ თქვენ ზღაპრებს ყვებით და ა.შ. მზად ხართ, თქვენი პოზიციები დაიცვათ?**

— მე და თქვენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ვერ გავხსნით, ეს უნდა გააკეთოს სახელმწიფომ... **არის რაღაც ვერსიები, რომელზეც არ მინდა საუბარი, მაგრამ არის პრეზიდენტის მკვლელობა.** კაცი არის ნაწამები და მოკლული, რასაც ჩემი წყაროები მიდასტურებენ და ამ ყველაფრის შესახებ გიყვებით თქვენ.

## თუ სახელმწიფოს უნდა ამ საქმის გახსნა, მაშინ მე უნდა დამიძახონ და დამკითხონ... ასე ხდება ნორმალურ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენთან რაც ხდება, ვხედავთ.

**— თქვენ ბესარიონ გუგუშვილთან ახლო ურთიერთობა გქონდათ, მაგრამ მერე თქვენი გზები გაიყო, რატომ?**

— 2005 წლამდე **ბესარიონ გუგუშვილთან** მართლაც ახლო ურთიერთობა მქონდა. მეც ფინეთში ვცხოვრობდი, მაგრამ მასთან ერთად არ მიცხოვრია. მე ვიყავი მეომარი და შეთქმულების თეორიების არ მჯერა... ტყვია ჩემთვის არ მოუციათ, იარაღი ჩემთვის არ მოუციათ და ეგრე სად არის? ასე ომები არ იგება. აზერბაიჯანში კასპიის ზღვის რუსული ფლოტილიისგან იარაღს ვყიდულობდი, მერე ვერტმფრენით წალენჯიხასა და სოხუმში ჩამქონდა, რათა ამ ბანდიტებისთვის საკადრისი პასუხი გაგვეცა. აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამაში ხელს არ გვიშლიდა...

**— რობიზონ მარგველანი ავსტრიაშია... რატომ?**

— იმიტომ, რომ გამოძიების დაწყების შემთხვევაში, პირველებს, ვისაც დაჰკითხავენ, სწორედ **რობიზონ მარგველანი, ბესარიონ გუგუშვილი და ბაჩუკი გვანცელაძე** იქნებიან...

## არ არის სახელმწიფოს ნება, თორემ რა უნდა მარგველანის ავსტრიიდან ჩამოყვანას? მე დამაავალონ და ჩამოვიყვან!

**რობიზონ მარგველანს** ზედ დაჰფოფინებდა **გივი ლომინაძე** და სოხუმის ციხეში, სადაც ოთხი თვის განმავლობაში ჰყავდათ, ცივ ნიავს არ აკარებდა. სწორედ თქვენს გაზეთთან თქვა **რობიზონ მარგველანმა** — სვანი ვიყავი და იმიტომ გამომიშვეს, იმიტომ გადავრჩიო! იქვე ისიც თქვა — **გუდაუთაში ვერტმფრენით ჩამიყვანესო!**

**— ზვიად გამსახურდიას დევნის ოპერაციაში აქტიურად მონაწილეობდა რუსული სპეცრაზმი „ლეტუჩი მიში“... ეს ხალხი გამსახურდიას აყვანაში არ ფიგურირებდა?**

— ზვიად გამსახურდია **ღურწკაიების სახლში** გადაგვარებულმა ქართველებმა დაატყვევეს. რაც შეეხება „ლეტუჩი მიში“-ს, ეს იყო მე-40 არმია, რომელიც ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგ ლაგოდეხში გახლდათ დისლოცირებული და თბილისის ომის დროს ჩვენ გვებრძოდა. მაგათი მეთაური გახლდათ **გენერალი ალექსანდრე როხლინი,** რომელიც ვითომ ცოლმა მოკლა. გენერალი **ალექსანდრე ლებედი** როხლინთან ახლოსაც ვერ მივიდოდა... **ლებედიც და როხლინიც** 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში პირადად გვებრძოდნენ და მთავრობის სასახლეს უტევდნენ. მერე **ალექსანდრე როხლინი** დიდი კაცი გახდა და გადატრიალებას უწყობდა **ელცინს,** მაგრამ „ეფესბემ“ ცოლს მოაკვლევინა...

გენერალი როხლინი ლაგოდეხში ცხოვრობდა. რაც ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 28 დეკემბერს დამართეს, სამხედრო ოპერაცია არ ყოფილა, სპეცოპერაცია იყო. ამდენად, **როხლინი და მისი „ლეტუჩი მიში“** ამ კონკრეტულ საქმეში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, თორემ ისე ეგენი ჩვენ სულ და ყველგან გვებრძოდნენ...

## „ზვიად გამსახურდია სამი დღის მკვდარი მიიყვანეს კარლო ღურწკაიას ოჯახში!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გენერალისიმუსი

№29-30 (265-266) ★ 2024 წლის 10 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან


# ამერიკელი პროფესორი ამერიკულ იმპერიალიზმს ამხელს!

***მსოფლიოში ცნობილმა და გავლენიანმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ტაკერ კარლსონმა, რომელიც ნაქებმა ამერიკულმა დემოკრატიამ ტელეკომპანია „ფოქს ნიუსიდან“ იმის გამო გაათავისუფლა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის ნეოლიბერალურ პოლიტიკას მწვავედ აკრიტიკებს, რამდენიმე დღის წინათ ვრცელი და სენსაციური ინტერვიუ ჩაწერა ცნობილ ამერიკელ ეკონომისტსა და პოლიტიკის ანალიტიკოსთან, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ჯეფრი საქსთან.***




## ჯეფრი საქსი: ხშირად ვანადგურებთ ქალაქებს და ვაწარმოებთ უამრავ ომს, ჩვენ ხომ მუდმივი ომის ქვეყანა ვართ!

### ბევრჯერ ამერიკაში ★

ინტერვიუ, რომელიც **ტაკერ კარლსონის** იუთუბ-არხზე გავიდა და სულ რამდენიმე დღეში მილიონობით ადამიანმა ნახა, ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ქართველი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საყურადღებო და აქტუალური **ამერიკის საგარეო პოლიტიკასა და უკრაინის ომთან დაკავშირებული მონაკვეთი** უნდა იყოს.

შეიძლება ითქვას, პროფესორი **ჯეფრი საქსი** მთლიანად აშიშვლებს ამერიკული სახელმწიფოს იმპერიალისტურ ბუნებას და ბაიდენის ადმინისტრაციას პირდაპირ ადანაშაულებს უკრაინაში ომის პროვოცირებაში.

**ტაკერ კარლსონს** ინტერვიუში მოაქვს ვიდეოფრაგმენტები აშშ-ის პრეზიდენტ **ბაიდენის,** თავდაცვის მდივან **ოსტინისა** და სხვა მაღალი რანგის ოფიციალური პირების ორი წლის წინანდელი გამოსვლებიდან, რომლებშიც ისინი აცხადებენ, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრა არაპროვოცირებული იყო, ანუ **პუტინმა** ომი სრულიად უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ დაიწყო.

**— იყო თუ არა 2022 წლის თებერვალში რუსი სამხედროების უკრაინაში შეჭრა არაპროვოცირებული ქმედება?**

— ეკითხება ჟურნალისტი პროფესორ **ჯეფრი საქსს**, რომელსაც სახეზე ღიმილი გადაურბენს და იწყებს:

***„მე ვთხოვე ჩემს ასისტენტს, დაეთვალა, რამდენჯერ გამოიყენა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ ეს ფრაზა** („არაპროვოცირებული შეჭრა“. რედ.) **ომის პირველ წელს. საერთო ჯამში, ამ გამოცემამ ეს 26-ჯერ გააკეთა. რასაკვირველია, კონკრეტული გადაწყვეტილებები არასდროს არის არაპროვოცირებული.** ეს ზარმაცი ადამიანის მიერ მოგონილი ტერმინია, რათა თავიდან აიცილოს იმის ანალიზი, თუ რატომ მოხდა ომი. **ყოველივე ეს ძალიან სახიფათოა, რადგან ამ დროს ხდება მოვლენათა ჯაჭვის არასწორად გაგება. ტერმინი, უბრალოდ, უგულებელყოფს იმ ხაფანგის არსებობას, რომელიც საკუთარ თავს ჩვენვე დავუგეთ“.***

ესე იგი, **პროფესორი საქსი** მიიჩნევს, რომ უკრაინის ომი — ეს არის **ხაფანგი,** რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკუთარ თავს დაუგო. მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო და უფრო უბიძგებდა უკრაინას, გახვეულიყო იმ არეულობაში, რომელშიც ახლა იმყოფება.

**ტაკერ კარლსონის** კითხვაზე — **კონკრეტულად რამ განაპირობა უკრაინაში ომის დაწყება? — ჯეფრი საქსი** პასუხობს:

***„ერთ დღეს აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ უკრაინა ჩვენ მხარეს უნდა ყოფილიყო და 2100-კილომეტრიან საზღვართან, რომელიც მას რუსეთთან გააჩნია, ამერიკელი სამხედროები განელაგებინა მას შემდეგ, რაც ნატოს წევრი გახდებოდა.** აშშ-ის მთავრობას მართლა სჯეროდა, რომ იმას გააკეთებდა, რასაც მოისურვებდა, რადგან მსოფლიოში ერთადერთ სუპერსახელმწიფოს წარმოადგენდა. მოვლენები დაახლოებით 170 წლის წინათ დაიწყო, როცა ჯერ კიდევ ბრიტანელებს ჰქონდათ იდეა, რუსეთი შავი ზღვის მხრიდან იზოლაციაში მოექციათ, რაც მას დიადი სახელმწიფოს სტატუსს დააკარგვინებდა. ეს **ლორდ პალმერსტონის** იდეა იყო ყირიმის ომის დროს, 1853-1856 წლებში. **თავის მხრივ, ბრიტანელებმა ჩვენ — ამერიკელებს — ყველაფერი გვასწავლეს იმპერიალისტური პოლიტიკის შესახებ. მათ გვასწავლეს, რომ რუსეთს სჭირდება გასასვლელი ახლო აღმოსავლეთზე, შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვაზე. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს შავ ზღვაზე გასასვლელს ჩავუკეტავთ, ის „მესამე სამყაროს“ ქვეყანა გახდება. ჩვენს ეპოქაში ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა გეოსტრატეგოსმა ბჟეზინსკიმ ჯერ კიდევ 1997 წელს დაწერა — მოდით, მოვაქციოთ რუსეთი ბლოკადაში შავი ზღვის მხრიდანო!“***

რუსეთის ბლოკადაში მოქცევა შავი ზღვის მხრიდან! — ეს არის ამერიკის იმპერიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რის გამოც **ბაიდენის** ადმინისტრაციამ უკრაინაში ომის პროვოცირება მოახდინა.

რუსეთის ბლოკადაში მოქცევა შავი ზღვის მხრიდან — ეს არის ის გეოსტრატეგიული მიზანი, რის გამოც ამერიკის იმპერია საქართველოს მუდმივად განიხილავს რუსეთის საზღვართან ცეცხლის გაჩაღების პოტენციურ კერად და რის გამოც **გლობალური ომის პარტია** უკრაინაში ომის დაწყების დღიდან ცდილობს, ქართულ სახელმწიფოს მეორე ფრონტის გახსნა აიძულოს.

აკი, 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის პირდაპირი მაპროვოცირებელი გახლდათ იმავე წლის აპრილის დასაწყისში ნატოს ბუქარესტის სამიტზე გახმიანებული პირობა იმის შესახებ, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. ამერიკელი პროფესორი **ჯეფრი საქსი** ნატოს გაფართოებას პირდაპირ უკავშირებს 1997 წელს **ბჟეზინსკის** მიერ წამოყენებულ სტრატეგიას შავი ზღვის მხრიდან რუსეთის ბლოკირების შესახებ:

***„სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანა ნატოს წევრი გამხდარიყო. იმ დროისათვის მხოლოდ თურქეთი იყო ალიანსის წევრი, შემდეგ მოვახერხეთ და ბულგარეთი და რუმინეთიც გავაწევრიანეთ ნატოში. მოგვიანებით პირობა დავდეთ, რომ უკრაინა და საქართველოც აუცილებლად გახდებოდნენ ნატოს წევრები.** საქართველო ნამდვილად არ არის ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში, იგი შავ ზღვას აღმოსავლეთით ესაზღვრება, **მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ საქართველოც ნატოს წევრი სახელმწიფო უნდა გახდეს.** ამ ყველაფრის მიზეზი ცხადი იყო და ამას პირდაპირ იძახდნენ ამერიკის მთავრო-*


**გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე**


## ტაკერ კარლსონის სენსაციური ინტერვიუ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ჯეფრი საქსთან

# ამერიკელი პროფესორი ამერიკულ იმპერიალიზმს ამხელს!



## „ახლა ამერიკის მთელი ნარატივები სიცრუეზეა აგებული!“

### ჯეფრი საქსი:

# უკრაინის ომი არის ხაფანგი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკუთარ თავს დაუგო!

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე

*ბის მაღალჩინოსნები — თუ ჩვენ დასახულ მიზანს მივაღწევთ, მაშინ ევრაზიასა და შავი ზღვის რეგიონს სრულად დავეპატრონებით, რაც რუსეთს ძალიან დაასუსტებსო.* ***ევრაზიაში ვგულისხმობ უკიდურეს დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში ჩვენს მოკავშირე სახელმწიფოებს. სწორედ ამას გულისხმობდა ამერიკული ერთპოლუსიანი სამყაროს იდეა — ჩვენ ვიქნებოდით მსოფლიოში ერთადერთი დომინანტური ძალა“.***

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ ვნებას — წარმოადგენდეს ერთადერთ ჰეგემონს მსოფლიოში — **ჯეფრი საქსი** პირდაპირ უკავშირებს ამერიკის დემოკრატიული პარტიის ნეოკონსერვატიულ ფრთას, ანუ ე.წ. ნეოკონებს, რომლებსაც ცივი ომიდან მოყოლებული დღემდე მიაჩნიათ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა სამხედრო ინტერვენციაზე უნდა იყოს აგებული. ამერიკელი პროფესორი მიიჩნევს, რომ რუსეთის ექსპანსიონიზმიც სწორედ **ნეოკონების** ამგვარმა პოლიტიკამ განაპირობა:

***„დაახლოებით ისეთივე სცენართან გვაქვს საქმე, როგორიც არის ძველ სამაგიდო თამაშში „რისკი“. მისი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს ყველა წერტილში ძალაუფლების ცენტრები უნდა გქონდეს.*** *ჩვენ ვკითხულობთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ისეთი გამოჩენილი სტრატეგოსების იდეებს, როგორებიც არიან* ***ბჟეზინსკი*** *და ის ნეოკონსერვატორები, რომლებიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საგარეო პოლიტიკას განაგებენ.* ***ნეოკონები ღიად აცხადებენ, რომ ამერიკა უნდა იყოს აშკარა, უკონკურენტო და ერთადერთი სუპერსახელმწიფო მსოფლიოში. ჩვენ უნდა ვდომინირებდეთ დედამიწის ყველა წერტილში. მათ სურთ, რომ მსოფლიო წესრიგის დამცველი ერთადერთი პოლიციელები იყვნენ. პირადად ჩემთვის ეს ყველაფერი სიგიჟეა, მაგრამ ამ ადამიანებს მართლა სჯეროდათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკას შეეძლო, ნატოს გაფართოება მოეხდინა იქ, სადაც მოისურვებდა, რადგან რუსეთი, ფაქტობრივად, დამარცხებული იყო. საპასუხოდ, რუსებმა გვითხრეს — გთხოვთ, ეს არ ქნათ, ჩვენს საზღვრებთან თქვენი ჯარისკაცები არ ჩააყენოთო! რასაკვირველია, ამერიკელებმა ეს მოწოდება დააიგნორეს“.***

**ჯეფრი საქსის** თქმით, 1990-იან წლებში აშშ-ის მთავრობაში მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ, რომ **გორბაჩოვისა და ელცინისათვის** მიცემული პირობა არ უნდა დაერღვიათ და ნატოს გაფართოებაზე არ წასულიყვნენ, თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლამ კლინტონის ადმინისტრაციას ილუზია შეუქმნა, რომ რუსეთი დაუძლურებული იყო და ნატოს გაფართოებას ვერ შეეწინააღმდეგებოდა.

აი, რას ამბობს ამერიკელი პროფესორი:

***„ადრე ჩვენ გვყავდა დიპლომატები, სამწუხაროდ, ახლა აღარ გვყავს. თუმცა, იმ პერიოდში ჯორჯ კენანი ამერიკის მთავრობას აფრთხილებდა, რომ ნატოს გაფართოება ამერიკის მხრიდან უდიდესი შეცდომა იქნებოდა.*** *ჩვენ ასევე გვყავდა* ***ვილ პერი*** *— თავდაცვის მდივანი* ***კლინტონის*** *ადმინისტრაციაში, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა აღნიშნული პოლიტიკის შედეგები და გადადგომაც მოინდომა.* ***საბოლოო ჯამში, რიჩარდ ჰოლბრუკმა და მადლენ ოლბრაითმა იგი დიპლომატიურად გააცურეს. თავად კლინტონი, ჩემი აზრით, თავის არცერთ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯს სიღრმისეულად არ აანალიზებდა. ასე რომ, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი ნატოს წევრები გახდნენ. სწორედ ამის შემდეგ გამოაქვეყნა ბჟეზინსკიმ საგარეო პოლიტიკის ჟურნალში საკუთარი კონცეფცია ევრაზიის შესახებ, სადაც კონკრეტული ვადები ჩამოწერა, დროის რა მონაკვეთში გაავრცელებდა ამერიკა თავის გავლენებს ნატოს საშუალებით.*** *1990-იანი წლების შუა პერიოდში — ცენტრალური ევროპა, 2000-იანი წლების დასაწყისში — ბალტიის ზღვის ქვეყნები, ხოლო 2005-დან 2010 წლამდე უკრაინაც უნდა გამხდარიყო ნატოს წევრი ქვეყანა. ეს კარგად ჩამოყალიბებული გრძელვადიანი გეოსტრატეგია იყო, რაზეც რუსებმა გვითხრეს —* ***„თქვენ რა, ხუმრობთ? ჩვენ მშვიდობა გვსურდა, ჩვენ დავასრულეთ ცივი ომი, დავშალეთ ვარშავის პაქტი, რადგან თქვენთან თანამშრომლობა გვინდოდა“.*** *ზუსტად ვიცი, რომ რუსული აზროვნება ასეთი იყო, მე იმ წლებში იქ ვიმყოფებოდი. სწორედ ეს სურდათ* ***გორბაჩოვსა და ელცინს. ისინი აცხადებდნენ, რომ ცივი ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკაში ჩართვა და ევროპასა და ამერიკასთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება უნდოდათ. ამ რიტორიკაზე ამერიკელების პასუხი სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. მათ რუსებს უთხრეს — ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც მოგვესურვება, ჩვენ დავადგენთ, რა სახის მშვიდობა იარსებებს!“***



### ბევრჯერ ამერიკაში ★

# „ბრიტანელებმა ჩვენ — ამერიკელებს — ყველაფერი გვასწავლეს იმპერიალისტური პოლიტიკის შესახებ!“

**პროფესორი საქსი** აცხადებს, რომ ამერიკასთან თანამშრომლობისა და, ზოგადად, დასავლურ სამყაროში რუსეთის ინტეგრაციის სურვილი არამხოლოდ **გორბაჩოვსა და ელცინს,** არამედ **ვლადიმერ პუტინსაც** ამოძრავებდა, მაგრამ ერთპიროვნული ჰეგემონობის სურვილით შეპყრობილმა ამერიკამ რუსეთის პრეზიდენტის ნება უგულებელყო:

***„2000-იანი წლების დასაწყისში, ხელისუფლებაში მოსული პუტინის პირველი ნაბიჯი ევროპასთან მაქსიმალური დაახლოება იყო, მას ამის რეალური სურვილი ჰქონდა. კიდევ ერთხელ ვადასტურებ — მე ამ პროცესებში ვმონაწილეობდი და ვაკვირდებოდი. პუტინი სრულად პროევროპული და პროამერიკული ხასიათის პოლიტიკოსი იყო. რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა ამაზე საუბარი და ამის აღიარება, რადგან არ გვსურს, „არაპროვოცირებული შეტევის“ გარდა სხვა რამეებზეც ვისაუბროთ. ასე რომ, ახლა ამერიკის მთელი ნარატივები სიცრუეზეა აგებული“.***

ჯეფრი საქსი საუბრობს იმის შესახებაც, თუ რა იყო აშშ-ისა და ნატოს მიერ ბელგრადის მასირებული დაბომბვისა და სერბეთისაგან კოსოვოს გამოყოფის ნამდვილი მიზეზი და მიზანი:

***„ამერიკა აგრძელებდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს პოლიტიკის გატარებას, რაც, უბრალოდ, ალმაშფოთებელი იყო. 1990 წელს ჩვენ 78 დღის განმავლობაში უწყვეტად***

# ტაკერ კარლსონის სენსაციური ინტერვიუ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ჯეფრი საქსთან



**„2007 წელს პუტინმა საჯაროდ მიმართა დასავლეთს, არც კი ეფიქრათ უკრაინის ნატოში მიღებაზე, რუსეთს ხომ 2100-კილომეტრიანი საზღვარი აქვს უკრაინასთან!“**

***ვბომბავდით ევროპის ერთ-ერთ დედაქალაქს — ბელგრადს. დაბომბვების მიზანი გახლდათ, სერბეთში წარმოქმნილიყო ახალი სახელმწიფო — კოსოვო, სადაც დღეს ყველაზე მსხვილი სამხედრო ბაზა გვაქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.***

*ერთ-ერთ დოკუმენტში, სახელწოდებით — **„ამერიკის თავდაცვითი ხაზების აღდგენა 2000 წელს“** — ნეოკონსერვატორები აღნიშნავენ, რომ ბალკანეთი ამერიკისათვის ახალი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ლოკაციაა, სადაც მსხვილი სამხედრო შენაერთები უნდა იქნას გაგზავნილი. ამ ადამიანების აზროვნება იგივეა, რაც ჩემ მიერ უკვე ხსენებულ თამაშ „რისკში“ — ჩვენ გვჭირდება სამხედრო კონტინგენტის განთავსება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. **ამასთანავე, მათ არ მოსწონდათ სერბეთი, რომელიც რუსეთის მოკავშირე იყო. ასე რომ, მათ ორად გახლიჩეს სერბეთი და დააარსეს კოსოვოს რესპუბლიკა, სადაც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამხედრო ბაზა გვაქვს. სწორედ ეს იყო მიზანი“.***

**— ანუ ეს ყველაფერი მოწყვლადი მუსლიმი მოსახლეობის გადასარჩენად არ მომხდარა?** — ეკითხება **ტაკერ კარლსონი** რესპონდენტს და მისგან ასეთ პასუხს იღებს:

***„რა თქმა უნდა, არა! ეს ყველაფერი სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსის გადასარჩენად გაკეთდა, რათა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა დაგვეარსებინა“.***

**— იქ უამრავი ადამიანი დავხოცეთ და ქალაქი მიწასთან გავასწორეთ, არა?** — ეკითხება **კარლსონი**, საქსი კი პასუხობს:

***„დიახ, ეს საკმაოდ სევდიანი ქმედება იყო, თუმცა, ჩვენ ასე ხშირად ვიქცევით, ხშირად ვანადგურებთ ქალაქებს და ვაწარმოებთ უამრავ ომს, ჩვენ ხომ მუდმივი ომის ქვეყანა ვართ“.***

ამერიკელი პროფესორი აცხადებს, რომ ამერიკა მუდმივი ომის ქვეყანაა!

ნეტავი, როგორ ესმით ან საერთოდ თუ ესმით ამერიკელი პროფესორის ეს ფრაზა ქართველ **„ამერიკათუმეებს“,** რომლებიც ამბობენ, რომ გლობალური ომის პარტია მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ფანტაზიის ნაყოფი და შეთქმულების თეორიის პროდუქტია.

ამერიკა უამრავ ომს აწარმოებს, **ის მუდმივი ომის ქვეყანაა** და საკუთარი მიზნებისათვის თუ დასჭირდება, არცერთი ევროპული დედაქალაქის დაბომბვასაც კი არ მოერიდება! — ამას რომელიმე რუსი ან რუსეთუმე პოლიტიკოსი კი არა, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და პროფესორი **ჯეფრი საქსი** ამბობს, რომელსაც გაფაციცებითა და გულისყურით უნდა მოუსმინონ იმ ქართველმა ახალგაზრდებმა, ყოველ საღამოს მიტინგის სცენაზე გამოჯგიმულ **ლიაკა ხოშტარიებს, მამუკა ხაზარაძეებს, ლევან ხაბეიშვილებსა და გირჩი ჯაფარიძეებს** რომ მისჩერებიან, აქაოდა — მათი წინამძღოლობით საქართველოს ევროპული მომავალი უნდა გადავარჩინოთო!

**ტაკერ კარლსონთან** ინტერვიუში **ჯეფრი საქსი** საუბრობს იმაზეც, თუ როგორ გააცურა რუსეთი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და როგორ არ იღეს ყურად თეთრი სახლის ლიდერებმა ევროპელი კოლეგების რჩევები ნატოს გაფართოების შეჩერების შესახებ:

**„პრეზიდენტმა პუტინმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ძალიან მკაფიოდ, ძლიერად და მართებულად განაცხადა — ბატონებო, თქვენ 1990 წელს გვითხარით, რომ ნატო აღმოსავლეთით არასოდეს გაფართოვდებოდა, ეს პირობა დადეთ გორბაჩოვთან და ელცინთან, თუმცა, არაერთხელ მოგვატყუეთ!“**



ბილ კლინტონი და ვლადიმერ პუტინი

***„მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ 2002 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ცალმხრივად გამოეთიშა შეთანხმებას ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ, რაც იყო ერთ-ერთი გარანტორი ბირთვული შეკავების პოლიტიკისა, რომელიც ახლა რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.** ამერიკამ ცალმხრივად გადაწყვიტა რაკეტების განთავსება პოლონეთსა და რუმინეთში, რაზეც რუსებს, რა თქმა უნდა, უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ. **ამის შემდეგ უკვე მოდის 2004 წელი და 7 ახალი სახელმწიფო ნატოში: ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანებით ნელ-ნელა დაიწყო შავი ზღვის აუზის შემოსაზღვრა, რაც მანამდე გაცხადებული გეოსტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. 2007 წელს პრეზიდენტმა პუტინმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ძალიან მკაფიოდ, ძლიერად და მართებულად განაცხადა — ბატონებო, თქვენ 1990 წელს გვითხარით, რომ ნატო აღმოსავლეთით არასოდეს გაფართოვდებოდა, ეს პირობა დადეთ გორბაჩოვთან და ელცინთან, თუმცა, არაერთხელ მოგვატყუეთ!***

*აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ჯეიმს ბეიკერმა** მართლაც გასცა დაპირება, რომ ნატო არცერთი სანტიმეტრით არ გაფართოვდებოდა გერმანიის აღმოსავლეთით. ეს არ იყო, უბრალოდ, ერთჯერადი გზავნილი, იმ პერიოდში ეს დაპირება მუდმივად ჟღერდებოდა. **ჰანს დიტრიხ გენშერს სურდა გერმანიის რეუნიფიკაცია, რასაც რუსეთმა იმ პირობით დაუჭირა მხარი, რომ ამით თვითონ არ დაზარალდებოდა. ნატოს გაფართოების შეჩერების შესახებ პირობა არამხოლოდ ბეიკერმა, არამედ უამრავმა სხვა ოფიციალურმა პირმაც დადო, თუმცა, დღეს ამ ყველაფრის უარყოფა ხდება. ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს, ჩვენ არაფერი გვახსოვდეს გარდა იმისა, რომ რუსეთის უკრაინაზე თავდასხმა „არაპროვოცირებული“ იყო.** ასე რომ, დიახ, 2007 წელს **პუტინმა** საჯაროდ მიმართა დასავლეთს, არც კი ეფიქრათ უკრაინის ნატოში მიღებაზე, რუსეთს ხომ 2100-კილომეტრიანი საზღვარი აქვს უკრაინასთან“.*

**ჯეფრი საქსის** განცხადებით, მან სხვადასხვა დიპლომატისაგან „შიდა სამზარეულოდან“ მიიღო ინფორმაცია, რომ ევროპელი ლიდერები ამერიკის ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, უკრაინის ნატოში გაწევრიანების თაობაზე უკან დაეხია. მისივე თქმით, აშშ-ის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2008 წელს კარგად იცოდა, რომ უკრაინის ნატოში მიღების საკითხი რუსეთისათვის „წითელი ხაზი“ იყო:

***„ჩვენ ახლა უკვე კარგად მოგვეხსენება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამჟამინდელი დირექტორის, ბატონი ბილ ბერნსის ნოტა, რომელიც „ვიკილიქსის“ შედეგად გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. ნოტის სათაური იყო „არა ნიშნავს არას“, რომელიც კონდოლიზა რაისისთვის იყო მიწერილი 2008 წელს. მასში ეწერა, რომ უკრაინა რუსეთისათვის წითელი ხაზია. ეს იგივე იქნებოდა, მექსიკას რომ უეცრად განეცხადებინა — ვფიქრობთ, ჩინური სამხედრო ბაზების რიო გრანდეს** (3034-კილომეტრიანი მდინარე აშშ-ისა და მექსიკის საზღვართან. რედ.) **ტერიტორიაზე განლაგება მშვენიერი იდეაა და ვერ ვხვდებით, ამასთან დაკავშირებით ამერიკას რა პრობლემა უნდა ჰქონდეს?** რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ამერიკა ყველაზე რადიკალურ ზომებს მიმართავდა“.*

**— და სწორადაც მოიქცეოდა!** — გაისმის **ტაკერ კარლსონის** რეპლიკა.

მართლაც ადვილი წარმოსადგენია, რა რეაქცია ექნება ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ თავის საზღვართან ჩინური, რუსული ან ირანული რაკეტებისა და სამხედრო ბაზების განთავსების საფრთხე დაემუქრება.

**ადვილი წარმოსადგენია ისიც, რა დაემართება რუსეთის მოსაზღვრე საქართველოს, თუ თავის ტერიტორიაზე განათავსებს ნატოს რაკეტებს, რომლებსაც მოსკოვამდე მისაღწევად სულ რამდენიმე წუთი დასჭირდებათ.**

არადა, **მუდმივი ომის ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს** — საქართველო სწორედ რუსეთის საწინააღმდეგო პოლიგონად სჭირდება და მეტი არაფრისთვის!

**მუდმივი ომის ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები** — ახლაც სწორედ იმის გამო ცდილობს საქართველოს დასჯას, რომ საქართველომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში პირველად გაბედა და თქვა — **ჩრდილოური დათვის საჯდომში ხიჭვის ფუნქციას აღარ შევასრულებო!**

თუმცა, ამერიკული იმპერიალიზმი, რომელიც ამერიკელმა პროფესორმა **ჯეფრი საქსმა** და ამერიკელმა ჟურნალისტმა **ტაკერ კარლსონმა** კიდევ ერთხელ ამხილეს, ახლა თავისი არსებობის უკანასკნელ თვეებს ითვლის და ზუსტად ისეთივე ან კიდევ უარესი დასასრული ელის, როგორმაც **პრეზიდენტ რეიგანის** მიერ ბოროტების იმპერიად შერაცხილ საბჭოთა კავშირს უწია.

რაც მთავარია, **საქართველო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლაში თავისი წვლილი შეიტანა, საბჭოთა შეერთებული შტატების დაშლის საქმეშიც თავისას იზამს!**

**საქართველო, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ქართული კანონის მიღებით, ამ დიდ პროცესში უკვე მონაწილეობს კიდეც!**

***ჯაბა ხუბუა***

**„პუტინი სრულად პროევროპული და პროამერიკული ხასიათის პოლიტიკოსი იყო. რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა ამაზე საუბარი და ამის აღიარება!“**

# არის ასეთი აზრი! ★



## მამუკა კარტოზია:

# არაფერი დაგვაკლდება, საერთოდ თუ აღარ წავალთ ამერიკაში!

*— ევროპა არასოდეს ყოფილა საქართველოსთვის მშობლიური კერა და გარემო! — **აცხადებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მამუკა კარტოზია და დასძენს:***

— თურმე, თავისუფლება იმის კეთება ყოფილა, რაც დასავლეთს უნდა. როგორც კი სხვა პოზიციის აღსრულებას მოვინდომებთ, მაშინვე სანქციებით და გადატრიალებებით გვემუქრებიან. თავად ევროპაც არ არის ერთიანი და არც ოდესმე ყოფილა; ევროპის სტაბილურობა ამერიკული პროტექტორატის დამსახურებაა. ვაღიაროთ — თანამედროვე ევროპა ქრისტიანული ღირებულებებით არ ცხოვრობს, ევროპაში რელიგიამ დაკარგა ფუნქცია, ხოლო რომის კათოლიკური ეკლესია თავად უწყობს ხელს თუნდაც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. თავის დროზე გერმანელმა ფილოსოფოსმა **ფრანც ფონ ბაადერმა** საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციურ მთავრობას უწოდა „მთავრობა ლოცვის გარეშე“ და თანამედროვე ევროკავშირის ხელმძღვანელობაც ზუსტად იმსახურებს ამ შეფასებას. პროპაგანდისტულ დონეზე დარჩა ხელოვნურად შექმნილი სხვა ცნებაც — **„ევროატლანტიკური სივრცე“.** არადა, თავად არ იციან, სად შეიძლება მოხდეს ამერიკისა და ევროპის ინტერესთა შეკავშირება. ფაქტია, რომ ევროპისათვის ამერიკა რჩება დომინანტად, ხოლო ამერიკას არ აწყობს ევროპის მოძლიერება. აკი, ამერიკის ერთ-ერთმა მთავარმა ევროპელმა მოკავშირემ დიდმა ბრიტანეთმა იუკადრისა ბრიუსელის მიმართ მორჩილება, დამოუკიდებლობა ამჯობინა და დატოვა ასეთი **„ერთიანი ევროპული სივრცე“.** სწორედ მაშინ დაიწყო ევროკავშირის დაშლის შეუქცევადი პროცესი.

**— მიგვანიშნებთ, რომ ევროკავშირში შეუძლებელია სუვერენიტეტის შენარჩუნება?**

— დიდი ხნის განმავლობაში ამას საგულდაგულოდ გვიმალავდნენ! ნებისმიერი, თუნდაც ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო რომელიმე კავშირში გაერთიანებით თმობს თავისუფლების მნიშვნელოვან ნაწილს. აკი, ახლახან პირდაპირ მოგვახალა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა **გაბრიელიუს ლანდსბერგისმა** — ევროკავშირის წევრობით, ფაქტობრივად, თმობ სუვერენიტეტის ნაწილს, ორივე ერთად ვერ გექნება! აქამდე ევროპას სიმართლე და იყო ბერძნული და რომაული გავლენები, თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველო ოდესმე ევროპის ნაწილად ითვლებოდა. **ისიც გავითვალისწინოთ, რომ კავკასიის სამხრეთით ევროპა კი არ გრძელდება, არამედ აზია იწყება!** ხოლის ამხელა დოზა არ მოუწოდებია! უფრო მეტიც, ყველა გარემოება მოწმობს, რომ ევროკავშირი არც კი აპირებს საქართველოს გაწევრებას და თვითნებურად გვიზღუდავს იმ თავისუფლებასაც კი, რომელიც ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარეობს და რაზე უარის თქმასაც ქართველი არასოდეს შეეგუება.

**— ბოლოს და ბოლოს, საქართველო ევროპის ნაწილია თუ არა?**

— უზარმაზარი ტყუილია, თითქოს საქართველო ევროპული ცივილიზაციის ნაწილია. რა თქმა უნდა, საქართველოს მუდამ ჰქონდა ევროპასთან ურთიერთობები, ჩვენთან ჩამოდიოდნენ ევროპელი მისიონერელო, თუ პოლიტიკურ ორიენტაციაზე ვისაუბრებთ, ევროპამ არაერთხელ გვიღალატა. თუნდაც 1918-1921 წლებში ევროპას არ სურდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. საფრანგეთის პრეზიდენტმა **მაკრონმაც** პირდაპირ აღიარა, რომ საქართველო არ არის ევროპა, თუმცა, **დასავლელი მენტორებისთვის ჩვენი ქვეყანა გახდა სერიოზული ინტერესის საგანი, რადგან მოიაზრება რუსეთის წინააღმდეგ პერსპექტიულ პოლიტიკურ და სამხედრო პლაცდარმად!** დააკვირდით: დღემდე არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან, რომ რუსეთს მეორე ფრონტი საქართველოდან უნდა გაეხსნას, ამიტომაც ჩქარობენ, რადგან ხვდებიან, რომ დღითი დღე შანსს კარგავენ.

**— დავუშვათ, მოსახლეობის ნაწილს აეკრძალა ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობა. რას მოუტანს ეს დასავლეთს და რას შეცვლის საქართველოსთვის?**

— რა თქმა უნდა, მოსახლეობის ნაწილს პრობლემები მართლაც შეექმნება იმის გამო, რომ უვიზოდ ვეღარ იმოგზაურებს ევროპაში, ხოლო ამერიკასთან არც აქამდე გვქონია უვიზო მიმოსვლა. **დაე, თითოეული მოქალაქე დაგვასანქციირონ, მაგათი დედაც... არაფერი დაგვაკლდება, საერთოდ თუ აღარ წავალთ ამერიკაში!** ბლინკენები მოდიან და მიდიან, საქართველო კი რჩება!

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ დასავლეთიდან შემოსული გრანტების დიდი ნაწილი საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას კი არა, არასამთავრობოების ეგიდით ეროვნული თვითშეგნების ნგრევას და მართლმადიდებლური სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდას ხმარდებოდა, ამიტომ ეს ფული საქართველოში თუ აღარ შემოვა, უკეთესი რა უნდა მოხდეს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***






*„ეგენი ქართველს არ იცნობენ, ქართველი ყველაფერს აიტანს, მაგრამ მასხრად აგდებას — არასოდეს!“* ***— აცხადებს იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე, ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი ბესარიონ მიქავა:***

— დიდი ხნის განმავლობაში პროპაგანდით გვაბრუებდნენ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეები არიან, არადა, უკვე 30 წელია, მათი მხრიდან ეროვნულ ღირებულებებსა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე სტრატეგიული შეტევები ხორციელდება! ამერიკა საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე და პარტნიორი რეალურად რომ ყოფილიყო, ამ ხნის განმავლობაში შეძლებდა, 3-მილიონიანი ერი აეყვავებინა, მაგრამ ჩვენი მთავარი სასიცოცხლო ფასეულობების განადგურებას შეუდგა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ხელისუფლება გონს მოვიდა და მიიღო კანონი, რომელიც ყველა ცივილურ და თავმოყვარე სახელმწიფოში მოქმედებს, მაგრამ, როგორც კი შხამსამსალისაგან თავის დაღწევის პერსპექტივა გამოიკვეთა, „სტრატეგიულმა მეგობრებმა“ სანქციების ჩამორიგება დაიწყეს. **დამოუკიდებელ ქვეყანას საკუთარი კანონის მიღებას რომ აუკრძალავ, მეგობარი კი არა, მტერი ხარ, აბა, რა ხარ?! ამიერიდან, თავისნაირები გააპამპულაონ!**

**— და მაინც, სანქციებით რა ზარალს მოგვაყენებენ?**

— თუ სანქციების ძირითადი დანიშნულება ის არის, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაუპირისპირონ ხელისუფლებას, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა საერთოდ არ არის ნამყოფი ამერიკაში. ეს ძვირფასი ფუფუნებაა და ბევრი არაფერი დააკლდებათ, თუ მომავალშიც ვერ გაემგზავრებიან! არც ფაბრიკა-ქარხნები და წარმოება შეუქმნიათ ჩვენთვის, რომ მათი გაჩერებით შეგვაშინონ. **მეორე მხრივ, მეგობარი ქვეყნის მოსახლეობას რატომ უნდა დაუწესო შეზღუდვა შენს სახელმწიფოში შემოსვლაზე?** დასავლეთიდან საქართველოში იმპორტი მინიმალურია და სხვას რას შეგვიზღუდავენ? საკუთარ რეზიდენტ არასამთავრობოებს ფულს აღარ ჩაურიცხავენ? გამჭვირვალობის კანონი მხოლოდ თანხების დეკლარირებას ითხოვდა და ამის ნაცვლად საერთოდ თუ დახურავენ ვასალ ორგანიზაციებს, ისევ საკუთარ ინტერესებს დააზარალებენ! **როგორც ჩანს, აქ დიდ დანაშაულს სჩადიოდნენ თავიანთი შავი ფულებით და იმიტომაც აფუთფუთდნენ! გამოდის, ისეთი რაღაცები აქვთ დასამალი, რომ ურჩევნიათ, რეზიდენტი ორგანიზაციები საერთოდ დახურონ, ვიდრე დეკლარირებას დათანხმდნენ...** თუ ასეა, გაცილებით ადრე უნდა გვეზრუნა ამ კანონის მისაღებად! ახლა პირდაპირ უნდა გითხრათ — ქართველებისთვის ამათგან სანქციები უცხო ხილი არ არის!

**— როგორ? სხვა დროსაც დაუწესებიათ?**

**– დასავლეთი უმალ გადაელობა საქართველოს, როგორც კი ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზნით 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი**

## «ისიც გავითვალისწინოთ, რომ კავკასიის სამხრეთით ევროპა კი არ გრძელდება, არამედ აზია იწყება!»

# ბესო მიქავა: ამერიკა საქართველოს სტრატეგიული მტერია!

**ჩაატარა. მიზეზი მარტივია – ერმა მტკიცედ გადაწყვიტა, თავისუფლება ცხოვრების პრიორიტეტად ექცია, ხოლო საქართველოს თავისუფლება დასავლეთის ინტერესებში არც მაშინ შედიოდა და არც ამჟამად შედის!**

სანქციები ჯერ ფარულად, შემდეგ უკვე აშკარად დაუწესეს ზვიად გამსახურდიას. **აღმოჩნდა, რომ თავს ვიტყუებდით: ამერიკა და ევროპა არასოდეს ყოფილან საქართველოს მეგობრები!** „მეგობრებს და პარტნიორებს“ გვიწოდებდნენ, ვიდრე მათ ინტერესებში ვმოქმედებდით; აკი, ზვიად გამსახურდიასაც იქამდე უჭერდნენ მხარს, ვიდრე ის ებრძოდა საბჭოთა კავშირს, მაგრამ, როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა და ზვიად გამსახურდიამ ქართველთა პრიორიტეტად „მამული, ენა, სარწმუნოება“ გამოაცხადა, მის წინააღმდეგ ცილისწამებისა და დისკრედიტაციის ნიაღვარი დაძრეს, რომელიც მერე პირდაპირ სანქციებში გადაიზარდა! **ასე დაემართება საქართველოს ყველა ლიდერს, რომელიც გულწრფელად ჩადგება ერის ჭეშმარიტი ინტერესების სამსახურში!**

**— რაში გამოიხატა ზვიადის მიმართ სანქციები?**

— ევროპაში არ შეუშვეს, როდესაც პუტჩის შემდეგ ჰელსინკიდან გერმანიაში გადასვლა და იქ ბრიფინგის ჩატარება დააპირა! იძულებული გახადეს, ჩეჩნეთში დაბრუნებულიყო. მანამდე, ამერიკის პრეზიდენტმა **ბუშმა** პირდაპირ განუცხადა, რომ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა და მისი მოქმედებები არ ჯდებოდა ამერიკის მიერ განსაზღვრულ დღის წესრიგში. **ეს, ფაქტობრივად, უკვე იყო ზვიად გამსახურდიას მიმართ კოლექტიური დასავლეთის მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, რომელიც ძალიან მალე აღასრულეს კიდეც!**




საქართველოს მიმართ დასავლეთის მიდგომები არ შეცვლილა. „ხომ ნახეთ, ფიცოს (სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ლიკვიდაციის მიზნით ესროლეს) რაც დაემართა და ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ!“ — წარბშეუხრელად განუცხადა სატელეფონო საუბარში საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძეს** ევროკომისარმა **ოლივერ ვარჰეიმ** და ამით დაადასტურა, რომ ფიცოს ლიკვიდაციის განზრახვის მიღმა დგანან იგივე ძალები, რომლებიც მომავალში საქართველოს პრემიერს ამოიღებენ მიზანში. **ესეც, ფაქტობრივად, უკვე განაჩენია ქართველი პრემიერის მიმართ, რომელმაც უცხოეთის აგენტების გამჭვირვალობის კანონის ინიცირება მოახდინა!** აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის მუქარა მხოლოდ **ირაკლი კობახიძის** მიმართ და **ბიძინა ივანიშვილსაც** ეხება! ასეთია დასავლეთის დამოკიდებულება ქართველი ერის გულშემატკივარი ყველა დროის ყველა ლიდერის მიმართ! მაგრამ ბლინკენები მოდიან და მიდიან, ხოლო საქართველო მარადიული და მუდამ გამარჯვებული რჩება!

**— ვინმეს მიმართ ყოფილა ამერიკა ნამდვილი პარტნიორი?**

— ამერიკამ სადაც ოდესმე ფეხი დადგა, იქაურობა ნაცარტუტად აქცია. თავის დროზე ჰუსეინმაც და კადაფმაც ამერიკა პარტნიორად მიიჩნიეს, მაგრამ როგორ დაასრულეს, ყველამ იცის. ეს არის ქვეყანა, რომლისთვისაც ნომინალურია ყოველგვარი ჰუმანური ღირებულება.

**გასული საუკუნის შუაში მსოფლიოსთვის თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მათ ერთბაშად რამდენიმე მილიონი მშვიდობიანი იაპონელის სიცოცხლე გაწირეს, როდესაც ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარეს!** ჩვენ შეგვაგონებენ, გავაუქმოთ უცხოეთის აგენტების მამხილებელი კანონი, რომლის ანალოგი თავად გააჩნიათ. ამ საქციელს დემოკრატიის ქომაგობად ნათლავს ქვეყანა, სადაც 70-იან წლებამდე შავკანიან ადამიანებს არ უშვებდნენ თეთრკანიანებისთვის აშენებულ ტუალეტებშიც კი! სადაც „კუკლუქსკლანი“ მძვინვარებდა და რასობრივი ნიშნით გენოციდებს აწყობდა! აღარაფერს ვამბობ ამერიკელების იმ დანაშაულებზე, რომლებიც სხვა ერების „დახმარების“ შირმით ჩაიდინეს. მსოფლიომ იხილა, რა სამარცხვინოდ გამორეკეს ისინი ავღანეთიდან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეებმა თვითმფრინავის ბორბლებზე ჩამოკონწიალებით დააღწიეს თავი ავღანელი ხალხის რისხვას.

**ჰიროსიმა და ნაგასაკი ამერიკის მიერ ატომური ბომბის ჩამოგდების შემდეგ**





**— რა შანსები გვაქვს, თანამედროვე მსოფლიოში თავისუფლება შევინარჩუნოთ?**

— 1976 წელს ზაგორსკის მონასტერი მოინახულა ქართველმა პროფესორმა **ნათელა გოგებაშვილმა,** რომელიც ადგილობრივ ბერს ესაუბრა. ჯერ კიდევ იმ საბჭოთა პერიოდში იმ ბერს უთქვამს — „დადგება დრო, როდესაც მსოფლიოს ხსნა საქართველოდან იქნება, თუმცა, თვით საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ ორი მესამედი გადარჩება! საქართველო სახარებისეულ ლაზარესთან არის გაიგივებული, რომელიც გარდაცვალებიდან 4 დღის შემდეგ უფალმა მკვდრეთით აღადგინა. ახლა კაცობრიობა დაახლოებით იმ ეტაპზე იმყოფება, როდესაც 4 დღის მიცვალებული ყარს... მაგრამ ძალიან მალე საქართველოსთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც ახალი ერა დადგება!

**„გასული საუკუნის შუაში მსოფლიოსთვის თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მათ ერთბაშად რამდენიმე მილიონი მშვიდობიანი იაპონელის სიცოცხლე გაწირეს, როდესაც ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარეს!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## საუბრები იმპერიის ნანგრევებზე ★



რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2024 წლის №22-28*

**— თქვენ თვლით, რომ ლავრენტი ბერია არ დაუპატიმრებიათ და, ამდენად, არც მისი სასამართლო შემდგარა?**

— იყო **ხრუშჩოვის, ბულგანინისა და ვოროშილოვის** შეთქმულება. ეს მე ზუსტად ვიცი! ფაქტია ისიც, რომ **ბერიას** სასამართლო პროცესი თვითონ ბერიას დაუსწრებლად მიმდინარეობდა. **მკვდრის გასამართლება უკვე არავის შეეძლო!** რაც შეეხება **მალენკოვს,** იგი მართლაც იყო მამაჩემის მოყვარე, მაგრამ ცხოველურმა შიშმა და, შესაძლოა, ანგარებამაც, მასშიც თავისი გაიტანა. უღალატა კაცობამ **ლაზარე კაგანოვიჩსაც.** ჩვენ აგარაკის მეზობლები ვიყავით, თითქოს ურთიერთსიმპათიებიც გვქონდა, მაგრამ, ვაი, რომ, კაცი, რომელმაც უსიტყვო თანხმობა მისცა ღვიძლი ძმის დაპატიმრებასა და თვითმკვლელობას, ადვილად აღმოჩნდა მამაჩემის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მათ შორის, ჩემდა სავალალოდ, ვიხილე **ვიაჩესლავ მოლოტოვიც,** რომლისგან, დიახაც, არ ველოდი ასეთ სულმოკლეობას.

აი, ამბობენ: **მოლოტოვის მეუღლე პოლინა ჟემჩუჟინა დაპატიმრებული იყო და სამი წელი საპყრობილეში გაატარაო.** ვინ ჩაიდინა ეს სისაძაგლე? რა თქმა უნდა, ლავრენტი ბერიამ. არადა, ცოტა ვინმე თუ იწუხებს თავს ჭეშმარიტების დადგენით: რა გახდა პოლიტბიუროს წევრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლის დაპატიმრების საბაბი? გულმავიწყთა და გაუცნობიერებელთა საყურადღებოდ ვიტყვი, რომ **ჟემჩუჟინას „საერთაშორისო სიონიზმთან კავშირი“ ედებოდა ბრალად.** მეგობრები, კოლეგები, თანამებრძოლები, როგორც გენებოთ, ისე უწოდეთ მათ, **მოლოტოვს** არ ენდნენ და მისი ცოლის დაპატიმრება მოითხოვეს. ჟემჩუჟინა დააპატიმრეს პოლიტბიუროს დადგენილებით, ხოლო გაანთავისუფლეს ბერიას ერთპიროვნული განკარგულებით. მოლოტოვმა ეს, რა თქმა უნდა, იცოდა და მამას ემადლიერებოდა კიდეც. ვფიქრობ, მას ესმოდა, რომ ანტისემიტიზმი მარტო სტალინის და, მითუმეტეს, ბერიას ახირება არ ყოფილა. ამ საზიზღარ მოვლენას რუსეთში ღრმა ფესვები აქვს. საკმარისია ითქვას, რომ ეს-ესაა 1000 წელი შესრულდა რუსეთში ებრაელთა პირველი დარბევიდან. საერთოდ კი, ხსენებულ მოღვაწეთა კონკრეტული საქციელის შეფასებისას უსათუოდ უნდა შევნიშნო: **ისინი, ხრუშჩოვის გარდა, ასე მოღალატურად არ მოიქცეოდნენ, მამაჩემის სასამართლო ნამდვილად რომ შემდგარიყო.** რატომღაც მინდა მჯეროდეს: მალენკოვმა, მოლოტოვმა და კიდევ ზოგ-ზოგმა ლავრენტი ბერიას უღალატა, როგორც იტყვიან, პოსტ ფაქტუმ, მისი დაღუპვის შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს მათ არ ამართლებს, რადგან ღალატი ღალატად რჩება გინდ ცოცხლის, გინდ მიცვალებულის მიმართ.

**— მოლოტოვი პლენუმზე ამტკიცებდა, რომ „26 ივნისს ცენტრალური კომიტეტის მთელი პრეზიდიუმი დაკავებული იყო ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების გარჩევით და ორსაათნახევრის განმავლობაში მისგან პირად საკითხებზე ახსნა-განმარტებებს მოითხოვდა.“ და იქვე: „იგი ამხილეს, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მიმაჩნია, რომ საჭიროა, მოვიწონოთ ცეკას პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება.“ ბულგანინიც ირწმუნებოდა: „26 ივნისამდე ორი-სამი დღით ადრე, სანამ**

**ცემებით, 27 ივნისისთვის დანიშნული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წვრთნა, რაზეც ხრუშჩოვი მალულად გააფრთხილეს ბერიას მოადგილეებმა ივან სეროვმა და სერგეი კრუგლოვმა. მეტი გაჭიანურება არ შეიძლებოდა. ვინ იცის, იქნებ წვრთნის საბაბით სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინათ. და ამიტომაც ხრუშჩოვმა გარისკა...**

— გარისკვით კი გარისკა, მაგრამ იმის მამტკიცებელი საბუთი არავის გააჩნია, თითქოს მამაჩემი ...

ვის **ვანნიკოვის** სამდივნოს თანამშრომელმა ტელეფონთან დამიძახა. რეკავდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **სულთან ამეტ-ხანი,** რომელიც ჩემი მოწყობილობებით აღჭურვილ თვითმფრინავებს ცდიდა. **„სერგო,** — ყვიროდა იგი ყურმილში, — **ერთ საშინელ ამბავს გეტყვი, მაგრამ უნდა გამაგრდე. თქვენი სახლი ჯარებითაა გარშემორტყმული, მამაშენი კი, ალბათ, მოკლულია. მე უკვე გამოგიგზავნე მანქანა, ჩაჯექი და აეროდრომზე გაემგზავრე. სადმე გადაგაფრენ, სანამ გვიან არაა!“** მე მაშინვე დავრეკე მამაჩემის სამდივნოში. პა...

გადაედოთ და ირგვლივ უცნაური ამბავი ხდებოდა. მან მითხრა: **„თუ ჩვენი საშინელი ვარაუდი სწორია, უკვე ვერაფერს გავაწყობთ, მაგრამ შენ კი დაგიცავთ, არ დავანებებთ შენს თავს.“** განსაკუთრებით ნერვიულობდა ი. კურჩატოვი, რომელსაც მამაჩემი უანგაროდ უყვარდა. მეცნიერის ბრწყინვალე კარიერას მან ისევე, როგორც **ა. სახაროვმა,** მამაჩემის წყალობით მიაღწია. მამას არაერთი სახელოვანი მეცნიერის „მორჯულება“ მოუხდა, სანამ ისინი ჭაბუკი მეატომის ხელმძღვანელობით მუშაობაზე დათანხმდნენ.

კრემლის ჭიშკართან მართლაც მელოდა **ამეტ-ხანის** გამოგზავნილი მანქანა. მეგობრები მარწმუნებდნენ — შინ წასვლა სახიფათოა, გზა უკვე გადაკეტილია, გარშემო კი სრო...

**ბერია დაპატიმრებულ იქნა...“ ხრუშჩოვი კი ჩვეულებისამებრ ტრაბახობდა: „ხუთშაბათს (1953 წლის 25 ივნისს ავტ.) ჩვენ — მალენკოვი, მე და ბერია შინ ერთი მანქანით ვბრუნდებოდით, თუმცა, ვიცოდით, რომ იგი ინტრიგანია, რომ იგი მე მაქეზებს მალენკოვისა და სხვების, უმთავრესად, მალენკოვის წინააღმდეგ. იგი გვემშვიდობება, ხელს გვართმევს, მე ხელის „მხურვალე“ ჩამორთმევით ვპასუხობ. აჰა, ვფიქრობ ჩემთვის, ნაძირალავ, ეს ხელის უკანასკნელი ჩამორთმევაა, ხვალ, ორ საათზე ყველაფრის უფლებას ჩამოგართმევთ (სიცილი). ჩვენ ხელს კი არ ჩამოგართმევთ, სულს ამოგართმევთ“. როგორ ფიქრობთ, ეს თვალის ასახვევადაა ნათქვამი თუ ლავრენტი ბერია პლენუმს მართლა ესწრებოდა? რატომღაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს უზარმაზარი სტენოგრამა სიყალბეა...**

— რატომაა ძნელი დასაჯერებელი? **კრემლში ყალბისმქმნელები ყოველთვის ბლომად ჰყავდათ.** ისეთი მნიშვნელოვანი საბუთის შედგენისას, როგორიცაა „ბერიას საქმე“, დიახაც, შეეძლოთ, გამოეყენებინათ ნაცადი „კალმის ოსტატები“, რომლებსაც, ალბათ, მეტი დამაჯერებლობისთვის შეჰქონდათ ტექსტში მსგავსი გამონათქვამები.

**— 1953 წლის 26 ივნისი შეთქმულებს შემთხვევით არ აურჩევიათ. საიდუმლო მონა**თები, რომ მამა სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა, არც მაშინ ჰქონდათ და არც ახლა აქვთ. მამის დაღუპვაზე მე თქვენ მოგიყვებით იმას, რისი მოწმეც თვითონ ვიყავი, ნაწილობრივ კი სხვებისაგან გავიგე. 1953 წლის 26 ივნისს ჩვენი ოჯახი მამასთან ერთად აგარაკზე იმყოფებოდა. მე ადრე წამოვედი და დაახლოებით დილის ცხრა საათზე კრემლში ვიყავი **ბ. ლ. ვანნიკოვთან.** მამაჩემის კაბინეტი მოპირდაპირე შენობაში იყო. იქ დამხვდნენ მამის ტექნიკური თანაშემწე **ვ. ა. მახნიოვი, ი. ვ. კურჩატოვი** და სხვები, რომლებთანაც ბირთვული აფეთქებისთვის მზადყოფნაზე მოხსენებას ვამზადებდით. ასე თორმეტი საათისთვის...

სუხი არავინ გამცა. ალბათ, მოასწრეს ტელეფონების გამორთვა. არ იღებდნენ ყურმილს არც აგარაკზე, არც — ბინაში. კავშირი ყველგან გაწყვეტილი იყო... მაშინ **ვანნიკოვს** მივმართე. ისიც შეშფოთდა და კრემლის ტელეფონს ეცა, მაგრამ მისი აბონენტებიც დუმდნენ. იმ დღეს მამაჩემის წინადადებით, დანიშნული იყო ცეკას პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც უნდა განეხილათ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის **ს. იგნატიევის** და მისი მოადგილის **მ. რიუმინის** როლი რიგი „საქმეების“ შეთხზვაში (როგორც ადვილი მისახვედრია, მათი ავტორობა მერე მთლიანად მამაჩემს მიაწერეს).

ბოლოს და ბოლოს **ვანნიკოვმა** დაადგინა, რომ სხდომა ...

...ლააო. გაქცევასა და დამალვას მე მაინც დარჩენა ვარჩიე. ხომ იკითხავდნენ, თუ დამნაშავე არ იყო, რას გარბოდაო? თანაც, სულში ჯერ კიდევ ღვიოდა იმედის ნაპერწკალი, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა და მამაჩემი ცოცხალია. გაქცევა მე არ შემეძლო იმიტომაც, რომ ვერავის დავუტოვებდი დედას, ორ პატარა ქალიშვილს და ფეხმძიმე მეუღლეს, რომელსაც სულ მალე უნდა ემშობიარა. ჩემი გოგონები მაშინ ოთხი და ორი წლისანი იყვნენ... შუა გზიდან დავბრუნდი **ვანნიკოვთან.** მან მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება და **მალენკოვს** დაურეკა. **მალენკოვის** ტელეფონი არ პასუხობდა. მაშინ **ხრუშჩოვთან** დარეკა. ყურმილი



პირველ რიგში მარჯვნიდან მარცხნივ: სტალინი, ხრუშჩოვი, ბერია, შკრიატოვი.

მეორე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ: მალენკოვი და ჟდანოვი. 1938 წელი

## „ბერიას სასამართლო პროცესი თვითონ ბერიას დაუსწრებლად მიმდინარეობდა. მკვდრის გასამართლება უკვე არავის შეეძლო!“

აიღეს. „ნიკიტა სერგის ძევ, — დაიწყო ვანნიკოვმა, — ჩემს გვერდითაა ბერიას ვაჟი. მე და ჩემმა მეგობრებმა, — მან დაასახელა კურჩატოვი და იქ დამსწრე სხვა მეცნიერები, — ვიცით, რაც მოხდა. ამიტომაც გთხოვთ, იზრუნოთ ახალგაზრდა ბერიას უსაფრთხოებაზე. მერე ვანნიკოვმა გადმომცა ხრუშჩოვის პასუხი — **აქაოდა, არც არაფერი მომხდარა, რეებს იგონებთო!..** ვანნიკოვმა თავის მანქანაში ჩამსვა და სადოვოე კალცოზე გამომყვა. რაიონი მართლაც სამხედროებით იყო გარშემორტყმული და სანამ **ვანნიკოვი** ისევ არ დაუკავშირდა **ხრუშჩოვს,** ეზოში არ შეგვიშვეს. ეჭვი არ იყო, ამ ბაკქანალიას სწორედ **ხრუშჩოვი** ხელმძღვანელობდა. მამაჩემის ოთახის კედელი მსხვილყალიბიანი



# მოგვითხრობს!

ტყვიამფრქვევებით დაეცხრილათ, ფანჯრები ჩაელეწათ, კარები შეემტვრიათ. სანამ ამ სანახაობას შეძრწუნებული შევყურებდი, **სახლის ერთ-ერთმა მცველმა მოირბინა და მიჩურჩულა: „სერგო, ეს-ესაა შენობიდან ბრეზენტგადაფარებული საკაცით ვიღაცა გამოიტანეს“.** მცველს სასწრაფოდ დაუძახეს და მე ვერ მოვასწარი მეკითხა, სროლის დროს მამა შინ იყო თუ არა?!

**— სახლი მხოლოდ თქვენს ოჯახს ეკუთვნოდა?**

— დიახ! პირველი სართული მშობლებს ეკავათ, მეორეზე მე ვცხოვრობდი ცოლ-შვილთან ერთად. იქვე იყო კომენდატურაც. მე გამოყოფა მინდოდა, მაგრამ მამამ დამიყოლია: ერთადერთი ვაჟი გვყავხარ, სად უნდა წახვიდე, ჩვენთან დარჩი, დედის გულს გაახარებო.

**— მერე როგორ წარიმართა თქვენი ბედი?**

— ჯავშანტრანსპორტიორის თანხლებით გამგზავნეს აგარაკზე, სადაც ოჯახი ისვენებდა. გამგზავრების წინ **ვანნიკოვმა** დაცვის გენერალს საბუთები მოსთხოვა და მონაცემები ჩაიწერა. თუკი გზაში მომკლავდნენ, ეცოდინებოდა, საქმე ვისთანაც უნდა ჰქონოდა, მერე კი გადამეხვია და მითხრა: გამაგრდი და იცოდე, რომ შენ უფრო მეტი მეგობარი გყავს, ვიდრე თვითონ გგონიაო. ჩვენი აგარაკი ალყაში იყო.

**— გამოდის, რომ მაშინ დაგაპატიმრეს!**

— ფაქტობრივად, დამაპატიმრეს, თუმცა, მეუბნებოდნენ — დაგაკავეთო. აგარაკზე დამხვდა დედა, რომელმაც ჩემს დასამშვიდებლად თქვა: **„მე ველოდი ამ დღეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ყოფილიყო.“** ლაპარაკობდა აუღელვებლად, უცრემლოდ, ვაი-ვიშის გარეშე. დამამახსოვრდა მისი სიტყვები: **სიკვდილის ნუ შეგეშინდება, იგი ერთხელ მოდის და მას ღირსეულად უნდა შეხვდეო.** ჩვენ დაგვაშორეს. დედა იქვე დატოვეს, მე კი ჩემს ოჯახთან ერთად კუნცევოში, სტალინის აგარაკზე გადამიყვანეს, რომელიც ასევე ჯავშანტრანსპორტიორებით იყო გარშემორტყმული. ვცხოვრობდით გამიჯნულად. გარე დაცვას სამხედროები ახორციელებდნენ, შიდას — სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირები. გვეპყრობოდნენ თავაზიანად, ვყავდით ნორმალურ პირობებში.

ოცი დღის შემდეგ ღამის სამ საათზე ამაყენეს და მითხრეს, დაპატიმრებული ხარო. 1953 წლის ივლისიდან დეკემბრამდე ლეფორტოვოს ციხეში ვიყავი დამწყვდეული, 1954 წლის იანვრიდან ბუტირკაში გადამიყვანეს, სადაც ერთი წელი დავყავი. ორივეგან ერთკაციან საკანში ვიჯექი, სასამართლოსა და ძიების გარეშე. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბუტირკის ერთკაციან საკანში მჯდარა დედაჩემიც. ლეფორტოვოს ციხე სასტიკი რეჟიმით გამოირჩეოდა. საკანში ჩემთან ერთად იმყოფებოდა ოთხკაციანი დაცვა, რომელიც სისტემატურად იცვლებოდა. ისინი წუთითაც არ მაძინებდნენ, თანაც ყოველნაირად ცდილობდნენ, ჩემთვის საინტერესო ჩვენებები დაეტყუებინათ. როცა შიმშილობას გამოვაცხადებდი, ძალით მკვებავდნენ. ცემით ერთხელაც არ ვუცემივართ.

**— მაინც რა გედებოდათ ბრალად?**

— სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ შეთქმულება, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოსასპობად დივერსიების მოწყობა, ინგლისის დაზვერვასთან რადიოკავშირი.

**— მამხილებელი საბუთები?**

— არავითარი მამხილებელი საბუთები მათ არ ჰქონიათ. ამიტომაც განვაცხადე: **„სანამ არ მაჩვენებთ მამაჩემის დაკითხვის ოქმს ან მის მიერ ხელმოწერილ რაიმე საბუთს, ჩვენებას არ მოგცემთ-მეთქი“.** ჯიუტად ვიმეორებდი: სანამ არ წარმომიდგენთ ჩემი ტერორისტული და ჯაშუშური საქმიანობის დამამტკიცებელ ფაქტებს, ჩვენებებს ასევე არ მოგცემთ-მეთქი. მე არ უარვყოფდი, რომ კარგად ვისროდი და იარაღიც მქონდა, მაგრამ მოვითხოვდი სამხილებს, რომლებიც გახსნიდნენ ჩემი დანაშაულის არსს. რამდენადაც ასეთი სამხილები არ გააჩნდათ, ვპასუხობდი მხოლოდ ამ ტიპის კითხვებზე: **„სად იყავით ამა და ამ დროს; იცნობთ ამას და ამას?“** როგორც კი კითხვები გამოგონილ ბრალდებებში გადაიზრდებოდა, ვჩუმდებოდი.

**— გამომძიებელთა გვარები გახსოვთ?**

— რა თქმა უნდა, მახსოვს. ჩვენს საქმეს იძიებდა გენერალური პროკურორის სამი მოადგილე. პირველი მოადგილე — სამხედრო პროკურორი, გენერალლეიტენანტი **კიტაევი,** წარმოუდგენელი ნაძირალა. მოადგილეები — **კომოჩკინი და ცარეგრადსკი.** ამ უკანასკნელს, თუმცა, პროკურორი კი იყო, პატიოსნება და სამართლიანობა არ აკლდა.

**— დაკითხვებზე დაჰყავდით თუ გამომძიებლები ციხეში მოდიოდნენ?**

— ყველაფერი ციხეში ხდებოდა. გამომძიებლის კაბინეტი რადიოფიცირებული იყო და ჩვენს საუბარს მეზობელ ოთახში ფირზე იწერდნენ.

**— გამომძიებლები გაგეცნენ თუ მათ ადრეც იცნობდით?**

— გამომძიებლებთან ადრე ნაცნობობა არ მქონია. პირველსავე შეხვედრაზე მათ მაჩვენეს საბუთები, დამისახელეს ვინაობა და წოდებები. ყველაფერი წესისამებრ გააკეთეს.

**— გარეშე პირთაგან ხომ არ დაინტერესებულა თქვენით ვინმე?**

— ლეფორტოვოში ორჯერ მომაკითხა **მალენკოვმა.** მირჩია — მიეცი შესაბამისი ჩვენებები და სასჯელი შეგიმსუბუქდებაო. სინამდვილეში იგი ცდილობდა, გაერკვია, ვიცოდი თუ არა, სად მალავდა მამა საიდუმლო არქივს.

**— მხილების ეშინოდა?**

— რასაკვირველია! იგი ხომ, როგორც მოგიყევით, ცეკაში რეპრესიების საკითხს ხელმძღვანელობდა. სავსებით დასაშვებია, მამაჩემს ჰქონოდა ისეთი საბუთები, რომელთა გამომზეურება სასიკვდილო დარტყმას მიაყენებდა არამარტო მალენკოვს, არამედ მთელ მათ კამარილიას.

**— როდის შედგა თქვენი სასამართლო?**

— სასამართლო არ შემდგარა. შედგა უარესი რამ: **დახვრეტის სცენა.** ციხის ეზოში ერთ-ერთი გასეირნების დროს ჩვეულებრივი დაცვის ნაცვლად მეავტომატეთა ოცეული გამოჩნდა. ჯარისკაცებმა უცებ ხელი მტაცეს და კედელთან მიმაყენეს, მეთაურმა კი სხაპასხუპით წაიკითხა სასიკვდილო განაჩენი. მე იგი სიტყვასიტყვით არ მახსოვს, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო: **„ესა და ეს ნომერი დამნაშავე, რომელიც ჩვენებებს არ იძლევა, დაიხვრიტოს!“** გაიჩხაკუნეს ავტომატების საკეტებმა, როგორც იქნა, მოეღო ბოლო უაზრო წამებას... მოულოდნელად ვიღაც შემოვარდა და ჯარისკაცებს იარაღის ძირს დაშვება და ჩემი საკანში დაბრუნება უბრძანა. ამას ახლა გიყვებით ასე მოკლედ, თორემ მაშინ მომეჩვენა, რომ მარადისობამ ჩაიარა... მერე მიამბეს — თურმე, ჯარისკაცებისთვის მიყვირია — იცოდეთ, არამზადებო, რომ თქვენც თითო-თითოდ დაგხვრეტენ, რათა მოწმეებად არ დარჩეთ-მეთქი. ყველაზე ამაზრზენი აქ ის იყო, რომ ამ ულმობელი სცენისთვის დედაჩემს აყურებინეს, თურმე. მიუყვანიათ იგი გისოსებთან და უთქვამთ: **„ჩვენ ახლა თქვენს ვაჟს დავხვრეტთ, მაგრამ, თუ მისი გადარჩენა გსურთ, აგერ საბუთები, მოაწერეთ ხელი და შვილი ცოცხალი გეყოლებათ!“** დედას უპასუხია: **თქვენ, სულერთია, დაპირებას მაინც არ შეასრულებთ, ამიტომ ერთად დაგვხვრიტეთ, სჯობს, პატიოსან ადამიანებად მოვკვდეთო.** მაგრამ, როცა ავტომატები მომიშვირეს, გული წასვლია და წაქცეულა. მეორე დღეს, მე მაშინ ოცდაათი წლისაც არ ვიყავი, წყალში ჩემი ანარეკლი დავინახე და გავფითრდი: ნახშირივით შავი ქოჩორი ერთთავად გამჭაღარავებოდა... ამ ფარსის შემდეგ რეჟიმი საგრძნობლად შემისუსტეს. ზედამხედველები უკვე ნომრით კი არა, სახელითა და გვარით მომმართავდნენ. ისევ აჭიატდა იმედის შუქი — იქნებ განგებამ ჩემი გადარჩენა ინება და ამ ჯურღმულებში უკვალოდ არ გავქრემეთქი. მალე ჩემი დაუმთავრებელი პროექტებიც მომიტანეს და მათზე მუშაობის ნება დამრთეს. თავაუღებელი გარჯის შედეგად იშვა წყალქვეშა სტარტის რაკეტა, რომლის მოდიფიკაციები რუსეთის არმიას დღესაც აქვს შეიარაღებაში. წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ სუკის თავმჯდომარესთან მიმიყვანეს, რომლის კაბინეტშიც საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის თანდასწრებით დედას შემახვედრეს. ჩემი ჭაღარის დანახვაზე დედა ატირდა და უსიტყვოდ ჩამეხუტა. თავმჯდომარემ გამოგვიცხადა, რომ ჩვენ პატიმრები უკვე აღარ ვართ და ციხიდან გვიშვებენ. მთავრობის სახელით მე მევალებოდა დასრულებული პროექტის ხორცშესხმა ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში, გარდა მოსკოვისა. შემომთავაზეს კიდეც რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ მე სვერდლოვსკი ავირჩიე, სადაც ადრე მოსკოვის საკონსტრუქტორო ბიუროს ფილიალი გავხსენი. დედამ განაცხადა, რომ მარტოს არ გამიშვებდა და თან წამომყვებოდა. ამ საუბრიდან ერთი კვირის თავზე სვერდლოვსკში გაგვამგზავრეს დაცვის თანხლებით, თუმცა, უკვე პატიმრები არ გვეთქმოდა.

**— რა თქმა უნდა, არ მაქვს საფუძველი, არ ვენდო თქვენს მონაყოლს, მაგრამ, ალბათ, იცით, რომ ხალხში ასეთი ხმებიც დადის: ლავრენტი ბერია ჰაერში მოსპეს, ბერლინიდან მობრუნებული მისი თვითმფრინავი საბჭოთა მეზენიტეებმა ჩამოაგდესო...**

— ეტყობა, ასეთი გეგმაც არსებობდა. შეთქმულებმა თავის დაზღვევის მიზნით სასწრაფო მივლინებაში გაგზავნეს მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი **არტემიევი,** რომელსაც შეეძლო მათთვის ხელი შეეშალა. **არტემიევი** დიდხანს მსახურობდა შინსახკომში, სარგებლობდა მამისა და პირადად სტალინის ნდობით. და მაინც, ყველაზე სარწმუნოდ ის ვერსია მიმაჩნია, წეღან რომ გაგაცანით. სხვადასხვა ვერსიის არსებობა კი, სხვათაშორის, ოფიციალური ვერსიის არასანდოობაზე მიუთითებს.

**— ამჟამად განსაკუთრებული ინტერესი იგრძნობა ლავრენტი ბერიას დაღუპვის (თუ დახვრეტის) წვრილმანებისადმი. პრესა პირდაპირ აჭრელებულია ამ თემისადმი მიძღვნილი მასალებით. წერენ ჟურნალისტები, ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, ყოფილი პატიმრები და ჩეკისტები. სენსაციურობით ყველას აჭარბებს ყოფილი საბჭოთა მაიორი მიხეილ ხიჟნიაკ-გურევიჩი, რომელიც ამტკიცებს — ლავრენტი ბერია პირადად მე დავხვრიტეო. ამის შესახებ იგი უყვება ბრიტანულ ყოველკვირეულში „სანდი ტაიმსი“, ხოლო „კომსომოლსკაია პრავდა“ (06. 01. 98) მის მონაყოლს საკუთარ მკითხველებსაც აცნობს. გადამდგარი მაიორის თქმით, იგი თან ახლდა ბადრაგს, რომელსაც დაპატიმრებული ბერია კრემლიდან ბუნკერში გადაჰყავდა.**



ფილიპე მახარაძე, მირჯაფარ ბაგიროვი და ლავრენტი ბერია. 1935 წელი

**„სახლის ერთ-ერთმა მცველმა მოირბინა და მიჩურჩულა: „სერგო, ეს-ესაა შენობიდან ბრეზენტგადაფარებული საკაცით ვიღაცა გამოიტანეს“. მცველს სასწრაფოდ დაუძახეს და მე ვერ მოვასწარი მეკითხა, სროლის დროს მამა შინ იყო თუ არა?!“**

გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

# საუბრები იმპერიის ნანგრევებზე ★

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-6 გვერდზე*



სერგო ბერია

## რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს!



**შემდგომში კი მას დაევალა ამ უჩვეულო ტუსაღის დაცვა. მთელი ნახევარი წელიწადი, თვით 23 დეკემბრამდე, იგი განუყრელად მასთან იყო, აჭმევდა, პარსავდა, ბანდა განწირულ მარშალს. ტყვე და მცველი შეჩვევიან ერთმანეთს და ურთიერთსიმპათიაც კი გასჩენიათ. მცველს შეჰქმნია შთაბეჭდილება, რომ ბერია ჭკვიანი კაცი იყო და თავის ღირსეულად დაჭერა შეეძლო. ის არ ყოფილა მშიშარა. მხოლოდ ერთი წამით გაუფითრდა მას სახე და აუცახცახდა მარჯვენა ლოყა. ეს იყო ერთხელ და უკანასკნელად, როცა მან საკუთარი ემოცია გამოაჩინა. მართალია, „დასაცავი ობიექტისადმი“ ასეთ მზრუნველ და სათუთ დამოკიდებულებას არ შეუჩერებია „კანონდამჯერე“ მაიორი, გენერალ ბატიცკის კვალდაკვალ ბოძზე მითოკილი ბერიასთვის ორი ნაბიჯიდან ტყვია შუბლში მიეჭედებინა. მასვე რგებია დახვრეტილი ბერიას გვამის დონის კრემატორიუმში გადატანა და კრემაციის შემდეგ მძლავრი ვენტილატორის მეშვეობით ფერფლის ჰაერში გაბნევა. უნებლიე ჯალათს სიცოცხლის ბოლოს სინდისის ქენჯნა უგრძნია, მას სულ უფრო და უფრო აწუხებდა ხსოვნა მომხდარის შესახებ, ამიტომაც რამდენჯერმე უცდია თქვენთან შეხვედრა, რათა თვით ლავრენტი ბერიას ოდინდელი თხოვნით მოეთხრო, თუ როგორ მოხდა ყველაფერი სინამდვილეში. უცდია, მაგრამ ამაოდ.**

— ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი სიცრუეა. არასდროს, არანაირ ვითარებაში მაიორს ჩემთვის არ მოუმართავს. თუმცა, გულწრფელად გეტყვით, რომ მისი არსებობა ვიცოდი. ნაცნობმა ჟურნალისტებმა როგორღაც გადაკრულად მიმანიშნეს, რომ არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია მამის უკანასკნელ დღეებზე სრული სიმართლე მომითხროს. გამოგიტყდებით, რომ მე გამოცდილი კაცი გახლავართ (ცხოვრების წყალობით!) და ეს ცნობა სარწმუნოდ არ ჩავთვალე. **საქმე ისაა, რომ მე და მამაჩემს გვქონდა თავისებური პაროლი იმ შემთხვევისთვის, თუკი მესამე პირის მეოხებით რაიმე ინფორმაციის გადაცემა მოგვიხდებოდა.** გურევიჩს („ხიჟნიაკი“ მის გვარში მაშინ არ ფიგურირებდა) ეს პაროლი არ გამოუყენებია. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. დავუშვათ, რომ მამას არ გაუნდვია მისთვის ჩვენი საიდუმლო, მაგრამ კაცს, რომელიც მას ტანის დაბანაში ეხმარებოდა, სხეულზე ხალები ხომ უნდა შეენიშნა! **მარჯვენა ძუძუსთან და თეძოზე მამას ორი დიდი ხალი ჰქონდა. გურევიჩმა არც ეს იცოდა.** დაბოლოს, სრულიად დაუჯერებლად გამოიყურება მის მიერ აღწერილი იდილია, როცა იგი სპეცსაპყრობილეში განსაკუთრებულ პატიმარს მარტოდმარტო იცავდა. თვით მეც კი ლეფორტოვოსა და ბუტირკაში, როგორც უკვე გითხარით, თავზე გაძლიერებული დაცვა მადგა, აქ კი თვით ლავრენტი ბერია ერთადერთი მაიორის ამარა დაუტოვებიათ. ასეთი გადამოწმების შემდეგ მივხვდი, რომ მოხუცი ჩეკისტის მონაყოლი წმინდა წყლის ფანტაზიის ნაყოფია. ამიტომაც არ ვისურვე მასთან პირადად შეხვედრა.

**— ვთქვათ და მაიორი მართლაც გამომდგარიყო ის კაცი, ვისადაც თავს ასაღებს, მამის ჯალათს პირისპირ შეხვდებოდით? ბერიას დახვრეტა ხომ, თუკი მსგავსი რამ ნამდვილად მოხდა, საკონსტიტუციო, სასამართლო, საპროცესო და სხვა მრავალ უფლებათა უხეშზე უხეში დარღვევაა!**

— **მეც იმას ვამბობ, რომ მამა კი არ დახვრიტეს, ყაჩაღურად მოკლეს!** სადავოდ რჩება მხოლოდ დანაშაულის დრო და ადგილი. შემეძლო თუ არა, შევხვედროდი იმ მხეცობის მონაწილეს? მე თქვენ მეტად რთული კითხვა დამისვით. გადაწყვეტილება შეიძლებოდა, მყისიერი ყოფილიყო, თუმცა, მაიორთან დალაპარაკებაზე ჩემი უარი ნაკარნახევია არა ემოციებით, არამედ მტკიცე რწმენით, რომ მისი მონათხრობი სიყალბეა.

**— გაქვთ კიდევ რაიმე არგუმენტი თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად?**

— მე მყავს ცოცხალი მოწმე — საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი **ალექსანდრე მირცხულავა. აკაკი მგელაძის** ხანმოკლე თარეშის შემდეგ იგი მამაჩემის მხარდაჭერით დაინიშნა ამ თანამდებობაზე, რაც სამარცხვინო „მეგრელების საქმის“ ჩაფუშვას ნიშნავდა. **მირცხულავა მონანიებით მოვიდა ჩემთან და მომიტანა თავისი ამასწინანდელი პუბლიკაციები ქართულ პრესაში, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ გაუსწორდნენ ხრუშჩოვი და ძმანი მისნი ლავრენტი ბერიას.** როგორც ჩანს, მირცხულავა სინდისის ქენჯნამ შეაწუხა, რადგან თავის დროზე არცთუ ვაჟკაცურად მოიქცა და მამაჩემი ლაფში ამოსვარა. გასაგებია, რომ დრო იყო ისეთი, აიძულეს კაცი, და მაინც...

**— რაო, რას გვიყვება ის თქვენი ცოცხალი მოწმე?**

— **ალექსანდრე მირცხულავა** ყვება, თუ როგორ გამოიძახა იგი 1953 წლის ივნისის მიწურულს ტელეფონის მოულოდნელი ზარით **ხრუშჩოვმა** და თან შინაგან საქმეთა მინისტრის **დეკანოზოვის** წამოყვანა დაავალა. გამოძახების მიზეზი **მირცხულავასთვის** არ აუხსნიათ. მისაღებში ცოტაოდენი ლოდინის შემდეგ იგი **ხრუშჩოვთან** შეუყვანიათ. მასპინძელი ხალისიანად მისალმებია და სხვათაშორის უკითხავს — **ბერია უკვე ნახეთო?** უარყოფითი პასუხი რომ მიუღია, ღიმილით დაუკრავს მხარზე ხელი და უთქვამს: **თქვენ მას ვერც შეხვდებოდით, ჩვენ იგი დავაპატიმრეთო.** საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი გვიდასტურებს: „ხრუშჩოვის ნათქვამმა შემძრა, მაგრამ თვითშენახვის ინსტინქტმა წამომაროშვინა: **„თუ დააპატიმრეთ, ალბათ, იყო კიდეც ღირსი. ეტყობა, მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი“.** ხრუშჩოვს ჩემი პასუხი მოეწონა და ბერიას ლანძღვა-გინებას მოჰყვა, სულ არამზადა და ნაძირალა უძახა, მაგრამ მისი ბოროტმოქმედების კონკრეტული ფაქტები არ დაუსახელებია. ბოლოს მან გამაფრთხილა: **თუ საქართველოში ჩვენს აქციასთან დაკავშირებით მღელვარება დაიწყება, დეციმაციას მივმართავთ** (ნიშნავს ყოველი მეათე კაცის დახვრეტას იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე აღმოჩენილი არაა), **თქვენ კი საკუთარი თავით აგებთ ყველაფერზე პასუხს.**

ის, რომ ხრუშჩოვი არ ლაყბობდა, ცხადი გახდა, როცა მან საქართველოში სპეცრაზმი გაგზავნა **გენერალ ბატოვის** მეთაურობით. იგი მე **ხრუშჩოვმა** საკუთარ კაბინეტში გამაცნო. მან ასევე მაცნობა, რომ **ბერიასთან** დაკავშირებით მოიწვევდნენ სპეციალურ პლენუმს, სადაც მე მამხილებელი სიტყვით გამოსვლა მომიწევდა. მე გადმომცეს მამხილებელი გამოსვლის „ბლანკა“ და მისი „ქართული კოლორიტით“ გაზავება მირჩიეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლავრენტი ჩემი მეგობარი იყო, მე არამარტო მაშინვე დავთანხმდი, არამედ დავპირდი, ახლავე დავრეკავ თბილისში, რომ მისი პორტრეტები ყველგან ჩამოხსნან-მეთქი. მაგრამ აქ ჩემი ენთუზიაზმი ხრუშჩოვმა გაანელა: **„ამის გაკეთება საჭირო არაა. ბერიას დაპატიმრებას მსოფლიო პლენუმის შემდეგ გაიგებს“.** და მსოფლიო მართლა გააოგნა ცეკას შეტყობინებამ.

**— ამ მონათხრობიდან არ ჩანს, რომ ბერია დაპატიმრებისას მოკლეს.**

— **ალექსანდრე მირცხულავა** აგრძელებს, რომ იმ ყბადაღებული პლენუმის შემდეგ რომელიღაც საკავშირო თათბირზე **ხრუშჩოვს** სასხვათაშორისოდ შეუნიშნავს: ჩვენ რომ ზოგიერთი რჩევა ყურად გვეღო და ბერიას საქმე მისი თანდასწრებით განგვეხილა, არცერთი ჩვენგანი დღეს ცოცხალი აღარ იქნებოდა, რადგან ტუსაღი ბერიაც დიდად საშიში იყო. ამიტომაც იგი დაპატიმრებისას მოვსპეთო.

**— რატომ გამოიჩინა მან ასეთი გულახდილობა წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე?**

— ჩემი აზრით, ბევრი მაღალი თანამდებობის პარტიელი მოითხოვდა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ ჩატარდა პლენუმი უბერიოდ. სხვათაშორის, ასეთ კითხვას ჯიუტად სვამდნენ საზღვარგარეთის, კერძოდ, საფრანგეთის და იტალიის კომპარტიების წარმომადგენლები, რომლებთანაც მამა ცეკას დავალებით მნიშვნელოვან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. **ამასწინათ სორბონის უნივერსიტეტში, სადაც პოლიტოლოგების ჯგუფმა მიმიწვია, მაჩვენეს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთა ასლები, რომლებმაც ერთხელ კიდევ დამარწმუნეს, რომ მამაჩემი, როგორც იტყვიან, გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე მიახვრიტეს.** იყო კაცი და გააქრეს კაცი. მორჩა და გათავდა!

**— საინტერესოა, რა დოკუმენტები გაჩვენეს ფრანგებმა და საიდან მოხვდა ისინი მათ ხელში?**

— ეს ცალკე და სერიოზული მსჯელობის საგანია, რასაც ოდესმე დავუბრუნდები, ხოლო რაც შეეხება ფრანგებს, გეტყვით, რომ ასლებს ისინი თავხედურად იძენდნენ პირდაპირ არქივების მცველთაგან. თუ როგორ ახერხებდნენ ამას, ჩემთვის უცნობია. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ისტორია ფრანგებისთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩვენთვის.

**— კოროტკოვმა, სტეპანოვმა და პიხოიამ რუსულ პრესაში გამოაქვეყნეს „ბერიას ბოლო საბუთი“ — მისი დახვრეტის ხელნაწერი აქტის ასლი. ეს როგორღა გავიგოთ?**

— ჩემი აზრით, ნამდვილი საბუთი, მით უფრო, განსაკუთრებული მნიშვნელობისა, მანქანაზე მაინც უნდა იყოს გადაბეჭდილი და ზედ ბეჭედიც ჰქონდეს. ასეთ ხელნაწერ აქტებს კი, უკაცრავად პასუხია და, სოფელში პირუტყვის დაცემაზე ადგენდნენ. სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ზოოტექნიკოსი და ბრიგადირი საკუთარი ხელმოწერებით ადასტურებდნენ ძროხისა თუ ღორის დაღუპვას. მაგრამ თვით ასეთ აქტსაც კი უბეჭდოდ ძალა არა აქვს. არმიის გენერალმა **მოსკალენკომ,** გენერალ-პოლკოვნიკმა **ბატიცკიმ** და გენერალურმა პროკურორმა **რუდენკომ,** როგორც ჩანს, ვერც მემანქანე იპოვეს და ვერც ბეჭედი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვისი ბეჭდით უნდა ესარგებლათ მათ? საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო დასწრების ბეჭდით ხომ არა? ამ ერთჯერად ორგანოს, რომლის წინადადებითაც შედგა თითქოს დახვრეტა, არა მგონია, საკუთარი ბეჭედი ჰქონოდა. **ჰოდა, შეთითხნეს, ალბათ, ფარატინა ქაღალდი, რომლის თანახმადაც 1953 წლის 23 დეკემბერს, 19 საათსა და 50 წუთზე, განაჩენი ლავრენტი ბერიას მიმართ აღასრულეს.**

**— 1945 წელს სტალინმა სიკვდილით დასჯა გააუქმა, მაგრამ მალე იგი კვლავ აღადგინეს. ზოგ ენამწარეს რომ მოუსმინო, ასე „იზრუნა“ ბერიამ თავის მომავალზე...**

— ჯერ ერთი, მამაჩემზე „იზრუნეს“ მისმა ეგრეთ წოდებულმა თანამებრძოლებმა, რომელთათვის, როგორც აღმოჩნდა, კანონი, თურმე, საერთოდ არ არსებობდა. მეორეც, მამაჩემმა ჯერ კიდევ ომამდე წარუდგინა სტალინს კანონპროექტი, რომელიც გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ ომის შემდეგ მიიღეს. რაც შეეხება სასჯელის უმაღლესი ზომის აღდგენას, ვფიქრობ, საამისოდ მარტო **ლავრენტი ბერიას** „ზრუნვა“ და მოწადინება არ კმაროდა. იგი განპირობებული იყო დამნაშავეობის აღზევებით, რაც მარტო პოლიტიკური რეჟიმისგან როდია დამოკიდებული. აკი ბევრი დემოკრატიული ქვეყნის კოდექსში სიკვდილით დასჯა დღემდე ფიგურირებს!

***გაგრძელება იქნება***

# «მამა კი არ დახვრიტეს, ყაჩაღურად მოკლეს!»

გენერალისიმუსი
2024 წლის 10 ივნისი. №29-30 (265-266)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-24*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***




# შევარდნაძის საიდუმლო

შევარდნაძე დიდ ადგილს უთმობს აზიასა და ოკეანეთში 1988 წლის დეკემბერში მის 13-დღიანი ტურნეს გახსენებას. ის იყო იაპონიაში, კამბოჯაში, ვიეტნამში, ჩინეთში, ჩრდილოეთ კორესა და ფილიპინებზე. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით საინტერესო ის მოგონებებია, რომლებიც ორ ისტორიულ ფიგურასთან — **კიმ ირ სენსა და დენ სიაოპინთან** მის შეხვედრას უკავშირდება!

მითუმეტეს, რომ ფხენიანში ის 1945 წლიდან ჩრდილოეთ კორეის მმართველ **კიმ ირ სენთან** ერთად, მის შვილსა და მემკვიდრეს **კიმ ჩენ ირსაც** შეხვდა:

***„მაშინ ეს ქვეყანა უეჭველად იყო ჩვენი გავლენის სფეროში, იგი საბჭოთა კავშირის საიმედო დასაყრდენი გახლდათ. ჩვენს ხელმძღვანელობას და მეც შესანიშნავი ურთიერთობები გვქონდა კიმ ირ სენთან. მას სამჯერ შევხვდი, განსაკუთრებული სითბოთი გვიღებდა — შინაურულად, სიყვარულით მესაუბრებოდა სტალინზე, მიყვებოდა, სულ ახალგაზრდა როგორ გამოარჩია და დაიახლოვა პროლეტარიატის ბელადმა ალბანეთის კომპარტიის ასევე ახალგაზრდა გენერალური მდივან ენვერ ხოჯასთან ერთად“** (ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ.180).*

უნდა ითქვას, რომ **კიმიც და ხოჯაც** იმდენად ერთგულები იყვნენ სტალინისა, რომ, როცა ხრუშჩოვმა მე-20 ყრილობაზე „პიროვნების კულტთან“ ბრძოლა გამოაცხადა, ალბანეთიც და ჩრდილოეთ კორეაც დემონსტრაციულად გაემიჯნენ საბჭოთა კავშირს და სანამ **ბრეჟნევი** არ მოვიდა ხელისუფლებაში, თითქმის ათი წელი არც იხედებოდნენ კრემლისკენ! ის კი არა, **ენვერ ხოჯამ** მთელი ალბანეთი ბეტონის ბუნკერებით აავსო საბჭოთა ინტერვენციასთან სამხედრო დაპირისპირებისათვის.

მემუარისტი იმასაც იხსენებს, რა საკითხებზე ელაპარაკებოდა **ამხანაგ კიმს:**

*„**კიმ ირ სენთან საუბრისას მხარი დავუჭირე მის წინადადებას ორი კორეის გაერთიანებისა და 1995 წლისთვის გაერთიანებული სახელმწიფოს — კორეის დემოკრატიული კონფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ.** მისაღები და მომწიფებული იყო ასევე წინადადება ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის მაღალი დონის წარმომადგენლების შეხვედრისა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე და კორეის ნახევარკუნძულის უატომო მშვიდობიან ზონად გამოცხადების თაობაზე. **ბევრ საკითხზე ერთიანად ვფიქრობდით, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერ დონეზე მჟღავნდებოდა, რადგან კიმი მეტად მტკივნეულად განიცდიდა სამხრეთ კორეასთან ჩვენს ნებისმიერ კონტაქტს“** (იქვე, გვ. 180).*

რა თქმა უნდა, 1988 წელს ორი კორეის 1995 წლისთვის გაერთიანებაზე ლაპარაკი აბსურდული იყო: ჩრდილოეთ კორეაში გაგანია სტალინური დიქტატურა იყო და ეს აგერ, ლამის 40 წლის შემდეგაც არ შეცვლილა: ჩრდილოეთ კორეას ამჟამად იმ **კიმის** შვილიშვილი მართავს ერთპიროვნულად და ბელად პაპას კარგად რომ დამსგავსებოდა, პლასტიკური ოპერაციებიც კი გაიკეთა.

იქვე **შევარდნაძე** გაოგნებული იხსენებს, **ბელადი კიმისადმი** როგორი უკიდეგანო მონური მლიქვნელობა იყო დანერგილი ხალხში:

***„საბჭოთა კავშირში ჩვენ თითქმის დავძლიეთ ასეთი სტილი, თითქმის... მაგრამ ფხენიანში ვიზიტისას ღიმილის დონეზეც კი არ უნდა შემემჩნია ეს ყოველივე. არც შევიმჩნიე.***

***საბჭოთა კავშირში შეიცვალა ასეთი ტიპის აზროვნება, შეიცვალა სოციალისტურ ქვეყნებშიც. ჩრდილოეთ კორეაში კი დარჩა და ამიტომაც ეს ქვეყანა დღეს მსოფლიოს თავსატეხია — თავისი ბირთვული ამბიციებითა და საყოველთაო შიმშილით“** (იქვე, გვ. 180).*

შემდეგ შევარდნაძე იხსენებს თავის ვიზიტს ჩინეთში, სადაც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას მას ურჩიეს, ჩასულიყო შანხაიში და შეხვედროდა **დენ სიაოპინს** — ჩინეთის რეალურ მმართველს, რომელსაც აღარანაირი თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ მართავდა ყველას და ყველაფერს:

***„ამ კაცმა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. თითქმის ყველა საკითხზე გახსნილად და გულახდილად მესაუბრებოდა და არც დროით შემოიზღუდა. მთავარი, როგორც ვთქვით, იყო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოწესრიგება და სახელმწიფო საზღვრის პარამეტრების შეთანხმება. განსაკუთრებული იყო კუნძულ დამანსკის კუთვნილების საკითხი. პრეტენზია, არცთუ დაუსაბუთებელი, ორივე მხარეს ჰქონდა. კარგა ხანს ვიკამათეთ — მე ჩემი არგუმენტები მქონდა და შესაბამისი დირექტივით ვმოქმედებდი; მოკლედ, ჩემი პოზიცია უნდა დამეცვა“** (იქვე, გვ. 182).*

**დენ სიაოპინი** დელიკატურად უსმენდა შევარდნაძეს, ბოლოს კი ყველაფერი ღიად უთხრა:

***„ჩინეთს სამი-ოთხი მილიონი კვადრატული კილომეტრი კიდევ გვეკუთვნის და დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობები მოაგვარებენ ამ საკითხს. ვის ექნება ეს ბედნიერება, ახლა ვერავინ განჭვრეტს: ჩინელებს დროით განუსაზღვრელი მოცდა შეუძლიათ. თქვენ კი დღეს ამ იოტისოდენა კუნძულზე გვედავებით, სადაც რამდენიმე ათასი კაცი ცხოვრობს. გთხოვთ, გადასცეთ გორბაჩოვს: თუ არ გადაწყდება ამ კუნძულის საკითხი, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებში ბზარი გაჩნდება, ეს კი არც მე მსურს და არც არაფერს გვარგებს“** (იქვე, გვ. 182).*

ამ 3-4 მილიონ კვადრატულ კილომეტრს ჩინეთი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში უყურებს, რადგან ამ მიწას თავის ისტორიულ კუთვნილებად მიიჩნევს!

ის კი არა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, რაც მეტად ხდება კრემლი ჩინეთის დახმარებაზე დამოკიდებული, მით უფრო იკვეთება ჩინეთის მიზნები, დაიბრუნოს თავისი ტერიტორიები, რომელიც ამჟამად რუსეთის შემადგენლობაშია მოქცეული.

მაგალითად, 2023 წელს ჩინეთის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოსცა ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, ჩინეთის სიახლოვეს მდებარე **რუსეთის 8 გეოგრაფიულ ადგილს** (მათ შორის, 6 ქალაქს) დაუბრუნა ძველი ჩინური დასახელებები.

ასე, მაგალითად, ვლადივოსტოკი ხელახლა გახდა **ჰაიშენვაი,** კუნძული სახალინი — **კუეღაო,** ხოლო ხაბაროვსკი — **იოლი.**

ამის შემდეგ **შევარდნაძე** იხსენებს, რამდენიმე თვეში როგორ ჩავიდა პეკინში უკვე **გორბაჩოვთან** ერთად:

***„ჩვენი ვიზიტი პეკინში ტიანანმენის მოედანზე სტუდენტების გრანდიოზულ გამოსვლას დაემთხვა. ჩვენი რეზიდენცია მოედანთან ახლოს იყო, ახალგაზრდებმა მას ალყა შემოარტყეს სკანდირებით: „გორბაჩოვ, გორბაჩოვ“... მოითხოვდნენ, რომ გორბაჩოვს მათთვის სიტყვით მიემართა.***

***არ შეიძლებოდა...***

***ამ ამბავმა 1956 წლის თბილისი გამახსენა — კრწანისში ჯუ დეს, ჩინეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის რეზიდენციას რომ შემოარტყეს ჩვენმა სტუდენტებმა ალყა. მაშინ ჯუ დემ სასწრაფოდ დატოვა თბილისი... ჩვენც სასწრაფოდ მოგვიხდა პეკინის დატოვება“** (იქვე, გვ. 183).*

**შევარდნაძეს** შემთხვევით არ გაუტარებია პარალელი **ჯუ დეს** თბილისში სტუმრობასა და **გორბაჩოვის** პეკინურ ვოიაჟს შორის!

ორივე შემთხვევაში ახალგაზრდებს სისხლიანი კალო მოუწყვეს: **1956 წლის 9 მარტს** ქართველი ახალგაზრდები „სტალინის კულტთან“ ხრუშჩოვის ბრძოლას აპროტესტებდნენ და ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო ჯუ დე, რომლისგანაც დემონსტრანტები სტალინის გამოქომაგებას მოითხოვდნენ!

პეკინში კი სწორედ **გორბაჩოვის** ვიზიტმა გააძლიერა უკვე არსებული სტუდენტური პროტესტი: **ანუ ჩინეთის ახალგაზრდობას თავის სამშობლოშიც სურდა გორბაჩოვისეული „პერესტროიკა“ და როდესაც შეიტყო საბჭოთა კავშირის რეფორმატორი გენსეკის პეკინური ვიზიტის შესახებ, გადაწყვიტა, ასე მიეწვდინა ხმა მისთვის — ჩვენც გვინდა გარდაქმნებიო!**

მემუარისტი **ჯუ დეს** თბილისური სტუმრობის ხსენების იქით ერთ სიტყვასაც აღარ ამბობს, რა ტრაგედია მოჰყვა ტიანანმენის მოედანზე რეფორმების მოსურნე სტუდენტობის პროტესტს — არადა, იქ 1989 წლის 4 ივნისს პირდაპირ ტანკებით გასრისეს და ავტომატებით მოსრეს პროტესტანტები — მოედანზე ათასზე მეტი ახალგაზრდა დაიღუპა!

**არადა, დღემდე მსოფლიოშიც კი ბევრმა არ იცის, რომ ტიანანმენის სისხლიანი ტრაგედია პეკინში სწორედ გორბაჩოვისა და შევარდნაძის ვიზიტს მოჰყვა!**

*გიორგი გიგაური*




სტუდენტების აქცია ტიანანმენის მოედანზე. 1989 წლის 2 ივნისი

## როგორ შეეწირა ათასზე მეტი ჩინელი ახალგაზრდა პეკინში გორბაჩოვ-შევარდნაძის ვიზიტს!



# იგორ კვესელავა:

# ზვიად გამსახურდიას ჟიული შარტავა შინაგან საქმეთა ან თავდაცვის მინისტრად რომ დაენიშნა, საქართველოში გადატრიალება და უბედურება არ მოხდებოდა!





**„ჟიული შარტავა სწორედ ზვიად გამსახურდიასთან სატელეფონო საუბრებსა და ბორის პასტუხოვთან შევარდნაძის შესახებ ნათქვამ ერთ ფრაზას გადაჰყვა — „ეტოტ სტარიკ სავსემ ოხ...ელ!“**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ***იგორ კვესელავა*** ზვიად გამსახურდიასა და ჟიული შარტავას ურთიერთობის ისტორიას იხსენებს:*

— ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეში წინააღმდეგობრივია ისეთი პრინციპული და გაწონასწორებული პიროვნების პოზიცია, როგორიც გახლდათ ჩეჩნეთის პრეზიდენტი, გენერალი **ჯოჰარ დუდაევი.** 1994 წლის 24 თებერვალს გროზნოში, საქართველოს პრეზიდენტის დაკრძალვის ხალხმრავალ პროცესიაზე, მან სიტყვასიტყვით ასეთი რამ განაცხადა: „ზვიად კონსტანტინეს ძე ნებაყოფლობით წავიდა ამ ცხოვრებიდან!“ ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავდა, რომ ზვიადმა თავი მოიკლა, მაგრამ ამ განცხადების პარალელურად **დუდაევს** ასევე ნათქვამი აქვს, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს. მისი განცხადებით, ზვიადს ესროლეს წვრილკალიბრიანი იარაღიდან და საქართველოს პირველი პრეზიდენტი არა „სტეჩკინის“, არამედ ე.წ. „გეკოს“ ტყვიით გამოასალმეს სიცოცხლეს.

**— წინა ინტერვიუში ჟიული შარტავა და გროზნოში მყოფ ზვიად გამსახურდიასთან მისი კონტაქტები ახსენეთ. არსებობს მოსაზრება, რომ შევარდნაძემ ჟიული შარტავას ზვიად გამსახურდიასთან ფარული კომუნიკაცია არ აპატია და სწორედ ამიტომ გაიმეტა! რას იტყვით?**

— გროზნოში მყოფ **ზვიად გამსახურდიასა** და სოხუმში შევარდნაძის მიერ სასაკლაოზე გაგზავნილ **ჟიული შარტავას** ერთმანეთთან ინტენსიური კონტაქტი ჰქონდათ. ეს ცნობილია და ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში, ასევე „ასავალ-დასავალთან“ ვრცელ საუბარში, ქალბატონმა **მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ** განაცხადა, რომ ჟიული შარტავა შუაღამისას გროზნოში ხშირად რეკავდა და ზვიად გამსახურდიას აფხაზეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ ყველაფერს დაწვრილებით მოახსენებდა. რა თქმა უნდა, **შევარდნაძემ** ამის შესახებ იცოდა, რადგან ჟიულის ტელეფონი უშიშროების მიერ ისმინებოდა. ჩემი ინფორმაციით, ზვიადთან გროზნოში **კონსტანტინე ოზგანის** ჩასვლა **ჟიული შარტავასთან** იყო შეთანხმებული და ეს ვიზიტი მის გარეშე არ მომხდარა. ჟიული იყო შუამავალი ოზგანსა და ზვიადს შორის. ვაცხადებ ხაზგასმით და კატეგორიულად — **თამაზ ნადარეიშვილი** ავად არ ყოფილა და ეს ყველაფერი იყო სპექტაკლი! დროებით გვერდზე გაჩოჩება და მის ნაცვლად ჟიული შარტავას დანიშვნა ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — შევარდნაძის მიერ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას!

**„ჟიული შარტავას პიროვნული ტრაგედია ის იყო, რომ ზვიად გამსახურდიასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა, ხოლო შევარდნაძემ დაუძახა თუ არა, მაშინვე მის სამსახურში ჩადგა. აქედან დასკვნა – ჟიული შარტავას ბოლო დრომდე მაინც შევარდნაძის იმედი ჰქონდა!“**



ჟიული შარტავა და ედუარდ შევარდნაძე

**— რას ნიშნავს მოგვარებას?**

— შევარდნაძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ საკავშირო კომკავშირის ყოფილი ხელმძღვანელი **ბორის პასტუხოვი,** რომელიც ელცინის გარემოცვაში ძალიან გავლენიანი პირი იყო, **ჟიული შარტავას** უახლოესი მეგობარი გახლდათ. სწორედ ბორის პასტუხოვის მეშვეობით ცდილობდა შევარდნაძე აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას. **ამ მიზნით, მან და თამაზ ნადარეიშვილმა, რომელიც ედუარდის ერთგული ხელისბიჭი იყო, დადგეს სპექტაკლი — ნადარეიშვილმა გულის ავადმყოფობა მოიგონა და გერმანიაში წავიდა სამკურნალოდ, ხოლო ჟიული შარტავა გაგზავნეს სოხუმში!**

**— კი მაგრამ, ჟიული შარტავა ვერ ხვდებოდა, შევარდნაძე რასაც უმზადებდა?**

— ეს შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ შევარდნაძემ ჟიული შარტავა აფხაზეთში მხოლოდ ერთი კვირით გაგზავნა! დიახ, ჩემთანაც და თავის უახლოეს მეგობარ პროფესორ **იუზა ვერულავასთან,** რომელიც ჩემი სიძის ძმა იყო, ჟიულიმ თქვა, რომ შევარდნაძე მას აფხაზეთში ერთი კვირით აგზავნიდა. **იუზა და ჟიული იყვნენ კურსელები და ჟიულიმ იუზა ვერულავას შვილები მოუნათლა.** ვერულავების მამა გახლდათ გენერალი, „გუბერსკის“ ციხის უფროსი. პროფესორმა **იუზა ვერულავამ** და ჩვენც, ვინც იმ შეხვედრას ვესწრებოდით, ჟიული შარტავას ვუთხარით, რომ არავითარ შემთხვევაში შევარდნაძეს არ გაჰკარებოდა და სოხუმში არ წასულიყო. თავიდან სწორედ **იუზა ვერულავას** უთხრა შარტავამ — **შევარდნაძე აფხაზეთში მაგზავნისო!** იუზამ კატეგორიულად განუცხადა — **არ წახვიდეო!** ჟიულიმ არც პროფესორ **იუზა ვერულავას** და არც ჩვენ არ დაგვიჯერა და წავიდა, არადა, თავიდან შევარდნაძეს უარი უთხრა. ამ უარის მიუხედავად, ედუარდმა შარტავას თავიდან შემოუარა და დაანამუსა — **დამთანხმდი, სოხუმში წადი და ერთ კვირაში, როგორც კი შენ შემცვლელ კადრს მოვძებნი, გამოგიშვებო!**

**საერთოდ, შევარდნაძეს ჟიული ფეხებზე ეკიდა და მოსკოვში მის სატელეფონო ზარებს არც**

## კვირგვინოსნები



**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*

არჩევნებში **ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემა** იქნება მისი მოყვანა ხელისუფლებაში, რაც **9-წლიანი წარსულის განმეორებაა** და მისი შინაარსი ყველამ იცის.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ვიქტორ ჯაფარიძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*

**მიშას** ახლობელი და მეგობარი არასოდეს ვყოფილვარ, **დევნილი ვიყავი** მისი მმართველობის პერიოდში.

„რეზონანსი“



**კახა კემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*

საარჩევნოდ **ერთიანი სია არის ყველაზე დიდი შეცდომა,** რაც კი შეიძლება, ოპოზიციურმა პარტიებმა დაუშვან. ეს იქნება **საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი არჩევნები!**

„ახალი თაობა“



**თინა ხიდაშელი**
*„სამოქალაქო იდეის“ ლიდერი*

**ვინ ვის დაიჭერს და ვინ ვის დასჯის, კახა კალაძეს** ვაყურებინებთ 26 ოქტომბრის შემდეგ — ის იმუქრება, მე კი ვეუბნები: **დაველოდებით და ვნახავთ!**

„პალიტრანიუსი“



**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი*

ბევრ პოლიტიკურ ძალას აქვს იმის მზაობა, რომ **სალომე ზურაბიშვილი** მთავარი პოლიტიკური ძალების **ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი** იყოს.

„პალიტრანიუსი“

**კი პასუხობდა. ცნობილია, რომ შევარდნაძემ ახლობლების წრეში დაიწუწუნა და ჟიულის შესახებ თქვა – ამ კაცმა ამიკლო, ყოველდღე მირეკავს და იძულებული გავხდი, ტელეფონი შემეცვალაო!**

**— დიახ, ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმაც დამიდასტურა, რომ მოსკოვში მყოფი შევარდნაძე ჟიული შარტავას სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა!**

— მოკლედ, ჟიული საშინლად განაწყენებული იყო შევარდნაძეზე, რადგან ედუარდმა მას არ უპატრონა. სამაგიეროდ, რუსებმა, კერძოდ, **გენადი კოლბინმა,** უპატრონა ჟიულის მოსკოვში, როცა მას ძალიან უჭირდა. **გენადი კოლბინმა და ბორის პასტუხოვმა** ჟიულის დიპლომატიურ აკადემიაში ჩააბარებინეს და მერე კონტროლის სისტემაში დააწყებინეს მუშაობა. **კოლბინი** ამ დროს უკვე ყაზახეთის ცეკას პირველი მდივანი იყო. საქართველოში რომ ჩამოვიდა, ჟიულის ძალიან უჭირდა. ჩემი სიძე, პროფესორი **იური ვერულავა,** რომელიც ზვიად გამსახურდიას კლასელი იყო, მივიდა ზვიადთან და სთხოვა — **ჟიული შარტავა ეროვნული კადრია, მართვა იცის, ავტორიტეტი და გამოცდილება არ აკლია და გვერდით დაიყენეო!** ზვიად გამსახურდია ძალიან შეწუხდა. მან ჟიული შეაქო — საჭირო, საქმიანი და ეროვნული კადრია, მაგრამ ახლა ცენტრალურ ხელისუფლებაში მნიშვნელოვან თანამდებობაზე რომ დავნიშნო, გამოვარდებიან სარიშვილი, ჭანტურია და ერთ ამბავს ატეხენ! ამიტომ, მოდი, ჯერ ჟიულის დავნიშნავ **ონის პრეფექტად,** მიწისძვრით დანგრეულ რაჭას შველა სჭირდება და პირობას გაძლევ, ცოტა ხანში თბილისში მნიშვნელოვან თანამდებობაზე გადმოვიყვანო! სამწუხაროდ, ჟიულიმ ამ წინადადებაზე უარი თქვა და ონში პრეფექტად არ წავიდა.

**— მაინც რა იყო ამ უარის მიზეზი?**

— ვერ გეტყვით! **როგორც ჩანს, ჟიულიმ, რომელიც საქართველოში მნიშვნელოვან თანამდებობებს ფლობდა, ონის პრეფექტობა ითაკილა.** თუმცა, როგორც ამბობენ, ამის მიზეზი იყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოკალათებული რამდენიმე გაუწონასწორებელი პირის აგრესიული დამოკიდებულება ჟიული შარტავას პერსონის მიმართ. იმ პერიოდში ზვიად გამსახურდიამ რამდენიმე ძველი კომუნისტი და კომკავშირელი მნიშვნელოვან პოსტებზე დანიშნა. ამის გამო **ირინა სარიშვილმა, გიორგი ჭანტურიამ** და შევარდნაძესთან დაკავშირებულმა რადიკალურმა ოპოზიციამ დაიწყეს უბინძურესი კამპანია — **არიქა, ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში კომუნისტებს აბრუნებს, კრემლს შეეკრაო!** არადა, ამ დროს გამსახურდია ერის ერთიანობის იდეას იცავდა და პროფესიონალებსა და ავტორიტეტებს, მათი პოლიტიკური წარსულის მიუხედავად, უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა. ამის მაგალითად ზვიადს მოჰყავდა აკადემიკოსი **სიმონ ხეჩინაშვილი,** რომელიც, რა თქმა უნდა, კომპარტიის წევრი, მაგრამ, ამავდროულად, უდიდესი პროფესიონალი და მსოფლიოში აღიარებული ოტორინოლარინგოლოგი იყო. **ზვიად გამსახურდიას ჟიული შარტავა შინაგან საქმეთა ან თავდაცვის მინისტრად რომ დაენიშნა, საქართველოში გადატრიალება და უბედურება არ მოხდებოდა!** საერთოდ, შევარდნაძისგან ჟიული შარტავას დავალებული ჰქონდა, რომ კომკავშირის ცეკასთვის მეგრელები არ გაეკარებინა!

**— ეს ინფორმაცია საიდან?**

— თავად ჟიულისგან! ჟიული შარტავა კომკავშირის ცეკას მდივანი რომ გახდა, შევარდნაძემ მითითება მისცა — **აქ მეგრელების მოყვანას მოერიდეო!** დიახ,

**შევარდნაძეს მეგრელები არ უყვარდა და ეს განპირობებული იყო ბერიას ფაქტორით. სწორედ ამიტომ თენგიზ აბულაძის „მონანიება“ თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ლავრენტი ბერიასადმი სიძულვილის გრძნობით, რასაც ასაზრდოებდა შევარდნაძის პიროვნული სიძულვილი მეგრელებისადმი.**

ისიც ფაქტია, რომ შევარდნაძემ „მხედრიონს“ სამეგრელო განსაკუთრებით მკაცრად დაასჯევინა და ხუთჯერ ააოხრებინა. შევარდნაძე ფიქრობდა, რომ ჟიული შარტავას მეშვეობით ის აფხაზეთში ომს ღირსეულად დაამთავრებდა და შემდეგ მის მიერ აოხრებული სამეგრელოს გულის მოსაგებად ჟიული შარტავას პრემიერ-მინისტრად დანიშნავდა, მაგრამ აფხაზეთის ომმა და შევარდნაძის ღალატმა, რაც 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა, ჟიული შარტავა საბოლოოდ აქცია ეროვნულ პლატფორმაზე მდგარ ლიდერად და თავიდან ბოლომდე გახადა ზვიად გამსახურდიას იდეური მოკავშირე.

ჟიული შარტავას პიროვნული ტრაგედია ის იყო, რომ ზვიად გამსახურდიასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა, ხოლო შევარდნაძემ დაუძახა თუ არა, მაშინვე მის სამსახურში ჩადგა. აქედან დასკვნა — **ჟიული შარტავას ბოლო დრომდე მაინც შევარდნაძის იმედი ჰქონდა!** შევარდნაძე რომ მოღალატე იყო და აფხაზეთს აბარებდა, ამას ჟიული შარტავა მიხვდა და ზვიად გამსახურდიას გროზნოში თითქმის ყოველდღე ამიტომაც ურეკავდა. უფრო მეტიც, სწორედ ზვიად გამსახურდიასთან სატელეფონო საუბრებსა და ბორის პასტუხოვთან შევარდნაძის შესახებ ნათქვამ ერთ ფრაზას გადაჰყვა — **„ეტოტ სტარიკ სავსემ ოხ...ელ!“**

ჟიული შარტავას დახვრეტის შემდეგ შევარდნაძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატურას დიდხანს არჩევდა. თავიდან მან არჩევანი შეაჩერა **ივერი ფრანგიშვილზე,** რომელიც მოსკოვში იმ გასაიდუმლოებულ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა, სადაც ადამიანის სული აწონეს და ფოტოსურათიც გადაუღეს.

**— შევარდნაძემ პრემიერ-მინისტრის კანდიდატად ივერი ფრანგიშვილი მხოლოდ იმ მოტივით შეარჩია, რომ საიდუმლო ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო?**

— არა, რა თქმა უნდა! მას ძალიან უნდოდა **ივერი ფრანგიშვილთან** დაახლოება, რადგან მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა **ელცინთან, ვიქტორ ჩერნომირდინთან** და კრემლის სხვა მაღალჩინოსნებთან. ცნობისათვის, იმ საიდუმლო ლაბორატორიის ხელმძღვანელს, რომელიც ივერი ფრანგიშვილს ჰქონდა ჩაბარებული, პოლიტბიურო ნიშნავდა.

ივერი ფრანგიშვილი საქართველოში ჩამოვიდა და შევარდნაძემ ასეთი წინაპირობა წაუყენა — პრემიერ-მინისტრად დაგნიშნავთ, მაგრამ ორ ვიცე-პრემიერს — **ავთო მარგიანსა და ზურაბ კერვალიშვილს** ხელი არ ახლოთო! ფრანგიშვილმა ამაზე კატეგორიული უარი თქვა და ეს ამბავი ჩაიშალა. ამის შემდეგ შევარდნაძემ ყურადღება შეაჩერა **ოთარ ფაცაციაზე,** რომლის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა მაშინ სწორი და წინდახედული ნაბიჯი იყო. ჯაბა იოსელიანი საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე მარშალ გელოვანის შვილის — **ვიქტორ გელოვანის** კანდიდატურას უჭერდა მხარს, მაგრამ შევარდნაძემ აჯობა და თავისი გაიტანა!

**— „ასავალ-დასავალის“ ამავე ნომერში ქვეყნდება ვრცელი ინტერვიუ გოჩა ბახიასთან, რომელიც ირწმუნება, რომ 1993 წლის 28 დეკემბერს ზვიად გამსახურდია ღურწკაიების სახლში აიყვანეს, მერე სენაკის აეროპორტში ჩაიყვანეს, შევარდნაძის თვალწინ თვითმფრინავში აწამეს და ამ წამების დროს გენერალ გია გულუას ტყვიით აღესრულა, რომელიც გულუას შემთხვევით გაუვარდა.**

— მოკლედ გეტყვით: **გავეცნობი ბახიას ინტერვიუს და შეფასებას მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



„უარის მიუხედავად, ედუარდმა შარტავას თავიდან შემოუარა და დაანამუსა — დამთანხმდი, სოხუმში წადი და ერთ კვირაში, როგორც კი შენ შემცვლელ კადრს მოვძებნი, გამოგიშვებო!“

**„ვაცხადებ ხაზგასმით და კატეგორიულად – თამაზ ნადარეიშვილი ავად არ ყოფილა და ეს ყველაფერი იყო სპექტაკლი! დროებით გვერდზე გაჩოჩება და მის ნაცვლად ჟიული შარტავას დანიშვნა ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს – შევარდნაძის მიერ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას!“**



თამაზ ნადარეიშვილი

## კვირგვინოსნები

**ახიკო ნიჟარაძე**
*მომღერალი*



როგორ შეგიძლიათ ამ ერთ, პატარა ქვეყანაში, **ასე გძულდეთ ერთმანეთი.** გავა დრო, ყველაფერი დალაგდება და ამ ქვეყანაში ისევ ერთად მოგვიწევს ყველას ცხოვრება და **ვილაცებს ძალიან შერცხვება თავისი ნათქვამი სიტყვის, ამაზე დაფიქრდით და ადამიანობას ნუ დაკარგავთ** ნურც ერთი მხარე. ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. კი, ნამდვილად ვხედავ მეც ჩემი ქვეყნის მომავალს ევროპაში, ვხედავ, უბრალოდ, **იმ ღირებულებებით, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, ჩვენი რწმენით, ჩვენი კულტურით,** იმით, რითიც ვამაყობთ, ამდენი საუკუნეა.

„ახალი თაობა“

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ წევრი*



საჯაროდ თუ ცხოვრობ, ყველა უნდა შეეგუოს, რომ **ყოველთვის იარსებებს გამწარებული ადამიანი** და შეიძლება, რაღაცა დაგიძახოს.

„პირველი არხი“

**დავით ხაჯიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



თავისუფალი არჩევნების ჩატარება თუ გვინდა, **მიხეილ სააკაშვილი უნდა იყოს თავისუფალი** და ამის შემდეგ ვნახოთ, ვინ ვის მოუგებს არჩევნებს.

„პირველი არხი“

**გელა გელაშვილი**
*დიპლომატი*



სომხეთშიც რთული სიტუაციაა, **დენთის სუნი ტრიალებს.** დღემდე არსებობს მოლოდინი, რომ **კონფლიქტი აზერბაიჯანთან ისევ გაღვივდება** ყარაბაღის გამო.

„სარკე“



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# თუ ადამიანი ბავშვობაში ბევრ კანფეტს, შოკოლადსა და ტკბილეულს მოიხმარს, 15-20 წლის შემდეგ შესაძლოა, შაქრიანი დიაბეტი დაემართოს!



***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ბავშვებსა და ახალგაზრდებში მომრავლებულ საშიშ პათოლოგიებს იმ კანფეტებს, შოკოლადებს, საღეჭ რეზინსა და სხვადასხვა სასუსნავებს უკავშირებს, რომლებიც სახიფათო არომატიზატორებით, ემულგატორებითა და ხელოვნური საღებავებით არის გაჯერებული:***

— კანფეტი, შოკოლადი, სხვადასხვა სასუსნავი და საღეჭი რეზინი ყველა ბავშვს უყვარს. შესაბამისად, მშობლებიც ცდილობენ, თავიანთ შვილებს ასიამოვნონ და სურვილები შეუსრულონ. ბევრი ფიქრობს, რომ გლუკოზა, რომლითაც ტვინი იკვებება და ყველა ზემოხსენებულ პროდუქტში შედის, ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელია, რადგან პატარების ორგანიზმი მზარდია და სულ უფრო და უფრო მეტი ენერგია სჭირდება. მაგრამ მშობლების უმეტესობა არ ითვალისწინებს და უგულებელყოფს იმ საფრთხეს, რომელიც ფერად-ფერადი კანფეტების, შოკოლადების, საღეჭი რეზინისა და სხვადასხვა სასუსნავების უკონტროლოდ მოხმარებას უკავშირდება.

**— მაინც რა საფრთხეებთან არის ეს ყველაფერი დაკავშირებული?**

— უმთავრესი საფრთხე პირდაპირ კავშირშია **შაქართან,** რომელიც თანამედროვე კანფეტებსა და შოკოლადებში უხვად არის წარმოდგენილი. უკვე არავისთვის არ არის უცხო, რომ თეთრი შაქარი ნამდვილი მკვლელია და მისი მიღება ორგანიზმში ინსულინის დონეს მკვეთრად ზრდის. **დიდი რაოდენობით კანფეტისა და შოკოლადის ჭამის შემდეგ ბავშვმა შესაძლოა, ენერგიის მოზღვავება იგრძნოს, გონებაც გაუნათდეს, კარგ ხასიათზე დადგეს, მაგრამ ეს ეფექტი ხანმოკლე იქნება...** საქმე ის გახლავთ, რომ ტკბილეულის ჭარბად მიღების კვალდაკვალ ინსულინი ჭარბად გამოიყოფა, შაქარი მკვეთრად ეცემა და უმოკლეს დროში ვითარდება დაღლილობა, გაღიზიანებადობა, სისუსტე, შიმშილის გრძნობა და ძილიანობა. ასეთ დროს ბავშვი ისევ ეტანება კანფეტს და, ზოგადად, სასუსნავს, რომელიც ზემოხსენებულ სიმპტომებს დროებით ხსნის, მაგრამ ცოტა ხანში იგივე პროცესი მეორდება და თან უფრო გამძაფრებული სახით. ორგანიზმში ინსულინის დონის ხშირ აწევას აუცილებლად მოჰყვება **ინსულინრეზისტენტობა,** რაც უკვე შაქრიანი დიაბეტის დასაწყისია. **ინსულინრეზისტენტობის გამოვლენასა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას შორის შუალედი შესაძლოა, 15-20 წელი იყოს.** აქედან გამომდინარე, თუ ადამიანი ბავშვობაში ბევრ კანფეტს, შოკოლადსა და ტკბილეულს მოიხმარს, 15-20 წლის შემდეგ, დიდი ალბათობით, შაქრიანი დიაბეტი დაემართება! სწორედ ბავშვობაში მიღებული დიდი ოდენობით კანფეტის, შოკოლადის, საღეჭი რეზინისა და სხვა სასუსნავების შედეგია ის, რომ დიაბეტი ძალიან გაახალგაზრდავდა და 30-35 წლის ახალგაზრდების ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული დიაბეტიკია. ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო.

**— კი მაგრამ, ოცდაათი-ორმოცი წლის წინათაც ხომ იყო კანფეტები, შოკოლადები და საღეჭი რეზინი?**

— საბჭოთა კავშირში ეს სფერო უმკაცრესად კონტროლდებოდა და კანფეტების, შოკოლადებისა და საღეჭი რეზინის ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. რაც მთავარია, მაშინდელ სასუსნავებში, რომელიც ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, მხოლოდ **ბუნებრივი შაქარი, ბუნებრივი საღებავები და ბუნებრივი არომატიზატორები** გამოიყენებოდა. დღეს უცხოეთიდან შემოსულ თუ საქართველოში უცხოურ ნედლეულზე დამზადებული კანფეტებისა და შოკოლადების უმრავლესობაში გამოყენებულია სწორედ **თეთრი შაქარი,** რომელსაც მსოფლიოში აღიარებულმა პოლ ბრეგმა „თეთრი სიკვდილი“ უწოდა! აღარაფერს ვამბობთ იმ ხელოვნურ ემულგატორებზე, საღებავებსა და არომატიზატორებზე, რომლებსაც ზემოხსენებულ პროდუქტებში ურევენ და, ფაქტობრივად, ადამიანებს წამლავენ!

რაც შეეხება საღეჭ რეზინს, რომელიც ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ, შეიცავს თეთრი შაქრის ზოგიერთ შემცვლელს, რომელსაც კანცეროგენური თვისებაც კი გააჩნია. დანიის დამოუკიდებელმა სამომხმარებლო ორგანიზაციამ ეს საკითხი კარგად შეისწავლა და დაასკვნა, რომ მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მიერ წარმოებული საღეჭი რეზინის 70 პროცენტი საშიშ საკვებ დანამატებს — „E-320“-ს, „E-321“-სა და ტიტანის დიოქსიდს, ანუ „E-171“-ს შეიცავს!

**— მაინც რას წარმოადგენს ეს დანამატები?**

— „E-320“ და „E-321“ ანტიოქსიდანტებია, რომლებიც პროდუქტს იცავენ გაფუჭებისგან, მაგრამ მღრღნელების გენეტიკურ მუტაციას იწვევს. თუმცა, ადამიანს რას უშვრება, ჯერ ცნობილი მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ ასეთი ექსპერიმენტი არ ჩატარებულა. ამიტომ ევროკავშირმა საღეჭი რეზინის შემადგენლობაში „E-320“ და „E-321“ დანამატის არსებობა დასაშვებად ცნო. ამის მიუხედავად, დანიელი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ასეთი საღეჭი რეზინების ხანგრძლივად მოხმარება ადამიანის ენდოკრინულ სისტემასაც არღვევს და გენეტიკურ მუტაციასაც იწვევს!

**— ტიტანის დიოქსიდიც საშიშია?**

— ტიტანის დიოქსიდი გამოიყენება არამარტო კანფეტებში, არამედ კბილის პასტებში, ტაბლეტებში და თითქმის ყველგან, სადაც თეთრი ფერი ჭარბობს. იგი უსაფრთხო დანამატად ითვლება, თუმცა, 2021 წელს ევროკავშირმა დებულება შეცვალა და მიუთითა, რომ ტიტანის დიოქსიდი შესაძლოა, ტოქსიკური იყოს.

**— მაშ, რა ვქნათ, საღეჭ რეზინზე უარი ვთქვათ?**

— თუ სწორად გამოვიყენებთ, საღეჭ რეზინს ბევრი სარგებლობა მოაქვს. პირველ რიგში, ეს პროდუქტი ჭამიდან 20 წუთის შემდეგ უნდა დავღეჭოთ და ისიც მხოლოდ 15-20 წუთის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში საღეჭი რეზინი ხელს შეუწყობს კუჭის წვენის სეკრეციას და საჭმლის უკეთ მონელებას. უპირატესობა მივანიჭოთ ისეთ საღეჭ რეზინს, რომელიც შაქრის ნაცვლად ქსილიტს შეიცავს. ქსილიტი ანადგურებს პირის ღრუში არსებულ მავნე მიკროორგანიზმებს. თუ ამ პირობებს დავიცავთ, საღეჭი რეზინი ჩვენთვის საფრთხეს ვერ შექმნის, თუნდაც ზემოხსენებულ მავნე ნივთიერებებს შეიცავდეს. დაუშვებელია საღეჭი რეზინის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღეჭვა! ჯერ ერთი, მშიერ კუჭზე ეს გამოიწვევს კუჭის წვენის ჭარბ გამოყოფას, რამაც შესაძლოა, გასტრიტისა და წყლულის განვითარებას შეუწყოს ხელი. მეორე მხრივ კი, ამან შესაძლოა, გამოიწვიოს სახის ასიმეტრია, რადგან ადამიანი უმრავლეს შემთხვევაში საკ-



**„დადგინდა, რომ „E-320“ და „E-321“, რომელიც საღეჭ რეზინში შედის, მღრღნელების გენეტიკურ მუტაციას იწვევს, მაგრამ ადამიანს რას უშვრება, ჯერ ცნობილი მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ ასეთი ექსპერიმენტი არ ჩატარებულა!“**

## კვირგვინოსნები



**გიორგი მამარდაშვილი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე*

წინა წელს, ევროპის ჩემპიონატი რომ იყო, საგურამოში ვისხედით, სადღეგრძელოს ვამბობდით, **ზურიკო ამბობდა — პენალტებში უნდა ვივარჯიშოთ, დაგვჭირდებაო.** ისრაელთან დავმარცხდით და მაგ დროს **ზურიკოს შევპირდი — მაცადე, პენალტს ავიღებ და ევროპის ჩემპიონატზე გაგიყვან-მეთქი.**

„რეზონანსი“



**ნიკა კვეკვესკირი**
*საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების წევრი*

დედაჩემს უწევდა ღამეების გათენება, რომ **ელემენტარული** რაღაცები გვქონოდა. მაშინ **ელემენტარული** რაღაცები იყო ფუფუნება და დღეს მე **ელემენტარულ** რაღაცებს ვაფასებ. ამ ყველაფერმა ჩამომაყალიბა იმად, რაც დღეს ვარ.

„სარკე“



**მეგი გოგიტიძე**
*მომღერალი*

**თუ უფლისკენ არ შემოვბრუნდებით, დავიღუპებით.**

„ახალი თაობა“



**დიტო ქისიშვილი**
*მომღერალი*

ოცნება მაქვს, რომ **მყავდეს შვიდი შვილი.** ოჯახი ჩემთვის არის მთავარი სალოცავი და ყველაზე დიდი სიმყუდროვე.

„სარკე“

## „სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიშია ექვსი ხელოვნური საღებავი, რომელსაც კანფეტებისა და შოკოლადების ყიდვისას აუცილებლად უნდა დავაკვირდეთ!“



ვებს ერთ მხარეს ღეჭავს, რაც სახის კუნთებს არათანაბრად ტვირთავს.

**— კანფეტებსა და შოკოლადებს კლიენტების და განსაკუთრებით ბავშვების მისაზიდად, მკვეთრი, ხასხასა და ჭრელაჭრულა ფერები აქვს. რამდენად უსაფრთხოა ეს ფერები?**

— საერთოდ, გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ ქარხნულ საკვებ პროდუქტში, რომელსაც მკვეთრი, ხასხასა ფერი აქვს, აუცილებლად ხელოვნური საღებავია გამოყენებული. ასეთი საღებავების უმრავლესობა ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის, მაგრამ ევროკავშირმა გამოყო სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიში ექვსი ხელოვნური საღებავი, რომელსაც კანფეტებისა და შოკოლადების ყიდვისას აუცილებლად უნდა დავაკვირდეთ! ეს საშიში ხელოვნური საღებავებია: „E-102“, „E-104“, „E-110“, „E-122“, „E-124“, „E-129“. „E-102“-ს **ტარტაზინსაც** უწოდებენ, რომელიც ქვანახშირის გადამუშავების შედეგად მიიღება, ყველაზე იაფია და ყველაზე ხშირად გამოიყენება, რადგან ყველა ფერს ერევა. „E-102“-მა შესაძლოა, ნებისმიერი ქრონიკული დაავადების გამწვავება გამოიწვიოს! განსაკუთრებით საშიშია ასთმიანებისთვის და მათთვის, ვისაც სხვადასხვა ალერგია აწუხებს. ტარტაზინი კანცეროგენია და კიბოს იწვევს. „E-104“ კანფეტებსა და საკვებ პროდუქტებს ყვითელ ფერს აძლევს. ის იმდენად ართულებს ასთმას, რომ მედიცინას უძლურს ხდის. „E-110“ პროდუქტს ყვითელ ფერს აძლევს და შესაძლოა, გამოიწვიოს ტანზე გამონაყარი, კუჭის სპაზმი, საკვების მოუნელებლობა და ღებინება. „E-110“ განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვისაც ალერგია აწუხებს... „E-122“-ს **კარმოაზინსაც** უწოდებენ და უნარი აქვს, გამოიწვიოს უმძიმესი ალერგია. „E-124“ კიბოს გამომწვევი კანცეროგენია და შესაძლოა, ალერგიის ისეთი მძიმე პროვოცირება მოახდინოს, რომ ადამიანი ანაფილაქსიურ შოკამდე მივიდეს. რაც შეეხება „E-129“-ს, რომელიც პროდუქტებს მკვეთრ წითელ ფერს აძლევს, ისიც კიბოს გამომწვევი კანცეროგენია.

**— ბევრი მშობელი ბავშვის ჰიპერაქტიურობას უჩივის, ეს ტკბილეულთან რამე კავშირშია?**

— ის, რომ ბავშვი აღგზნებულია, დაძინება უჭირს და ჭირვეულობს, უკანასკნელი კვლევებით, სწორედ კანფეტებსა და ტკბილეულში არსებულ მავნე დანამატებს უკავშირდება. ევროკავშირის ექსპერტები ამის შესახებ მხოლოდ გაკვრით საუბრობენ და მიგვითითებენ, რომ პროდუქტებმა, რომლებიც საშიშ დანამატებს შეიცავენ, შესაძლოა, მოახდინონ ნეგატიური ზემოქმედება ბავშვების ყურადღებასა და აქტიურობაზე. ამით მგონი, ყველაფერია ნათქვამი...

**ბავშვებში უკანასკნელ ხანს ძალზე გახშირებული სხვადასხვა სახის ალერგიები, იმუნიტეტის დაცემა, ავიტამინოზი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები და სხვა პათოლოგიები პირდაპირ კავშირშია კანფეტებში, ტკბილეულობასა და საღეჭ რეზინში არსებულ მავნე ნივთიერებებთან.**




**— შოკოლადზე თითქმის არაფერი გვითქვამს!**

— ნამდვილი შავი შოკოლადი სასარგებლოა, რადგან დიდი ოდენობით, კერძოდ, 75-დან 90 პროცენტამდე კაკაოს შეიცავს. თეთრ შოკოლადში კაკაოს შემცველობა ნულია, მაგრამ ბევრი შაქარია, რის გამოც მავნებელია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

---

### კვირგვინოსნები

**ნონა გაფრინდაშვილი**
*ლეგენდარული მოჭადრაკე*



გული მწყდება, რომ იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ მქონდა დაწყებული **ჩემი სახელობის საკოლექციო ჭადრაკების გამოშვება,** თორემ მესის **„ვეფხისტყაოსნის“** და **„ქართული ცეკვის“** ფიგურებით დამშვენებულ ჭადრაკს გავუგზავნიდი.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი შვანგირაძე**
*სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი, სამეცნიერო, საექსპერტო და საგამოცდო ლაბორატორიის წამყვანი სპეციალისტი*



**მინაპლასტიკური არმატურა** დაბალი მზიდუნარიანობით ხასიათდება, რის გამოც **მას მშენებლობაში არ იყენებენ.** იგი ძირითადად ღობეების გასაკეთებლად გამოიყენება. **ასეთი მასალით კორპუსის მშენებლობა გაუგონარი რამ არის,** რაც დიდ საფრთხეს შეიცავს.

„რეზონანსი“

---





*„ასავალ-დასავალის“ მკითხველს ახსოვს, რომ ამ რამდენიმე კვირის წინათ დავით კეზერაშვილის მიერ მართული და დაფინანსებული ერთ-ერთი სტუდენტური მოძრაობის ლიდერის ნიკო მანაგაძის მშობლებმა — ევა (ვიკა) კვიტაშვილმა და იმედა მანაგაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან შეხვედრა ითხოვეს. — ამ ხელისუფლების კი არა, იმ ხალხის უფრო მეშინია, ვინც ჩემი შვილის უკან დგას და აგულიანებსო! — გვითხრა მაშინ ნიკო მანაგაძის მამამ. 2024 წლის 7 ივნისს სტუდმოძრაობა „თავისუფლებისათვის“ ლიდერზე თავდასხმა მართლაც განხორციელდა... სუს-ის აგენტ-პროვოკატორმა, ცნობილმა ცილისმწამებელმა და თვითგამოცხადებულმა ჟურნალისტმა ელისტრაკო კილაძემ ეს თავდასხმა „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთ აქტივისტს, ვინმე დავით შუკვანს დააბრალა, რომელმაც ტელევიზიით განაცხადა — სულ ცოტა ხნის წინათ 49 წლის დედა დავასაფლავე და ორ კვირაზე მეტია, სახლიდან არ გამოვსულვარო... ნიკო მანაგაძის დედა **ვიკა კვიტაშვილი** ხელისუფლებას ისევ მიმართავს და თავდასხმაში მონაწილეთა იდენტიფიკაციას ითხოვს:*

# სტუდენტ ნიკო მანაგაძის დედა ხელისუფლებას ისევ მიმართავს:

## გახსენით ეს დანაშაული და, ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიეთ, ვინ დაესხა ჩემს შვილს თავს - პოლიტიკური მოწინააღმდეგენი თუ ე.წ. თანაგუნდელები?!

— სიმართლე გითხრათ, ჩვენი წინა ინტერვიუდან გამომდინარე, რომელშიც **ბატონ ირაკლი კობახიძეს,** როგორც დედამ, გულწრფელი ემოციით მივმართე და ჩემი შვილის მოსალოდნელი საფრთხისგან დასაცავად შეხვედრა ვთხოვე, პრემიერისგან გამოხმაურებას მართლაც ველოდი. როგორც დედა, ვგრძნობდი, რომ საფრთხე რეალური იყო... და აი, დადგა ის დღეც, როცა ჩემს ვაჟს ნიკოლოზ მანაგაძეს უნივერსიტეტის მიმდებარედ, გზაჯვარედინზე, დღისით, მზისით, უამრავი გამვლელის თვალწინ, უცნობი პირები თავს დაესხნენ და თავში მძიმე საგანი ჩაარტყეს. ეს 2024 წლის 7 ივნისს მოხდა...

**— ქალბატონო ვიკა, მაინც რა დაზიანებებზეა საუბარი?**

— სახეზეა ღია ჭრილობა თავის არეში სისხლის დანაკარგით, ტვინის შერყევა, რბილი ქსოვილების მრავლობითი ჰემატომები და ძლიერი სტრესი. როგორც ცნობილია, ჩემი შვილი არის სტუდენტური პოლიტიკური მოძრაობის დამფუძნებელი და ლიდერი, რომელიც მკვეთრად ოპოზიციურ პოლიტიკას ატარებს მმართველი პარტიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოჯახი „ქართული ოცნების“ ერთგული მხარდამჭერი და ამომრჩეველია, ხოლო მე „ქართული ოცნების“ წევრი და აქტივისტი გახლავართ, შეძრწუნებული და გაოგნებული ვარ, რადგან თავდასხმა განსაკუთრებული სითავხედით, ცინიზმითა და სისასტიკით განხორციელდა. ყოვლად არაკაცურად, ზურგიდან მიპარვით, რამდენიმემ ერთ კაცზე მიიტანა იერიში. აღნიშნულ ქმედებას შეესწრო უამრავი ადამიანი და არაერთმა მოქალაქემ გადაიღო ეს ინციდენტი, რომელიც სოციალურ ქსელებსა და ტელევიზიებში სწრაფად გავრცელდა. ვიდეოკადრებში გარკვევით ჩანან მოძალადეები და მათი ამოცნობა ადვილად არის შესაძლებელი.

**— თავდასხმის შესახებ თქვენ როგორ შეიტყვეთ?**

— ეს ამბავი სოციალური ქსელიდან გავიგე. როგორც თვითმხილველები ინტერვიუში საუბრობდნენ, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი შესწრებია აღნიშნულ ძალადობას, თუმცა, მათი მხრიდან არავითარი რეაგირება არ მომხდარა, მეტიც, ისინი განრიდებიან დანაშაულის ადგილს, **მომხდართან დაკავშირებით არაერთი მტკიცებულება მოიპოვება, აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს შესაძლებლობა, დროულად იპოვოს დამნაშავე,** მითუმეტეს, რომ არსებულ ვიდეოკადრებში გარკვევით ჩანს მოძალადეთა სახეები და მათი მიმალვის სცენები. უფრო მეტიც, მოძალადეებს გაქცევისას დაუვარდათ კეპები, რითიც შესაძლებელია **დნმ**-ის კვლევა და პიროვნების იდენტიფიცირება.

**— რას ითხოვთ?**

— მივმართავ შესაბამის უწყებებს, რომ მათი მხრიდან შესაბამისი ნების გამოვლენის შემთხვევაში უმარტივესად შეიძლება დამნაშავეთა იდენტიფიცირება და დაკავება. შესაბამისად,

**როგორც ამ ხელისუფლების მხარდამჭერი, სამართალდამცავების რეაგირებას უმოკლეს დროში ველი!**

ჩვენი სახელმწიფოსა და მისი სამართალდამცავი სტრუქტურების ღირსების საკითხი უნდა იყოს ამ დანაშაულის ზედროული რეაგირება და სიმართლის დადგენა. **გახსენით ეს დანაშაული და, ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიეთ, ვინ დაესხა ჩემს შვილს თავს — პოლიტიკური მოწინააღმდეგენი თუ ე.წ. თანაგუნდელები?!**

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***


სტუდენტ ნიკოლოზ მანაგაძის მშობლები საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ!

ასავალ დასავალი

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 27 მაისი - 2 ივნისი

N 23 1541

ვიკა კვიტაშვილი:

რამე რომ მოხდეს, ნანუკა ჟორჟოლიანის, ეკა კვესიტაძისა და მათნაირებისათვის, ვინც ამ ბავშვებს აქეზებს, ჩემი შვილის სიცოცხლე იქნება ჩვეულებრივი მასალა, ხოლო ოჯახისათვის - ტრაგედია!

ნიკოლოზ მანაგაძე

იმედა მანაგაძე:

ამ ხელისუფლების იმდენად არ მეშინია, რამდენადაც იმ ბანდის, რომელიც ნიკოსა და მის თანატოლებს არის ამოფარებული!

*— ის, რაც დღეს ხდება, არის ნაციონალების მიერ აგორებული მორიგი კამპანია ხელისუფლების გადასატრიალებლად! —* ***აცხადებს პოლიტოლოგი, მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი***

## პეტრე მამრაძე

***და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება:***

# პეტრე მამრაძე: „ქართულმა ოცნებამ" სააკაშვილის და მისი ჯგუფის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციების წინააღმდეგ არაფერი მოიმოქმედა!



— ნაცისტები და მათთან ასოცირებული პარტიები ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ყველანაირ საბაბს იყენებენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. 30 წელზე მეტია, მათ საქმიანობას ვაკვირდები, ზოგიერთ მათგანს პირადადაც ვიცნობ და ზუსტად ვიცი, რომ საერთოდ არ აინტერესებთ საქართველოს მომავალი და მზად არიან, ნებისმიერ პროვოკაციაზე წავიდნენ. **გუშინ გვარამია სამასოიანი სახელით ამკობდა სალომე ზურაბიშვილს, დღეს ეს ადამიანი მათი გელადია! ესენი არიან ინიციატორები იმისა, რაც ქვეყნის შიგნით ხდება.**

## დასავლელ ლობისტებთან მათი აქტიური მუშაობის შედეგია ის განცხადებები, რომელიც გამჭვირვალობის შესახებ კანონთან დაკავშირებით კეთდება და რასაც ბოლო ხანებში კადრულობენ დასავლელი დიპლომატები!

**— სწორედ ეს არის გასაკვირი — რატომ კეთდება მსგავსი განცხადებები დასავლეთიდან?**

— სამწუხაროდ, „ოცნებამ" სააკაშვილის და მისი ჯგუფის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციების წინააღმდეგ არაფერი მოიმოქმედა. არაერთხელ უკითხავთ ჩემთვის უცხოეთიდან ჩამოსულ დიპლომატებს — ღირს კი სამი პიჯაკის გამო სააკაშვილის დაპატიმრებაო? მუდმივად იმის ახსნაში ვიყავი — **ამ საქმეს სამი პიჯაკი სააკაშვილმა თავისი პიარმოსაზრებებიდან გამომდინარე დაარქვა, არადა, ლაპარაკია 4 მილიონ დოლარზე მეტ თანხაზე, რომელიც საკუთარ თავს, ქალებსა და ოჯახს მოახმარა-მეთქი.** გაკვირვებული კითხულობდნენ — ჩვენ რატომ არ ვიცით ამის შესახებო? იმიტომ არ იციან, რომ „ოცნებამ" არ შეიწუხა თავი, მსგავსი ინფორმაციები ყველა დონეზე მიეწოდებინა!

**— და მაინც, წამოუდგენელია დასავლეთი დეზინფორმაციაზე ამ დოზით წამოეგოს...**

— მე კარგად მაქვს ეს ყველაფერი წარმოდგენილი. სააკაშვილი პიარის გროსმაისტერია. კიდევ ერთხელ გავიხსენებ **ელდარ შენგელაიას** სიტყვებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილზე თქვა — კადრებით აზროვნებს და არა ფრაზებით, კინორეჟისორად არის დაბადებულიო! თავადაც ხშირად უთქვამს — მთავარია „ტელეკარტინკა", მერე აკეთე პოლიტიკაში, რაც გინდაო!

დასავლეთის ელიტებში სწორედ ამ დეზინფორმაციის მეშვეობით არის ჩანერგილი სულ სხვა შეხედულებები, რაც სააკაშვილსა და მის ჯგუფს აწყობს. ერთი წვეთი გრანიტს ხეთქავს. წავიდა პუბლიკაციები ყველა დონეზე, სააკაშვილის ლობისტებთან მასშტაბური მუშაობა გაიშალა და საბოლოოდ მივიღეთ ეს შედეგი!

ამასწინათ 12-წუთიანი გადაცემა გავიდა „სიენენზე", მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ტელევიზიაში, სადაც ხაზგასმული იყო, რომ ივანიშვილი პუტინის მიერ გამოგზავნილი ოლიგარქია, მას აქვს დავალება, საქართველო რუსეთს ჩააბაროს, სააკაშვილიც, თურმე, პუტინის დავალებით ყოფილა დაპატიმრებული და ა.შ. როგორც კი მასმედიაში ასეთი ტრენდი იდება, სენატორი იქნება თუ კონგრესმენი, ევროპარლამენტარი თუ ნაციონალური პარლამენტის წევრი, ან თავს იკავებს განსხვავებული განცხადების გაკეთებისაგან, ან იტყვის იმას, რაც ტრენდია. მოკლედ, დინების საწინააღმდეგოდ არ წავა, რადგან თავის რენომეს უფრთხილდება. თუმცა, ის, რაც **ქელი დეგნანმა** იკადრა, ყოველგვარ ზღვარს იყო გადასული. ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვისმინე დიპლომატისგან მსგავსი განცხადება — **ეს კანონი არ წაგვიკითხავს, არც ვაპირებთ წაკითხვას, მაგრამ გეუბნებით, რომ რუსულიაო.** შტატების წარმომადგენელი პირდაპირ ნაციონალების ენით ლაპარაკობდა! ეს იყო დასავლური ფასეულობების ფეხქვეშ გათელვა!

საქართველოში ევროგაერთიანების მისიის ხელმძღვანელმა, პოლონელმა დიპლომატმა **ჰერჩინსკიმ** პირდაპირ განაცხადა — ჩვენ მალე გავფართოვდებით და ეს კანონი გადაწყვეტს, იქნებით ჩვენთან თუ არაო. **ამას ჰქვია პოლიტიკური თაღლითობა და ხალხის მოტყუება. ფაქტობრივად, ამხელა კაცი ამბობს — რუსეთის ბაზები, ტანკები და რაკეტები რომ დგას დედაქალაქთან ახლოს, ეს არაფერია, მთავარი კანონიაო.** რაში ანაღვლებთ მათ საქართველოს უსაფრთხოება, ეს ხომ მათთვის მეათეხარისხოვანია?!

## პირადად ჩემთვის ომის პარტიას წარმოადგენს ყველა ის ადამიანი, ჩვენი მოქალაქე იქნება თუ უცხოელი, რომელიც არაფრად აგდებს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას!

იცით, ფინელები ათეული წლების განმავლობაში როგორ იქცეოდნენ?

***— როგორ?***

— აკეთებდნენ იმას, რაც მოსკოვს უნდოდა, ნეიტრალური პოზიცია ეკავათ. **1968 წელს საბჭოთა კავშირმა ჩეხეთში ჯარი რომ შეიყვანა, ფინელებმა გაეროში ეს ფაქტი არ დაგმეს, თავი შეიკავეს, განსხვავებით საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისგან, რომელმაც ევროსაბჭოსა თუ გაეროში ყველგან დაგმო პუტინის აგრესია. პასუხად რა მიიღეს? რუსეთის ხელისუფლების ძახილი!**

იმ წლებში ფინეთში ვინმეს ანტისაბჭოური რაღაც რომ წამოსცდენოდა, ხალხი და საზოგადოება პროვოკატორად ჩათვლიდა. კაციშვილი ხმას ვერ იღებდა. არცერთი ანტირუსული ლოზუნგი არ ყოფილა. მოთმინებითა და სიფრთხილით მიაღწიეს მიზანს, ამ დროს კი ჩვენთან რა ხდება? პატარა ბიჭს აყვირებენ — **რუსო ლორებოო.**

## თავის დროზე ჩემთვის რჩევა რომ ეკითხათ, არავითარ შემთხვევაში არ ვურჩევდი „ოცნების" ხელისუფლებას, პუტინის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილიყო ჰააგაში.

193 ქვეყნიდან მხოლოდ 34-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას და მათ შორის იყო საქართველო. აი, ამ ხელისუფლებაზე ამბობენ დღეს რუსულიაო! **სინამდვილეში თვითონ არიან პრორუსები! მათ არამარტო შემოიყვანეს საქართველოში რუსული ბაზები, სააკაშვილმა პირადად გადასცა პუტინის კონტროლქვეშ მყოფ ბიზნესმენებს სტრატეგიული ობიექტები** — ყველა ღირებული ჰესი, სპილენძის, ოქროს, მარგანეცის მოპოვება. მან შემოიყვანა საქართველოში ყველასთვის ცნობილი „კაგებეს" ბანკი — **„ვითიბი".**

სამწუხაროა, რომ ქუჩაში გამოსულმა ახალგაზრდებმა ბევრი რამ არ იციან, შეცდომაში არიან შეყვანილი. **თქვენი გაზეთის საშუალებითაც მინდა, ვკითხო მათ** — რუსული ტანკები და რაკეტები თბილისიდან 30 კილომეტრში რომ დგანან, ხოლო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ორი მძლავრი ბაზა რომ არის დაყენებული, როგორ წარმოგიდგენიათ, ამ პირობებში ნატომ ან ევროკავშირმა თავიანთ რიგებში საქართველოს გაწევრიანების საკითხის თუნდაც განხილვა რომ დაიწყოს, რა მოხდება?! მხოლოდ ამ კანონის მიღება უშლის ხელს ჩვენს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას?!

ერთ-ერთ გამოსვლაში შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა — ფარას კანონი მხოლოდ უცხოეთის მთავრობების წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებიც არადემოკრატიულები არიანო. **ფარას კანონის მეშვეობით არ გავიგეთ ჩვენ, რომ გიული ალასანიამ დადო ხელშეკრულება ლობისტებთან და 900 ათასზე მეტი დოლარი გადაუხადა მათ?** გიული არის უცხოეთის მთავრობა? თუ უნდა დავხუჭოთ თვალები ამგვარ ტყუილებზე?

**— გასაგებია საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია ხელისუფლების ქმედებებზე, მაგრამ რამდენად სწორად იქცევა თავად ხელისუფლება?**

— ჩემთვის რომ ეკითხათ, ჰააგის ტრიბუნალის საკითხისა არ იყოს, არ ვურჩევდი უცხო გავლენის ჩაწერას კანონში. რაც შეეხება **გამჭვირვალობას,** ეს დღეს კი არა, ჯერ კიდევ 2016 წელს უნდა გაეკეთებინათ, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა ჰქონდათ.

**ვეკითხები ხელისუფლების წარმომადგენლებს** — ხვალ ან ზეგ რადიკალური ოპოზიციის მულტიმილიონერებმა — ხაზარაძეებმა, ჯაფარიძეებმა, ოქრიაშვილებმა, ნაყოფიებმა და ალასანიებმა ხუთ-ხუთი მილიონი დოლარი რომ დადონ, რაც მათთვის კაპიკებია და დააფინანსონ გიგაურები, ლომჯარიები და სხვები, ეს უცხოური გავლენა იქნება?! ჯერ კიდევ შარშან კანონის გაწვევამდე თქვა აკადემიკოსმა **ლადო პაპავამ** — ახალი კანონის მიღება არ არის საჭირო, საკმარისია, არსებულ კანონმდებლობაში გარკვეულ მუხლებში შევიდეს მცირე ცვლილება-დამატება, რომ




## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



კონსტიტუციის არაერთგზის დამრღვევ **სალომე ზურაბიშვილს** აქვს და ექნება აუსრულებელი ნატვრა — **ის ვერასდროს გახდება სახელმწიფო მოღვაწე.** საზოგადოებასთან დაპირისპირებული **ურეიტინგო სალომე ზურაბიშვილი** ვერ იქნება მაკონსოლიდირებული ფიგურა.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ბაია პატარაია**
*ქალთა უფლებადამცველი, კავშირ „საფარის" დირექტორი*



ჩვენ **დაუმორჩილებლობას ვაცხადებთ, კანონის არცერთ მოთხოვნას არ შევასრულებთ.** ჩემი ქონება სასაცილოა იმასთან შედარებით, რა ქონების პატრონიც ის **84 დეპუტატია,** მათთან შედარებით, მე ღარიბ-ღატაკი ვარ.

„კვირის პალიტრა"

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



საპარლამენტო არჩევნების შემდეგ **სალომე ზურაბიშვილი** რომ პროდასავლური ოპოზიციის **საპრეზიდენტო კანდიდატი** იყოს, ეს იდეა მაღალი კონსენსუსის საგანია ძალიან ბევრ პარტიაში.

„ინტერპრესნიუსი"

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



2012 წლამდე **საქართველოს იცნობდნენ ჩემ გამო,** დღეს უკვე **საქართველოს იცნობენ ახალგაზრდების გამო.**

„ინტერპრესნიუსი"

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*



**სალომე ზურაბიშვილი,** გინდ, სათავეში ჩაუყენონ და გინდ — ბოლოში, ერთი და იგივეა. **ნაცმოძრაობა** ოპოზიციისა და, საერთოდ, პოლიტიკური სისტემის განვითარების **მკვლელი პარტიაა.**

„ახალი თაობა"

# „საქართველოში არავითარი ავტორიტარული რეჟიმი არ მოდის!“

გაიზარდოს გამჭვირვალობაო. ამას ხომ ვერავინ გააპროტესტებდა?!

**— აბა, რატომ აიტკივა ხელისუფლებამ თავი?**

— რატომ მოიყვანეს **ბავრილოვი** მაინცდამაინც პარლამენტის დარბაზში და დასვეს, როცა შეეძლოთ, გუდაურში, ბორჯომში ან თუნდაც ბათუმში წაეყვანათ? რა, **ელენე ხოშტარიას** სამმეტრიანი დროშა რომ ჰქონდა იმ დღეს შემოხვეული ტანზე, დავიჯერო, ყოველდღე იმ დროშით დადიოდა პარლამენტში? ეს ის კითხვებია, რომლებზეც ხელისუფლებამ უნდა უპასუხოს. მეც ძალიან მაინტერესებს...

ამ მოწვევის პარლამენტის წევრი რომ ვყოფილიყავი, უცხოური გავლენის ჩაწერის წინააღმდეგი ვიქნებოდი, თუმცა, დღეს ბოლომდე დავუჭერდი მხარს. უკან დახევა არ შეიძლება. ლაპარაკია ეროვნულ უსაფრთხოებასა და ღირსებაზე! **ხელისუფლებამ ახლა უკან რომ დაიხიოს, მხარდამჭერებსაც დაკარგავს. ძალიან ბევრი ადამიანი შეჰყურებს ამ ბრძოლას იმედით. უფროსი თაობის ადამიანებში ბიძინა ივანიშვილი მტკიცედ გამოიყურება და ეს სიმტკიცე უნდა შეინარჩუნოს!**

29 აპრილს შეკრებაზე არაერთი გულანთებული ქართველი მეკითხებოდა — ხომ გავუძლებთ უცხოეთიდან წამოსულ შემოტევას, ხომ გავიმარჯვებთო? **დიახ, გავიმარჯვებთ, ოღონდ, საჭიროა მტკიცე განცხადებები, რომ საქართველო არ უხვევს დემოკრატიის გზას.** სამწუხაროდ, დასავლეთში არაერთი ადამიანი აჰყვა სააკაშვილისა და ნაციონალების დეზინფორმაციას, მაგრამ სულ მალე, როგორც სააკაშვილის წამებისა და შიმშილობის ისტორია გასკდა საპნის ბუშტივით, ესეც ასევე გასკდება. **დასავლეთიც და მსოფლიოც დაინახავს, რომ საქართველოში არავითარი ავტორიტარული რეჟიმი არ მოდის!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***





## ანზორ თოთაძე:

# თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში 2031 წელს მხოლოდ 20 ათასი ბავშვი დაიბადება, რაც ჯარსა და პოლიციასაც კი არ ეყოფა!



***ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე აცხადებს — თუ ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი არ გაიზარდა და საამისოდ ხელისუფლებამ დიდძალი თანხების მობილიზება არ მოახდინა, საქართველოში ქართველების დემოგრაფიული წყვეტა გარდაუვალია:***

— საქართველოში უკვე სამი ათეული წელია, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ისედაც მძიმე დემოგრაფიული ვითარების ფონზე 2015-2023 წლებში უაღრესად შემცირდა შობადობა და რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, უმდაბლეს ნიშნულზე ჩამოვიდა პირველი ბავშვის დაბადების რიცხვი!

**— მაინც როგორია ეს სახიფათო და საგანგაშო მონაცემები?**

— წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც წლების მიხედვით ყველაფერია მითითებული. ეს მონაცემები ოფიციალურია და სწორედ ამიტომ არის საყურადღებო. მაგალითად, თუ 2015 წელს საქართველოში **24 684 პირველი შვილი** გაჩნდა, 2023 წელს ეს მაჩვენებელი 15 160-მდე შემცირდა, რაც კატასტროფული ვარდნაა. 2015 წელს საქართველოში, საერთო ჯამში, 60 ათასი ბავშვი დაიბადა, ხოლო რვა წლის შემდეგ, ანუ 2023 წელს — 40 214. დემოგრაფიული ტენდენციების არსებული მონაცემების შენარჩუნების პირობებში, რვა წლის შემდეგ, კერძოდ, 2031 წელს საქართველოში კიდევ უფრო შემცირდება შობადობა და ეს აუცილებლად გამოწვეული იქნება მიგრაციისა და პირველი ბავშვების რიცხვის კლებით.

საერთოდ, როდესაც პირველი ბავშვი ნაკლები იბადება, მომდევნო წლებში მეორე და მესამე ბავშვებიც სულ უფრო და უფრო ნაკლები ჩნდებიან. პირველი ბავშვის დაბადება ძალიან არის დამოკიდებული ქორწინების სიმტკიცეზე, ბავშვის გაჩენის მზაობაზე და ა.შ. **საუბედუროდ, დღეს საქართველოში ასეთი სიტუაციაა — ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება!** გამოიკვეთა ერთი დამაფიქრებელი ტენდენციაც არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში — იღბლიანი და მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა პირდაპირ კავშირშია ოჯახებში ძაღლებისა და კატების სიმრავლესთან! საუბედუროდ, ოჯახებში ადამიანები ცხოველებმა ჩაანაცვლეს, რის შესახებაც თვით რომის პაპიც კი ალაპარაკდა და განაცხადა: *„ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ ადამიანს არ სურს, ჰყავდეს ბავშვი; ზოგჯერ მათ ჰყავთ ერთი შვილი, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰყავთ ძაღლები და კატები, რომლებიც ბავშვის ადგილს იკავებენ. ასე ხდება ბავშვების ჩანაცვლება შინაური ცხოველებით, რაც შეურაცხყოფს კაცობრიობას და გვიკარგავს ადამიანურობას. ადამიანები უარს ამბობენ დედობისა და მამობის ფასეულობებზე. მათ არ სურთ, შექმნან ოჯახი და დაბადონ ბავშვები, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს ცივილიზაციის, სამყაროს დაღუპვა!“*

**— მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ყოველწლიურად რამდენი ბავშვი იბადებოდა?**

— მე-20 საუკინის მეორე ნახევარში საქართველოში დაახლოებით 90-100 ათასი ბავშვი იბადებოდა.

### 1991 წლიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობა იმ ტემპებით რომ გაზრდილიყო, როგორც 1961-1991 წლებში ვიზრდებოდით, დღეს 7 მილიონი ვიქნებოდით, ხოლო 2050 წლისთვის 8 მილიონზე მეტი!

**თუ ასე გაგრძელდა, 2031 წელს საქართველოში დაიბადება მხოლოდ 20 ათასი ბავშვი, რაც ჯარსა და პოლიციასაც კი არ ეყოფა და ეს იქნება ეროვნული კატასტროფის ტოლფასი!** ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, საქართველოში იმიგრანტები დავასაქმოთ, რაც ნაწილობრივ უკვე ხდება კიდეც. თუ სასწრაფოდ არ მიეხედა ამ საქმეს და ქვეყნის დემოგრაფიულ აღორძინებაში უდიდესი თანხები არ ჩაიდო, საქართველო დემოგრაფიულ წყვეტას ვერ ასცდება!

**— მაინც როდის დაიწყო საქართველოში დემოგრაფიული სურათის გაუარესება და როგორ მივედით ამ კატასტროფამდე?**

— საქართველოში დემოგრაფიული სურათის გაუარესება 1993 წლიდან დაიწყო! თვალნათლივ ჩანდა, რომ საჭირო იყო დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურის შექმნა, რომელიც ქვეყანაში არსებულ უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებას ანალიზს გაუკეთებდა და მისი გაუმჯობესების გზებს დასახავდა. ეს დიდი ეროვნული საქმე საკუთარი ინიციატივით ითავა მაშინდელმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცის მინისტრმა, ნეტარხსენებულმა **ავთანდილ ჯორბენაძემ.** სამწუხაროდ, ნაცები მოვიდნენ თუ არა, დემოგრაფიული დეპარტამენტი გააუქმეს და ზედ მიაყოლეს **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული დემოგრაფიული ლაბორატორიაც.** არსებობა შეწყვიტა ჟურნალმა **„დემოგრაფიამ“...** ამ ბოროტების უკან იდგა სააკაშვილის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, პირწავარდნილი ნაცი **ვახტანგ მეგრელიშვილი,** რომელიც დღეს პარლამენტშია წამოსკუპული! აი, ასეთ უმძიმეს სიტუაციაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერმა, ბატონმა **ვახტანგ წივწივაძემ** უნივერსიტეტში გახსნა დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრი, რომელმაც დაარსების დღიდან რამდენიმე ათეული წიგნი გამოსცა. დემოგრაფიული ლიტერატურის თითქმის 80 პროცენტი სწორედ ამ ცენტრის მიერ არის მომზადებული.

**— მაინც რა არის შესაქმნელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად?**

— სასწრაფოდ შესამუშავებელია **საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა.** თუ ცალკე სტრუქტურის შექმნა ვერ მოხერხდება, უნივერსიტეტებში დემოგრაფიული პრობლემების შემსწავლელი ცენტრები მაინც უნდა გაიხსნას. თუ განგაშის ზარები არ დავარისხეთ, ძალიან მძიმე ბედი გველის. ამიტომ **სასწრაფოდ ვითხოვ ბატონ ირაკლი კობახიძესთან შეხვედრას, რათა კარს მომდგარი საშინელი საფრთხის შესახებ უფრო დაწვრილებით ვესაუბრო!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## მოსახლეობის, დაბადებულთა, გარდაცვლილთა, ბუნებრივი მატების (კლების) და პირველი შვილის რაოდენობა 2015-2023 წლებში

| წლები | მოსახლეობის რაოდენობა | შობადობა | მოკვდაობა | ბუნებრივი მატება (კლება) | პირველი შვილი |
|---|---|---|---|---|---|
| 2015 | 3 721 916 | 59 249 | 49 121 | +10 128 | 24 684 |
| 2016 | 3 728 636 | 56 569 | 50 771 | +5 798 | 22 949 |
| 2017 | 3 726 374 | 53 293 | 47 822 | +5 471 | 20 742 |
| 2018 | 3 729 633 | 51 138 | 46 524 | +4 614 | 19 362 |
| 2019 | 3 723 464 | 48 296 | 46 659 | +1 637 | 18 421 |
| 2020 | 3 716 858 | 46 520 | 50 537 | -4 017 | 17 655 |
| 2021 | 3 728 573 | 45 946 | 59 906 | -13 960 | 17 203 |
| 2022 | 3 688 647 | 42 319 | 49 118 | -6 799 | 16 544 |
| 2023 | 3 736 357 | 40 214 | 42 156 | -2 542 | 15 160 |

## კვირგვინოსნები

**შოთა გლურჯიძე**
*მხატვარი*



სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რომ **აღარ ვმსახურობ არცერთ თეატრში.**

„ახალი თაობა“

**გიორგი აბაშიშვილი**
*ფინანსისტი*



ლარი თავის **წონასწორულ მაჩვენებელს** დაუბრუნდება.

„რეზონანსი“

***იმის გამო, რომ ადამიანები დღე-ღამის მნიშვნელოვან დროს ატარებენ კომპიუტერებთან, მჯდომარე მდგომარეობაში, ძალიან ხშირად ხერხემლის სხვადასხვა დაავადება ეწყებათ და წელის აუტანელი ტკივილებით იტანჯებიან.***

*საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ არსებობს ქართველი გამომგონებლის მიერ შექმნილი და დაპატენტებული მოწყობილობა* ***„ერაძის სავარძელი“,*** *რომელიც ხერხემლის თითქმის ყველა ურთულეს ავადმყოფობას უმოკლეს დროში უსაფრთხოდ, თანაც, ჩალის ფასად კურნავს. ამის შესახებ ჩვენ წლების წინაც ვწერდით. GEOIN-ის გამაჯანსაღებელ ცენტრში გამაჯანსაღებელი პროცედურები თავად ჩავიტარე და, სულ რაღაც, 15-წუთიანმა მანიპულაციამ ენით აუწერელი შვება მომგვარა, ზურგის არეში გაქვავება და დაჭიმულობა მომიხსნა.* ***პროცედურის დასრულების შემდგომ გამაჯანსაღებელი ცენტრის GEOIN-ის ადმინისტრატორს დარეჯან ნადირაძეს გავესაუბრე:***





## დარეჯან ნადირაძე:

# ჩასხედით «ერაძის სავარძელში» და უოპერაციოდ განიკურნეთ ხერხემლის სნეულებებისგან!



— **ბაიოზ ერაძის** მიერ გამოგონებული უნიკალური და უნივერსალური სავარძლით შესაძლებელი ხდება ხერხემლის სნეულებათა სერიოზული რეაბილიტაცია უწამლოდ და უოპერაციოდ; უკვე 10 წელია, მას ხერხემლის სამკურნალოდ ვიყენებთ და არცერთი უკმაყოფილო პაციენტი არ გვყოლია. ადამიანები ჩვენთან ექიმის დასკვნით მოდიან, ანუ დიაგნოზს ჩვენ არ ვსვამთ და არც მკურნალობას ვიწყებთ კომპიუტერული ტომოგრაფიის გარეშე. **არის შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა სიმძიმეს აწევს და თიაქარი ეჭედება, ამ დროს, შეიძლება, არ მოვითხოვოთ ტომოგრამა და ისე დავიწყოთ მკურნალობა, საშინელი ტკივილები იცის და პაციენტი მაშინვე გრძნობს შვებას, მაგრამ, როდესაც ადამიანი ასაკშია, სამედიცინო დასკვნის გარეშე, ბუნებრივია, მკურნალობის დაწყება გამორიცხულია.** უნდა გვახსოვდეს, რომ ხერხემლის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული თითქმის ყველა ორგანოს — სისხლძარღვების, ჯირკვლების, შინაგანი და სასქესო ორგანოების ჯანმრთელობა!

**— ძირითადად, რა დაავადებების მქონე პაციენტები გაკითხავენ?**

— კისრის, გულმკერდისა და გავა-წელის ოსტეოქონდროზი, პროტრუზია, თიაქარი, ნევრალგიური ტკივილები, სქოლიოზები და კიფოზები 21-ე საკუნის დაავადებებია. გაიოზ ერაძის მოწყობილობის დახმარებით ხერხემლის ურთულესი პრობლემები მარცხდება. ამასთან, შესაძლებელია **მოზარდთა სქოლიოზის კორეგირება** (კორეგირების ვადა განისაზღვრება გამრუდების კუთხის მიხედვით) 100%-იანი გარანტიითა და შედეგის რენტგენული დადასტურებით!

**— როგორია „ერაძის სავარძლის“ კონსტრუქცია და რა ვითარებაში გამოიგონა ავტორმა?**

— ფიზიოლოგიურ კანონზომიერებებზე დაყრდნობით შექმნილი ეს უნიკალური მოწყობილობა წარმოადგენს სავარძლის მსგავს კონსტრუქციას. აწ განსვენებულმა მეცნიერმა **ბაიოზ ერაძემ** მოგვიყვა, რომ ხერხემალზე პრობლემები თავად გაუჩნდა, როცა ქალაქგარეთ მშენებლობით იყო დაკავებული. მან საკუთარ თავზე დაიწყო ცდების ჩატარება და როცა საგრძნობ წარმატებას მიაღწია, გადაწყვიტა, აღმოჩენა ყველასთვის ხელმისაწვდომად ექცია. სამკურნალო სავარძლის პირველყოფილი ვარიანტი გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა, მერე თანდათანობით დახვეწა და ბოლოს დააპატენტა.

**— ხერხემალი ძალზე ფაქიზი ორგანოა. სავარძელზე დაჭიმვის გამო ჯანმრთელობას საფრთხეს ხომ არ შევუქმნით?**

— **ხერხემლის დაჭიმვის ეს მეთოდი არის სრულიად უსაფრთხო, არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება.** ადამიანი საკუთარი წონის გავლენით იჭიმება, რის შედეგადაც წარმატებით იკურნება ხერხემლის თიაქარი, იმის მიუხედავად, კისრის არეში მდებარეობს იგი, თუ გულმკერდის, ან გავა-წელის მიდამოში. დამატებით აღმოჩნდა, რომ **ამ მეთოდის გამოყენებით წარმატებით იკურნება შინაგანი ორგანოების ქრონიკული ავადმყოფობები, უმჯობესდება მათი სისხლით მომარაგება და, შესაბამისად, ფუნქციონირება!**

## „პირველივე პროცედურის ჩატარების შემდეგ პაციენტი გრძნობს მდგომარეობის სერიოზულ გაუმჯობესებას და მკურნალობის კურსის გაგრძელების დაუძლეველი სურვილი უჩნდება!“

## კვირგვინოსნები

**თორნიკე ჯგერენაია**
*სტილისტი, ტელეწამყვანი*



ძალიან სწორ ქვეყანაში მოვხვდი, **აქ ჩემნაირი გარეკილებისთვის იდეალურია.** ამერიკაში ჩამოსვლისას გამოწვევები თამამად უნდა აქციო და სირთულეებს ისე შეხედო, როგორც ტურიდან ტურში გადასვლას.

„თბილისელები“

**ხათუნა ნოელი**
*ასტროლოგი*



თუ **უსიამოვნო ცვლილებები** ელის ადამიანს, მინიმუმ, **გენერალური დალაგება უნდა მოაწყოს სახლში,** გადადგას-გადმოდგას რაღაცები, რომ ცვლილებებმა ამაზე გადაიაროს და არ მოიტანოს უფრო მძიმე ამბები. ყოველთვის არც ეს ამართლებს და **ზოგჯერ რაც მოსახდენია, მაინც ხდება,** ყველაფერს ვერ ავიცილებთ თავიდან.

„სარკე“

**ზურაბ ცინცქილაძე**
*მსახიობი*



**„სუფრის კულტურა“** — ეს სიტყვები თანამედროვე სუფრას აბსოლუტურად აღარ მიესადაგება. **ამას თუ კულტურა ჰქვია, მაშინ უკულტურობა რაღაა?!** ყველაფერი დარღვეული და დაკარგულია.

„სარკე“

**ნინო გაჩეჩილაძე**
*მსახიობი*



რაც უფრო **მემატება ასაკი,** მით უფრო **ვაფასებ ცხოვრებას.**

„სარკე“

**ნანა შონია**
*მსახიობი*



**წლები რომ გემატება, როლები გაკლდება.**

„თბილისელები“

მედიცინის ისტორიაში შემორჩენილია მინიატიურა, რომელიც თვით მედიცინის მამის **ჰიპოკრატეს** მიერ დაჭიმვის გზით ხერხემლის მკურნალობას ასახავს და ირკვევა, რომ ჰიპოკრატეს ეპოქიდან დღემდე ხერხემლის განტვირთვის პრაქტიკა არ შეცვლილა, თუმცა, მინიატიურაზე ასახული მეთოდი გამოუსადეგარია კისრის მალთა პათოლოგიების შემთხვევაში და გულმკერდის მალთა ზონისათვის. **„ერაძის სავარძლის" დანიშნულება კი, კისრის, გულმკერდის, გავა-წელის ზონებში ხერხემლის მალთაშორისების ოსტეოქონდროზული თუ ოსტეოპონდილიტური ხასიათის დარღვევათა ერთდროული რეაბილიტაციაა!**

**— „ერაძის სავარძლით" პროცედურის არსი რაში მდგომარეობს?**

— პაციენტი იღლიებით ჩამოეკიდება სავარძლის სახელურებზე და ამ მდგომარეობაში რჩება 15 წუთის განმავლობაში. შემდეგ 5 წუთის განმავლობაში ზურგზე დაწოლაა საჭირო, რათა ხერხემალი დაჭიმულ მდგომარეობაში დაფიქსირდეს. პროცედურა მცირე დისკომფორტს — მხრებისა და მკლავების დაბუჟებას იწვევს, თუმცა, წამოწოლისას ეს უსიამოვნო შეგრძნებაც უკვალოდ ქრება. სხვათაშორის, რაც უფრო ხშირად იტარებთ ამ პროცედურას, მით ნაკლებია დისკომფორტის შეგრძნება, რომელიც 4-5 სეანსის შემდეგ საერთოდ ქრება. დღეში 2 პროცედურაზე მეტის ჩატარება რეკომენდებული არ არის, რადგან დიდი რაოდენობის კალორია იწვის. პერმანენტული მკურნალობის შედეგად ადამიანი წონაშიც საგრძნობლად იკლებს, ამასთან, ძილის პროცესიც უმჯობესდება და სამუდამოდ ქრება უძილობით გამოწვეული ჩივილები.

**— პირველი პოზიტიური შედეგი რა დროში დგება?**

— **პირველივე პროცედურის ჩატარების შემდეგ პაციენტი გრძნობს მდგომარეობის სერიოზულ გაუმჯობესებას და მკურნალობის კურსის გაგრძელების დაუძლეველი სურვილი უჩნდება. 2 კვირაში** უკვე აშკარად თვალში საცემი, კონკრეტული შედეგები დგება, ხოლო სრული განკურნება **1-2 თვეში** მიიღწევა!

**იმდენად დაუჯერებელია, რასაც ვამბობ, რომ გაუცნობიერებელ საზოგადოებას კლიენტის მიტყუების ჩვეულებრივი ფანდი ჰგონია, თუმცა, ვინც**

## თავის თავზე გამოსცადა, შედეგით განცვიფრებული დარჩა!

შეიძლება, ადამიანს არც არაფერი სჭირდეს, მაგრამ კომპიუტერთან მთელი დღის განმავლობაში ჯდომის შემდეგ „ერაძის სავარძელში" ჩაჯდომა ისეთ შედეგს იძლევა, როგორსაც სარელაქსაციო ძვირად ღირებული მასაჟი! ამიტომ აღნიშნულ პროცედურას ბევრი უკვე სამკურნალოდ კი არა, პროფილაქტიკისა და რელაქსაციის მიზნით იტარებს.

**— რა პრინციპით იკურნება ხერხემლის მალთაშუა თიაქარი?**

— თუ მალთაშუა დისკს ზემოდან დავხედავთ, დავინახავთ, რომ იგი კაფსულისა და დისკის გულისაგან შედგება. დისკის დაზიანებისას კაფსულა კარგავს ელასტიურობას, გადაგვარდება და ჩნდება მცირე ზომის ნახეთქები, რაც იწვევს ტკივილებს. დროთა განმავლობაში მდგომარეობა უარესდება და დისკის ჟელესმაგვარი გული კაფსულის გარეთ გამოდის. ეს არის **მალთაშუა თიაქარი,** რომელიც ზურგის ტვინიდან გამომავალ მგრძნობიარე ნერვებზე და მათ მკვებავ სისხლძარღვებზე ახდენს ზეწოლას, იწვევს კვების მოშლასა და ნერვების კვდომას.




„ერაძის სავარძლის" გამოყენების შედეგად ხდება ხერხემლის დეკომპრესია, დისკის გული უბრუნდება თავის ადგილს, რაც განაპირობებს ნერვსა და მის მკვებავ სისხლძარღვებზე ზეწოლის შეწყვეტას. ამგვარად აღდგება სისხლის მიმოქცევა, ხოლო დისკის დაზიანებული უბანი კვლავ წყლითა და კვებისთვის საჭირო მიკროელემენტებით გაჯერდება!

**ჩვენთან მოდიან ხერხემლის მალთაშუა თიაქარზე 2-3-ჯერ ნაოპერაციები პაციენტები. ისინი „ერაძის სავარძლით" აგრძელებენ მკურნალობას და ოპერაციაზე ბევრად უფრო კარგ შედეგებს აღწევენ — თიაქარი სამუდამოდ და უკვალოდ ქრება!**

გვყავდა პაციენტი, პროფესიით ქირურგი, რომელსაც კისრის მალების თიაქარი დაუდგინეს და იძულებული გახდა, პროფესიისთვის თავი დაენებებინა. ჩვენთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელდა და საოპერაციო მაგიდასთან დაბრუნდა, სადაც 4-საათიან ოპერაციებს ატარებს.

ჩვენთან მოდიან ცნობილი ადამიანები, თანამდებობის პირები, რომლებიც უწამლოდ და უოპერაციოდ, უსაფრთხოდ და თანაც უმოკლეს ვადაში იკურნებიან კისრის, გულმკერდისა და გავა-წელის ოსტეოქონდროზისგან, პროტრუზიისგან, თიაქრისგან, ნევრალგიური ტკივილებისგან, სქოლიოზისა და კიფოზისგან. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე პაციენტი კონკრეტული, თვალში საცემი შედეგის გარეშე წასულიყოს!

**— რა ჯდება ერთი, 15-წუთიანი პროცედურა?**

— 1 პროცედურას სიმბოლური ფასი აქვს. საბოლოო შედეგიც სიმბოლურ ფასად დგება! დიახ, სიმბოლურ ფასად ადამიანი შეიძლება, სამუდამოდ განიკურნოს იმ უმძიმესი ავადმყოფობებისგან, რომელთა ოპერაციული ან სხვა მეთოდით მკურნალობა ათასობით ლარი ჯდება, თუმცა, არცთუ სახარბიელო შედეგი მოაქვს!

**„ან განსვენებულმა მეცნიერმა გაიოზ ერაძემ მოგვიყვა, რომ ხერხემალზე პრობლემები თავად გაუჩნდა, როცა ქალაქგარეთ მშენებლობით იყო დაკავებული. მან საკუთარ თავზე დაიწყო ცდების ჩატარება და როცა საგრძნობ წარმატებას მიაღწია, გადაწყვიტა, აღმოჩენა ყველასთვის ხელმისაწვდომად ექცია!"**






**ხერხემლის დაჭიმვის მეთოდებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვთავაზობენ შეუდარებლად ხანგრძლივ დროში და შეუდარებლად მაღალ ფასად... ამის მიუხედავად, ჩვენგან განსხვავებით, არსად იძლევიან განკურნების გარანტიას!**

„ერაძის სავარძელი" ადვილად თავსდება მანქანის საბარგულში. კლიენტს შეუძლია ის იქირაოს და მწოლიარე ავადმყოფს წაუღოს, რათა სახლის პირობებში იმკურნალოს. სხვა შემთხვევაში კი პროცედურის ჩასატარებლად მოგვაკითხოს შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, მერაბ კოსტავას 71 ან კონსულტაციისთვის დაგვიკავშირდეს ტელეფონის ნომერზე: 593 34 26 88.**

*ესაუბრა* ***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**თამუნა მდივანი**
*მსახიობი*



**პრობლემები, რასაც „ტიკტოკზე" განვიხილავ, ოჯახში არ მაქვს, ძალიან კარგი დედამთილი მყავს.** ხანდახან მეც არ მჯერა, რომ 52 წლის ვარ. ჯანსაღი ცხოვრების წესია ჩემთვის უპირატესი და ეს მეხმარება, ვიყო აქტიური, ენერგიული... **ვცდილობ, უარი ვთქვა ტკბილზე. ვიძინებ თავის დროზე, ვვარჯიშობ, სუფთა ჰაერზე ბევრს დავდივარ.** ვცდილობ, გავიხანგრძლივო ახალგაზრდობა.

„სარკე"

**მარიტა როხვაძე**
*მომღერალი*



ეს დაბადების დღე იყო ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში. დაგვირგვინება კი ტორტის შემდეგ იყო, როდესაც, **ჩავაქრე თუ არა სანთლები, დავინახე ნიშნობის ბეჭედი.** სხვათაშორის, ბეჭედი ისე მომაწოდა, **არც კი უთქვამს, ცოლად გამომყვები თუ არაო.** უჩუმრად მომაწოდა. ამ დროს თვალებით შედგა ჩვენი დიალოგი.

„სარკე"

**მარიამ შენგელია**
*მომღერალი*



**ჯერ მხოლოდ 21 წლის ვარ,** მაგრამ ხანდახან რომ გადავხედავ, რამდენი გამოვიარე ჩემს პროფესიაში, **მგონია, რომ გაცილებით უფროსი ვარ.** 15 წლიდან სცენაზე ვარ. კარგი ეტაპი მაქვს და იმედია, ავი თვალი არ მეცემა.

„სარკე"

**თამთა კვარაცხელია**
*ტელეწამყვანი*



ჩემი მოხიბვლა არაა მარტივი. **ძალიან იბნევიან, ვერ ხვდებიან, რა უნდა გააკეთონ, რომ ყურადღება მივაქციო.** ძირითადად, ძვირად ღირებული საჩუქრებით იწონებენ თავს, რაზეც ძალიან ვბრაზდები, რომანტიკულ სიურპრიზებს იგონებენ **ან წლები ჩასაფრებულები მელიან.**

„თბილისელები"



# მიხეილ ცაგარელი:

# მთვარის ზემოქმედება ჯანმრთელობაზე

*— მთვარის რომელ ზოდიაქოში ყოფნის დღეებში იკრძალება ქირურგიული ოპერაცია და სამედიცინო პროცედურები შარდსასქესო სისტემაზე ან ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტზე? სამაგიეროდ, შედეგიანია ზედა სასუნთქი გზების ან ფილტვების მკურნალობა? ამ მიმართებით, როდის სუსტდება ძვლები, ხერხემალი, სახსრები, იმატებს მოტეხილობების ალბათობა და მტკივნეულია სტომატოლოგიური პროცედურა? როდის ხდება განსაკუთრებით ამტანი გულ-სისხლძარღვთა სისტემა ან კუჭი და დასაშვებია ინტენსიური ფიზიკური ვარჯიში ანდა მრავალფეროვანი, მათ შორის, ეგზოტიკური საკვების მიღება? როდისაა დაუძლურებული ნერვული სისტემა, თვალები ანდა ტერფები და ორგანიზმისთვის განსაკუთრებით საზიანოა ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ-ფსიქოტროპული საშუალებების მიღება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ მთვარის ამა თუ იმ ფაზაში ანდა ზოდიაქოს ნიშანში ყოფნის პერიოდში, რომელი ორგანო ან ორგანოთა სისტემა სუსტდება და ამის გათვალისწინებით, ადამიანისთვის რა იქნება სასარგებლო ანდა საზიანო?**

**— 8. ღრიანკალის ზოდიაქოში მთვარის მოძრაობის პერიოდში სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ჭიპი, ცხვირი, მსხვილი ნაწლავი, სწორი ნაწლავი, პროსტატა.** ამიტომაც უმჯობესია, სექსუალური სფერო არ გადატვირთოთ და სექსისგან თავი შეიკავოთ. გარდა ამისა, არ არის რეკომენდებული ცხარე საკვების მიღება, აბორტის გაკეთება კი იკრძალება. ამგვარ დღეებში შესაძლოა, გამწვავდეს ბუასილი, გამორიცხული არ იქნება ყაბზობა ან დიარეა. ამავდროულად, ამ სფეროების მკურნალობა უკუნაჩვენებია ისევე, როგორც ქირურგიული ოპერაცია სწორ ნაწლავზე და სასქესო-რეპროდუქციულ სისტემაზე (ბუასილის თუ პროსტატიტის შემთხვევაში), ასევე ცხვირზე. სამაგიეროდ, შედეგიანი იქნება ენდოკრინული სისტემის მკურნალობა (პროსტატის ჯირკვლის გარდა), ყელის, ნუშისებრი ჯირკვლისა და ზედა სასუნთქი გზების. ეს პერიოდი სასიკეთო იქნება გლანდების, ადენოიდების მოსაცილებლად, სურდოს და რინიტის სამკურნალოდ.

**9. მშვილდოსნის ზოდიაქოში მთვარის მოძრაობის დღეებში სუსტდება და უკუნაჩვენები გახლავთ სისხლის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, მენჯ-ბარძაყის ძვლის, საზარდულის, თეძოების, კუდუსუნის დაავადებების მკურნალობა და ქირურგიული ჩარევა.** ასევე იკრძალება სისხლის გადასხმა ან გაცემა (დონორობა). სამაგიეროდ, სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება და ფილტვების მკურნალობა.

**10. თხის რქის ზოდიაქოში მთვარის მოძრაობის დღეებში იკრძალება ხერხემალთან, ძვლოვან სისტემასთან, კბილებთან, სახსრებთან, მყესებთან, მუხლებთან, კანთან და ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება.** ამ დროს ძვლები განსაკუთრებით დაუცველი და სუსტია, ამიტომ იზრდება მოტეხილობების ალბათობა. ასევე ხერხემალთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია უკუნაჩვენებია. კბილებს რაც შეეხება, კბილის ამოღება არ არის რეკომენდებული, ხოლო მკურნალობა მტკივნეული, არაეფექტური იქნება და დადებული ბჟენიც დიდხანს ვერ გემსახურებათ. ამგვარ დღეებში ასევე, საშიშია მანუალური თერაპია და მასაჟი (განსაკუთრებით ხერხემალზე, ძვლებსა და სახსრებზე). სამაგიეროდ, პოზიტიური პერიოდია კუჭსა და დიაფრაგმაზე სამედიცინო პროცედურებისთვის, გასტრიტისა და კუჭის წყლულის სამკურნალოდ, კუჭზე ოპერაციის ჩასატარებლად. ნიშანდობლივია ისიც, რომ კუჭი ამ დროს ნაკლებად მგრძნობიარეა საკვებთან მიმართებით, ამიტომ არ არის აუცილებელი საკვებისგან თავის შეკავება. კარგი პერიოდია სუნთქვითი ვარჯიშებისთვისაც.

**11. მერწყულის ზოდიაქოში მთვარის გავლისას დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, სახსრები, ფეხის კუნთები, ჯირკვლები. ამიტომ დაუშვებელია ამ ორგანოებთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურები და ოპერაციები.** ასევე არ არის სასურველი ართრიტის, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. ამ დროს თვალებიც დაუცველია და ადვილად იღლება, უკუნაჩვენებია ყველა საჰაერო და ვაკუუმური პროცედურა. სამაგიეროდ, რეკომენდებულია წყლის პროცედურები. წყალი ამ დროს ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს. გული და სისხლძარღვთა სისტემა მეტად ამტანია, ამიტომ კარგია სისხლის გადასხმა. გარდა ამისა, რეკომენდებულია ფიზიკური ვარჯიში ძალისა და ენერგიის დაგროვებისთვის.

**12. თევზების ზოდიაქოში მთვარის მოძრაობისას სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემა, კანი და ტერფები.** ამ დღეებში ბევრი სითხის (განსაკუთრებით ალკოჰოლის) მიღება არ ღირს (ეს სახიფათოა). ასევე, კანიც დაუცველია და იზრდება ალერგიის ალბათობა. იკრძალება სამედიცინო პროცედურა და ოპერაცია გრძნობათა ორგანოებზე, ღვიძლზე, ფეხებზე. იზრდება სოკოვანი დაავადებების ალბათობა. იკრძალება ფეხის მასაჟი, ბევრი სიარული, წყლით მკურნალობა. ასევე მედიკამენტების, განსაკუთრებით, ტრანკვილიზატორებისა და ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 10 – 16 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
თქვენ განსაკუთრებულად პრაქტიკული იქნებით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩებათ გარშემო მყოფებს. მოგიწევთ არაერთი საჭირბოროტო საკითხის მოგვარება. ფარული საქმიანობა, მიმოწერა ან ურთიერთობა გონებრივ დატვირთვას გაზრდის. ეს კარგი დროა სამომავლო გეგმებისა და ძველი საქმიანობის შედეგების გასააზრებლად. ერიდეთ შემთხვევით ურთიერთობებს, განსაკუთრებით რომანტიკულ სფეროში. გადაადგილებებისას ნუ მოადუნებთ ყურადღებას, რადგან იზრდება კონფლიქტების ალბათობა.

**კურო** (21.04-20.05)
ბევრ დროს წაგართმევთ სამსახური, შესაძლოა მცირედი პრობლემები თანამშრომლებთან, თუმცა, არაა გამორიცხული ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. ფულადი საკითხების მოსაგვარებლად დაიხმარეთ ნათესავები. ჯანმრთელობისა და განწყობის გაუმჯობესება ხელს შეგიწყობთ ახალი გეგმების განხორციელებაში. უეცრად განვითარებული სასიყვარულო გრძნობა ხანმოკლე აღმოჩნდება. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ახლო მანძილზე გამგზავრება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
პიროვნული თვისებების უკეთ წარმოჩენასა და სამომავლო მიზნების დანახვას ხელს შეუწყობს სწავლა, დამატებითი უნარების ათვისება და ინფორმაციის მიღება. მხარდაჭერას მიიღებთ ახლობლებისა და მეგობრებისაგან. ნებისმიერ სასიკეთო შესაძლებლობას ამ პერიოდში მაქსიმალურად გამოიყენებთ, მათ შორის, სასიყვარულო ურთიერთობებშიც, თუმცა, საეჭვო ან სარისკო ფინანსურ შემოსავალზე ჯობს, უარი თქვათ. შინაგანი განცდები გაიძულებთ, დაასრულოთ ზოგიერთი ურთიერთობა.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეცადეთ, თქვენი საქმიანობა შეათანხმოთ ხელმძღვანელ პირებთან და კოლეგებთან და მოიპოვოთ მათი მხარდაჭერა ყველა მნიშვნელოვან საკითხში. ზედმეტ მოვალეობებს ნუ დაიკისრებთ. მოგზაურობების, შეხვედრებისა და გადაადგილებების გაზრდილი რაოდენობა ბევრ ძალას მოითხოვს და შინაგან დაძაბულობას გაზრდის, ამიტომ ეცადეთ, დასვენებისთვის გამოიყენოთ ყოველი თავისუფალი წუთი. საყვარელ ადამიანთან კი შეიძლება გაგიჭირდეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მოლაპარაკება და შეთანხმება.

**ლომი** (23.07-23.08)
ხალხთან ურთიერთობისას გააკონტროლეთ ემოციები, რათა ადვილად არ აჰყვეთ კამათს. რთულ სიტუაციებში გასარკვევად შეიძლება პირადი გამოძიება ჩაატაროთ და ბევრი საინტერესო დეტალი აღმოაჩინოთ. გამოიყენეთ მიღებული ინფორმაცია პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად. საყვარელ ადამიანთან დაძაბული ურთიერთობა მოთმინებას მოითხოვს. მოგზაურობისას ყველა დეტალს მიაქციეთ ყურადღება.

**ქალწული** (24.08-23.09)
დროებით ჯობს, მოერიდოთ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, გადგეთ გვერდზე და გადაწყვეტილებების მიღება სხვებს დაავალოთ. შეასრულეთ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საქმეები. დაასრულეთ ძველი ვალდებულებები, რათა აიცილოთ უსიამოვნებები. სამაგიეროდ, შესაძლებელი იქნება ზოგი თქვენი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელება საქმიანი ან პირადი პარტნიორების დახმარებით. მოგზაურობისას და გზებზე მოძრაობისას აუცილებელია სიფრთხილე.

**სასწორი** (24.09-22.10)
თქვენი გეგმების განხორციელებას ბევრი შრომა დასჭირდება და შეიძლება, აუცილებელი გახდეს ზოგიერთი უსიამოვნების მოგვარებაც. შეიძლება თქვენ წინაშე შემოსავლის ახალი პერსპექტივები გამოჩნდეს, მაგრამ ნუ იჩქარებთ მათ გამოყენებას. მეგობრებსა და ახლობლებს ნუ დაუპირისპირდებით. საყვარელი ადამიანის ან მეუღლის სირთულეების მოგვარებაც შესაძლოა თქვენ მოგიწიოთ. საქმიანი გადაადგილებები და მოგზაურობები დასვენების საშუალებას არ მოგცემთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ფინანსური მდგომარეობის გასამყარებლად საჭიროა გავლენიან ადამიანებთან დაახლოება და ახალი ჩანაფიქრების რეალურად შეფასება. შესაძლებელი იქნება საკამათო საქმეებში გარკვევა, დიპლომატიის უნარის გამოვლენა და წარმატების მიღწევა. ენერგობალანსი დაქვეითებულია, რაც ტრავმატულობის ალბათობას ზრდის. მოერიდეთ რისკს, ბევრ ხალხთან ურთიერთობას. ძველი სასიყვარულო პრობლემები შეგახსენებთ თავს, რაც მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან პრობლემის მიზეზი გახდება.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მატერიალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად შესაძლოა, ბევრი სულიერი და ფიზიკური ძალა დაგეხარჯოთ. შემოქმედებითად მუშაობისას მოგინდებათ განმარტოება. შესაძლოა, სპეციალობის ან სამსახურის გამოცვლის წინადადება მიიღოთ, თუმცა, გადაწყვეტილების მიღება ჯერ ნაადრევია. საქმიან პარტნიორებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა არ გათქვათ საიდუმლო ინფორმაცია და არ დაუშვათ გამოუსწორებელი შეცდომები. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ეცადეთ, ეს დრო მშვიდად განვლოთ. საქმიან პარტნიორებთან ადგილი ექნება ორაზროვან სიტუაციებს. რეალობა შეიძლება არ ემთხვეოდეს თქვენს წარმოდგენებს. ახალი რომანტიკული ურთიერთობა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. პირად ცხოვრებაში კი შეიძლება გაგიჩნდეთ საიდუმლოებები. თქვენს პროფესიულ საქმიანობაზე შეიძლება იმოქმედოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა და გამოიწვიოს სოციალური სტატუსის ცვლილება. მოგზაურობისას მოერიდეთ ექსტრემალურ სიტუაციებს.

**მერწყული** (20.01-18.02)
მეტ დროს მოითხოვს სამსახური და მოვალეობების შესრულება. შესაძლოა, შეიცვალოთ საქმიანობა ან მუშაობის სტილი. გამოიყენეთ შემოქმედებითი ნიჭი, მაგრამ მოერიდეთ რევოლუციურ წამოწყებებს და ნუ შეეცდებით საზოგადოებრივი აზრისა და წესების შეცვლას, რათა არავის დაუპირისპირდეთ. გადაადგილებები და მოგზაურობები გაგიზრდით შემოსავალს. შესაძლოა, მეგობრული ან საქმიანი ურთიერთობა სწრაფად გადაიზარდოს სასიყვარულო გრძნობაში.

**თევზები** (19.02-20.03)
ილუზიებს ერიდეთ და მეტად პრაქტიკულად მიუდექით პირად და საქმიან საკითხებს. სხვისი ან საკუთარი უსიამოვნებები წონასწორობის მდგომარეობას დაგირღვევთ. სასურველია, სამსახურშიც და პირად ურთიერთობებშიც მხოლოდ დადებითი შედეგი. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა შეგიმსუბუქებთ მდგომარეობას. მოგზაურობისას ბევრ ადამიანს გაიცნობთ, გაიგებთ ახალ ინფორმაციას, გაეცნობით ახალ იდეებს და მიიღებთ სამოქმედო მოტივაციას.



**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**10,13,14 და 15 ივნისი**
**6 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი – 16.40 საათზე;**
**22 ივნისი – სავსემთვარეობა, პიკი – 05.11 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 10 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.35 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია, ამოდის 07.48 საათზე, ჩადის 23.09 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 08.15 საათზე, I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ! ტრავმულ-ავარიული დღეა. მგრძნობელობა და აღქმის უნარი გამახვილებულია. ნეგატიური ემოციები და აზრები გააკონტროლეთ. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, ფინანსური გარიგება, ქორწინება, სიმძიმეების აწევა. დღეს დაწყებული ნებისმიერი საქმე აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ. კარგი დღეა მშენებლობის დასაწყებად, საზოგადოებრივი ღონისძიებებისა და საბავშვო ზეიმების მოსაწყობად, ძვირფასი ნივთის შესაძენად, თანამდებობის დასაკავებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდონიქსი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 11 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 08.55 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 09.39 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.18 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დაძაბული დღეა, თუმცა, შესაძლებელია შემოქმედებითი გეგმების გამოვლენა, სახლის კეთილმოწყობა. ეფექტური იქნება თვალების, ნერვული სისტემის, ფეხის კუნთების მკურნალობა. კარგი დღეა ახალი სამსახურის, მშენებლობის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, ძვირფასი ნივთების შესაძენად. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 12 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.27) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 10.00 საათზე, ჩადის 23.35 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 11.00 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 09.40 საათამდე. **ტენდენციები**: დღეს უნდა იმოქმედოთ აქტიურად, თუმცა, ფრთხილად. დღეს და ხვალ პლანეტა **პლუტონის** ასპექტები ვენერასთან, მთვარესთან, აღმავალ კვანძთან და პროზერპინასთან გამოიწვევს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ვექტორში მასშტაბურ ცვლილებებს. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სარისკო ქმედება, ახალი ნაცნობობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 13 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე. ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 11.03 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 12.17 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პარტნიორთან შესაძლებელი იქნება რთული საკითხების კონსტრუქციული გადაწყვეტა. ამავდროულად, საკუთარი გამონათქვამები გააკონტროლეთ. ეფექტურია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ლიმფური სისტემის და ტერფების მკურნალობა. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებები, ქორწინება, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 14 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.11) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 12.04 საათზე, ჩადის 15 ივნისს 00.16 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 13.12 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 09.20 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 21.25 საათიდან 22.13 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ, რადგან მაღალია მოტყუების, ინტრიგების, ხრიკების ალბათობა. ამავდროულად, წვრილმანებს ნუ ჩაეძიებით და ნუ იქნებით ზედმეტად პირდაპირი, კრიტიკული, ჯიუტი. კარგი დღეა საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, ახალი ნაცნობობა, ქორწინება, ბინის ყიდვა-გაყიდვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 15 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 13.04 საათზე, ჩადის 16 ივნისს 00.34 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 14.47 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი სიფრთხილე გმართებთ წყლის სიღრმეებთან და მიწისქვეშა კომუნიკაციებთან მიმართებით. ხელი შეეწყობა არაფრისმომცემი და უსარგებლო ურთიერთობებისა და ნივთებისგან გათავისუფლებას. შედეგიანი იქნება თავის, სისხლძარღვებისა და კბილების მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ნიშნობისთვის, შემოქმედებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ტრანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, ხელოვნების ნიმუშების ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი ილუზიების აყოლა, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, განწყობის ხშირი შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 16 ივნისი , კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.46) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 14.05 საათზე, ჩადის 17 ივნისს 10.46 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 17.22 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.06 საათიდან 10.39 საათამდე. **ტენდენციები:** მაღალია სიცრუის, ხრიკების ალბათობა. მოერიდეთ ზედმეტი სითხისა და ალერგიული პროდუქტების მიღებას. შესაძლებელი იქნება ძველი ურთიერთობის აღდგენა. კარგი დღეა სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად, თვითშემეცნებისთვის, დაკარგული ნივთების საძიებლად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. შედეგიანი იქნება ყელ-ყურის, კბილების, ტერფების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



14 ივნისი – ღირსნი მამანი: შიო ახალი, დავითი, გაბრიელი და პავლე გარეჯელნი – ლეკთაგან მოწყვეტილნი

✝ **10 ივნისი. ორშაბათი.** ნიკიტა აღმსარებელისა, ქალკედონელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ევტიქისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ელიკონიდასი; მღვდელმოწამისა ელადი ეპისკოპოსისა.

✝ **11 ივნისი. სამშაბათი.** **მოწამისა თეოდოსია ქალწულისა, ტვირელისა;** პირველი მსოფლიო კრების მამათა; ალექსანდრე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსმოწამისა თეოდოსია ქალწულისა, კონსტანტინოპოლელისა. **წმინდა ლუკასი, მკურნალისა, სიმფეროპოლის არქიეპისკოპოსისა.**

✝ **12 ივნისი. ოთხშაბათი.** ღირსისა ისააკ აღმსარებელისა, დალმატის მონასტრის იღუმენისა; ღირსთა მამათა ტატიანესი და ნესთერეონისა.

✝ **13 ივნისი. ხუთშაბათი.** **ამაღლება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.** მოწამეთა ქართველთა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ფერეიდანში სპარსთაგან მოწყვეტილთა; მოციქულისა ერმისა, სამოცდაათთაგანისა; მოწამისა ჰერმესისა; მოწამისა ფილოსოფოსისა.

✝ **14 ივნისი. პარასკევი.** **შემდგომი დღესასწაული ამაღლებისა;** ღირსთა მოწამეთა: მღვდელმონაზონისა შიო ახლისა, დავით მწირისა, გაბრიელისა, პავლესი და გაბრიელისა, გარეჯელთა, ლეკთაგან მოწყვეტილთა; მოწამეთა: იუსტინე ფილოსოფოსისა და სხვა იუსტინესი და მათთანა: ხარიტონისა, ხარიტასი, ეველპისტესი, იერაქსისა, პეონისა და ვალერიანესი.

✝ **15 ივნისი. შაბათი.** **ნიკიფორე აღმსარებელისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.**

✝ **16 ივნისი. კვირა.** **აღდგომიდან მე-7, I მსოფლიო კრების წმიდათა მამათა კვირიაკე. მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი;** მოწამეთა: ლუკილიანესი, კლავდისა, იპატისა, პავლესი, დიონისესი და ქალწულმოწამისა პავლასი; მღვდელმოწამეთა: ლუკიანე ეპისკოპოსისა, მაქსიანე ხუცისა, ივლიანე დიაკონისა, მარკელინესი და სატურნინესი, ბელგიაში ვნებულთა.

ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **57-ე წელია,**

# მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!






მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ნიორაძე; 11. მანგუსტი; 12. მისტერია; 13. ნეილონი; 14. მარიფათი; 15. საგრაფო; 16. ძმობილი; 17. ლი; 19. ლისიმაქე; 23. ანატომია; 24. გოშია; 27. პარმეზანი; 28. ტირანია; 32. დანტონი; 33. ალიზარინი; 38. პანაცეა; 39. სინაპი; 42. ანტონიმი; 43. პოლისი; 45. ვეროკიო; 46. სანიტარი; 50. ზულუსები; 52. მუსიკა; 55. ევპატორია; 56. ფინიკია; 60. დოქტორი; 61. დალანდი; 62. ფელონია; 63. მინესოტა.
შვეულად: 1. ხაბაზი; 2. ეგრისი; 3. ესპადა; 4. ნინიძე; 5. ორინოკო; 6. ალონიმი; 7. ემისია; 8. ასიგნატი; 9. მელანომა; 10. პიროლიზი; 18. ია; 19. ლეპრა; 20. სორტი; 21. მზერა; 22. ქსანი; 24. გიდი; 25. შანსი; 26. აგორა; 28. ტიპი; 29. რონდო; 30. ნაცხი; 31. აპატიტი; 34. ლონდა; 35. ზლოტი; 36. რკინა; 37. ნაივი; 39. სარდუ; 40. ნაკლი; 41. პროზა; 43. პულსი; 44. ლასტი; 46. სტენდი; 47. ნაპოლი; 48. ტიტანი; 49. რურკი; 51. ბოი; 52. მადლი; 53. საქმე; 54. კიოტო; 56. ფიფა; 57. ნელი; 58. კინო; 59. ამაო.

**მონეტაიმიჯიცუნამიბიაბრუნეიმარინადიმირანდა**
**ფორმატიხარიხარკინაპოლიგონიოკაპიტანინისანი**

| ლითონის ფული | პრესტიჟი, სახე | გიგანტური ტალღები ოკეანეში | გაბიაბრუება | ბრაზილიელი ფეხბურთელი | დიდი წვეულება | გრძელი შალაშინი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრანგი ფერმწერი | ფეხბურთის მატჩის ნახევარი | ორთაბრძოლა ჟიუ ... | აფრიკის სახელმწიფო | აზიის სახელმწიფო | მწნილი | პლანეტა ურანის თანამგზავრი |



თარაზულად: 4 ქართველი ბალერინა; 11. პატარა მტაცებელი ცხოველი, ე.წ. ფარაონის ვირთაგვა; 12. ბიბლიური სიუჟეტის დრამა ანტიკურ ქვეყნებში; 13. ხელოვნური ბოჭკო; 14. შნო, მოხერხება; 15. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ინგლისში; 16. ძმად მიჩნეული; 17. მსახიობი ვივიენ ...; 19. ალ. მაკედონელის მხედართმთავარი; 23. ცოცხალი ორგანიზმის შემსწავლელი მეცნიერება; 24. ფინია; 27. იტალიური ყველი; 28. დესპოტიზმი; 32. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე; 33. საღებავი ნივთიერება, რომელსაც ენდროს ფესვებისგან ამზადებენ; 38. ყველა სენის სარგო წამალი; 39. ვაშლის ჯიში; 42. სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს; 43. დაზღვევის მოწმობა; 45. იტალიელი მოქანდაკე; 46. უმცროსი მედიცინის მუშაკი; 50. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრი; 52. ხელოვნების დარგი; 55. ქალაქი შავი ზღვის პირზე ყირიმის ოლქში; 56. უძველესი ქვეყანა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე; 60. ერთ-ერთი სამეცნიერო ხარისხი; 61. გ. ტაბიძე — „გემი ...“; 62. ყოველგვარი მძიმე დანაშაული აშშ-ის სისხლის სამართალში; 63. აშშ-ის შტატი.

შვეულად: 1. პურის მცხობელი; 2. ძველი დასავლეთ საქართველოს სახელი; 3. იგივეა, რაც მატადორი; 4. მსახიობი ია ...; 5. მდინარე ვენესუელაში; 6. ფსევდონიმად გამოყენებული ვისიმე ნამდვილი სახელი; 7. ქაღალდის ფულის ნიშნების გამოშვება; 8. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს გამოშვებული ქაღალდის ფული; 9. კანის ავთვისებიანი სიმსივნე; 10. ორგანულ ნივთიერებათა გადამუშავება აირის მისაღებად; 18. გაზაფხულის ყვავილი; 19. კეთრი; 20. ხარისხი; 21. ყურება; 22. სოფელი მცხეთის რაიონში; 24. ექსკურსიამძღოლი; 25. რისამე განხორციელების შესაძლებლობა; 26. სახალხო კრება ელადაში; 28. იგივეა, რაც ვიგვამი; 29. ქართული კვარტეტი; 30. მინაზე წაცხებული გამოსაკვლევი თხევადი ფენა; 31. სასასუქე მინერალი; 34. ერთგვარი თმის საღებავი; 35. პოლონეთის ფულის ერთეული ევრომდე; 36. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 37. ნაივური მხატვრობა; 39. ფრანგი დრამატურგი; 40. წუნი, ზადი; 41. თხრობითი ლიტერატურა; 43. მაჯისცემა; 44. გემის ტვირთის წონის საზომი ერთეული; 46. საგამოფენო დაფა; 47. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 48. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 49. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 51. სასტუმროს მსახური ბიჭი; 52. კეთილი საქმე; 53. შესასრულებელი, გასაკეთებელი რამ; 54. ქალაქი იაპონიაში; 56. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 57. დინჯი, აუჩქარებელი; 58. ხელოვნების დარგი; 59. ფუჭი, უნაყოფო.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| წიგნის, ფურცლის ზომა | მოაჯირის ნაწილი | ქიმიური ელემენტი, მეტალი | სასროლეთი | ჟირაფების ოჯახის ცხოველი | მთრიმლავი ნივთიერება | ქართული „ს“-ს სახელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგნის მოყვანილობა | თხელი გამყოფი კედელი | წაგებულის გადასახადი გამარჯვებულისთვის | იტალიის საფეხბურთო კლუბი | სწორკუთხა სახაზავი | სამხედრო ჩინი | იაპონური მანქანის ფირმა |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 10 – 16 ივნისი №25 (1543)
გამოდის ორშაბათობით
2 009882 637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

